ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრო

F- 171
1989

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

1

თბილისი 1989

საქართველოს სსრ სახალხო განათლების
სამინისტრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0206—2674

ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

1

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1989

რედაქტორი ზ. ალადაშვილი

შემდგენელი ე. ბურდიაშვილი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

F-5973

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს კონსტიტუციურად განმტკიცებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია სხვადასხვა ენების განვითარება და თანაბარუფლებიანი გამოყენება სსრკ ნებისმიერი მოქალაქის მიერ, აგრეთვე რუსული ენის, როგორც ეროვნებათაშორისო ურთიერთობის ენის, დაუფლება.

რუსული ენის შესწავლა რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში ყოველთვის იყო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე, ახალგაზრდობის სწავლებისა და აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა.

სახალხო განათლების ორგანოების, უმაღლესი სკოლის მუშაობამ უფრო მიზანმიმართული ხასიათი შეიძინა მას შემდეგ, რაც 1973 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მომდევნო, 1977 წლის 14 აგვისტოსა და 1983 წლის 9 აგვისტოს დადგენილებებმა ახალი ამოცანები დააყენეს სახალხო განათლების ორგანოების წინაშე, ხელი შეუწყეს რესპუბლიკის ქართულ და სხვა არარუსულ სკოლებში რუსული ენის სწავლების შემდგომი სრულყოფისათვის მუშაობას, რუსული

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა საერთო პედაგოგიური კულტურის, პროფესიული ოსტატობის ამაღლებას.

დადგენილებებმა განსაზღვრეს სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, პედაგოგიური საზოგადოებრიობის ყურადღება გაამახვილეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, სამეცნიერო-მეთოდური დაწესებულებების მუშაობაში არსებულ ხარვეზებზე, სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

დადგენილებათა მოთხოვნების შუქზე, ყოფილმა განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროებმა, პროფტექგანათლების სახელმწიფო კომიტეტმა თავის დროზე შეიმუშავეს და განახორციელეს რუსული ენის სწავლების სრულყოფის კონკრეტული ღონისძიებანი, უზრუნველყვეს კონტროლი დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობაზე. აღნიშნულ ღონისძიებათა შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მთავარი ყურადღება ექცეოდა რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებათა ინტერნაციონალურ ხასიათს— მოსწავლეთა სხვადასხვაენოვან კონტინგენტს.

ამასთან ერთად, კოლეგიას მიაჩნია, რომ რუსული ენის სწავლებისა და შესწავლის საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, გადასაწყვეტ პრობლემებს.

რუსული ენის გაკვეთილების ძირითად ნაკლოვანებად კვლავაც რჩება აქტიური სამეტყველო პრაქტიკისაგან მისი მოწყვეტა, ლექსიკაზე ზერელე მუშაობა, ლიტერატურის გაკვეთილებზე მასწავლებელთა ერთი ნაწილი ვერ აღწევს თავს პრიმიტიულ მსჯელობას, ნაწარმოების იდეის ახსნისას მიმართავს შიშველ დეკლარაციულობას, ფაქტებისა და მოვლენების ურთიერთკავშირის ვულგარიზებას, რაც ძალზე ამცირებს ლიტერატურის გაკვეთილის აღმზრდელობით მნიშვნელობას, არასაკმარისად უვითარებს მოსწავლეებს რუსულ ენაზე მხატვრული ლიტერატურის კითხვის ინტერესს. დაბალია მოსწავლეთა ორთოგრაფიული და პუნქტუაციური წიგნიერების დონე.

ნაკლებ პრაქტიკულ შედეგს იძლევა რუსულ ენაში გასაწვევი და წვევამდელი ასაკის მოსწავლეებთან წრეებსა და ჯგუფებში მუშაობა. სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ ამ მხრივ ახმეტის, მარტვილის, ლაგოდეხის, თიანეთის, წალენჯიხისა და რიგი სხვა რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს. მოწესრიგებას მოითხოვს აღნიშნულ წრეებსა და ჯგუფებში მომუშავე მასწავლე-

ბელთა შრომითი ანაზღაურების საკითხი. ნელი ტემპით ვითარდება რესპუბლიკაში რუსული ენის გაღრმავებული სწავლების კლასებისა და სკოლების ქსელი, რის შედეგად მოსწავლე ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი, განსაკუთრებით სოფლად, ჯერ კიდევ საკმარისად არ არის ჩაბმული საგნის გაღრმავებულ სწავლებაში.

მოწესრიგებას მოითხოვს საგანში კლასგარეშე მუშაობის სისტემა. მხატვრული ლიტერატურისადმი მოსწავლეთა ინტერესების ფორმირების, კითხვაში მათი ჩაბმის საქმეში ნაკლებად ან სრულიად არ თანამშრომლობენ ერთმანეთთან რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, ბიბლიოთეკარები.

სუსტი, ხშირად უმნიშვნელოა სასკოლო და სასწავლო დაწესებულებათა პედაგოგიური საბჭოების ზეგავლენა, მათ მიერ გაკეთებული საგნის სწავლების ანალიზი ზედაპირული, ცალკეულ შემთხვევებში არაკვალიფიციურია. სასწავლებლების ხელმძღვანელები არ ახორციელებენ ღონისძიებებს მოწინავე გამოცდილების გამოვლენისა და განზოგადებისათვის.

პროგრამულ-მეთოდური დოკუმენტაციის სრულყოფისათვის ჩატარებული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და საშუალო სპეციალური სასწავლებლების პროგრამები რუსულ ენაში ჯერ კიდევ ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, დაბალია მათი მეცნიერული დონე, ძირითადად იმეორებენ ტიპურ საკავშირო პროგრამებს, არ ითვალისწინებენ რესპუბლიკის თავისებურებებს.

ანალოგიური ნაკლოვანებები ახასიათებს რუსული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების უმრავლესობას, განსაკუთრებით საშუალო სკოლის უფროს კლასებში, რომელნიც უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მრავალგზის იქნა გამოცემული არსებითი ხასიათის ცვლილებების, თანამედროვე მოთხოვნათა, პედაგოგიკურ და ლინგვისტურ მეცნიერებათა, ენის სწავლების მეთოდიკის უკანასკნელ მიღწევათა გათვალისწინების გარეშე. რუსული ენის სახელმძღვანელოთა გარკვეული ნაწილი მოძველდა მორალურად, მისი შინაარსი დაშორდა თანამედროვეობას.

სერიოზული ნაკლოვანებებია პედაგოგიურ კადრებთან მუშაობაში. რიგი ზოგადსაგანმანათლებლო და სხვა სასწავლო დაწესებულებები, განსაკუთრებით სოფლად, განიცდიან კვალიფიციური პედაგოგიური კადრის ნაკლებობას, დაბალია რიგი მასწავლებლების პროფესიული მომზადება და პედაგოგიური კულტურა. დღეისათვის რესპუბლიკის სკოლებში რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის 7073 მასწავლებელი, მათგან 655 დაუმთავრებელი უმაღლე-

სი ან საშუალო განათლებითაა. კვლავ მწვავედ დგას რუსული ენის კვალიფიციური მასწავლებლებით დაწყებითი სკოლების დაკომპლექტების საკითხი. არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა რუსულ ენასა და ლიტერატურას სოფლის სკოლებში არასპეციალისტები ასწავლიან. გადაწყვეტას მოითხოვს ახალგაზრდა სპეციალისტების აღგილებზე, განსაკუთრებით სოფლად, დამაგრების საკითხი. გასულ, 1988 წელს გეგმით გათვალისწინებული 243 სპეციალისტიდან განაწილებულ იქნა მხოლოდ 173. აქედან კი განაწილების ადგილზე გამოცხადდა 149, მაშინ, როცა 200-ზე მეტ სკოლაში საკანს საშუალოგანათლებულები ასწავლიან.

რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ატესტაციის მიზნით ჩატარებული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, როცა „მასწავლებელ-მეთოდისტისა" და „უფროსი მასწავლებლის" საპატიო წოდებები დაიმსახურა შესაბამისად 204-მა და 456-მა პედაგოგმა, საატესტაციო კომისიები მასწავლებელთა შრომის შედეგების შეფასებას მიუდგნენ უკიდურესად ფორმალურად, ლიბერალურად. 1983 წლიდან დღემდე თანამდებობისათვის შეუფერებლად იქნა ცნობილი მხოლოდ 4 პედაგოგი.

საგრძნობლად ჩამორჩება მოთხოვნებს სასწავლო-მატერიალური ბაზა, რაც შესაბამის უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხზე, სკოლების 60 და პროფტექსასწავლებლების 25 პროცენტს ჯერ კიდევ არ გააჩნია სათანადოდ აღჭურვილი რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტები. უფრო მეტი, ყოველ მეათე სკოლასა და ყოველ მესამე პროფტექსასწავლებელში მოუწყობელია ლინგაფონის კაბინეტები. სათანადო აღჭურვილობის უკმარისობას განიცდიან რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები. საჭირო რაოდენობით არ არის თვალსაჩინოება და სხვ.

საგნის სწავლების სრულყოფისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა სისტემაში კვლავაც სუსტ რგოლად რჩება მართვის ორგანოების, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრისა და სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელების მიერ სადირექტივო მითითებებისა და მეთოდური რეკომენდაციების შესრულებაზე კონტროლი, რასაც ხშირად საკითხის ფორმალურ, უხარისხო გადაწყვეტამდე მივყავართ. მეთოდკაბინეტები ვერ იქცნენ მეთოდური მუშაობის ცენტრებად, მასწავლებელთა შემოქმედებითი აქტივობის ორგანიზატორებად, კვლევითი და ექსპერიმენტული საქმიანობის წარმმართველებად. ვერ გამოიკვეთა ამ საქმეში დარგობ-

რივი ჟურნალის „რუსსკოე სლოვოს“ პოზიცია, რომელსაც აშკარად აკლია ოპერატიულობა.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა შედეგია, რომ კვლავ არასაკმარისი რჩება რესპუბლიკის არარუსული სკოლების კურსდამთავრებულთა მიერ რუსული ენის ცოდნის დონე, ჩამორჩება თანამედროვეობის მოთხოვნებს.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს არარუსულ სკოლაში რუსული ენის სწავლების ყველა კომპონენტის ყოველმხრივ ანალიზს, მოცემული საგნის სწავლებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოვლენასა და სწრაფად აღმოფხვრას, რუსული ენის სწავლების შინაარსის დაზუსტებას, სწავლების ყველაზე უფრო ეფექტური ხერხებისა და მეთოდების ძიებას, რათა შემუშავებულ იქნეს არარუსულ სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის შესწავლისა და სწავლების ერთიანი სისტემა, დაუყოვნებლივ გადაწყდეს მომწიფებული პრობლემები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების 1989—1993 წლების კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

2.1. შეიმუშაონ და განახორციელონ სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების დამატებითი ღონისძიებანი;

2.2. შეიმუშაონ რუსული ენის გაღრმავებული სწავლების სკოლებისა და კლასების ქსელის გაფართოების 1989—1993 წლების გეგმა. მიიღონ ზომები მისი შესრულებისათვის;

2.3. 1990—1991 წლებში უზრუნველყონ ყველა სასწავლო დაწესებულებაში რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების მოწყობა, მათი აღჭურვა ლინგაფონის აპარატურით, სწავლების სხვა ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე სასწავლო თვალსაჩინოებით. მიიღონ ზომები სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში მათი ეფექტური გამოყენებისათვის; 1989—1990 წ.წ. შეამოწმონ რუსული ენისა და ლიტერატურის კაბინეტების სასწავლო თვალსაჩინოებით, სასწავლო მოწყობილობით აღჭურვის მდგომარეობა

ნორმატიული დოკუმენტებით გათვალისწინებული ნუსხების მოთხოვნათა მიხედვით. შემოწმების შედეგების შესაბამისად განახორციელონ აღნიშნული კაბინეტების მოწყობის ღონისძიებანი.

3. მინისტრის მოადგილეებმა ამხ. ამხ. ნ. გურგენიძემ, რ. ხუროძემ:

3.1. რუსულ ენაში ახალი სასწავლო პროგრამებისა და სახელმძღვანელოების შექმნის მიზნით, კოორდინაცია გაუკეთონ რესპუბლიკაში არსებულ მეცნიერულ-კვლევით და მეთოდიკურ ძალებს (მეცნიერებათა აკადემიის ენის, ლიტერატურის, ფსიქოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი კათედრები, პედმეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი, რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი);

3.2. სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოზე განიხილონ მათი აქტუალობის თვალსაზრისით რუსული ენის სწავლების დარგში ჩატარებული სამეცნიერო კვლევის გეგმები, მიმართული სწავლების თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფისაკენ.

4. ექსპერიმენტულმა სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურმა გაერთიანებამ (ამხ. შ. ამონაშვილი):

4.1. 1989 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს და სამინისტროში წარმოადგინოს რუსული ენის სწავლების დარგში სამეცნიერო კვლევის 1989—1993 წლების გეგმა, რომელშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს სოფლის სკოლაში მუშაობის პრობლემებზე;

4.2. შეიმუშაოს და განსახილველად წარმოადგინოს წინადადებები რესპუბლიკის არაქართულ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რუსული ენის სწავლების მეთოდოლოგიის სრულყოფის თაობაზე. განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს სოფლის პირობებთან ადაპტირებული რუსული ენის სწავლების მეთოდიკის დამუშავებაზე.

5. ზოგადი, საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ამხ. ა. ეჯიბაძე, ე. ქურციკიძე), უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველომ (ამხ. ამხ. რ. ხუროძე, ჯ. კორძაია), სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

5.1. უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლები, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლები რუსული ენის ახალი, გაუმჯობესებული სასწავლო პროგრამებით და სახელმძღვანელოებით;

5.2. სახელმძღვანელოებისა და სხვა დამხმარე ლიტერატურის სრულყოფის მიზნით, ფართოდ დანერგონ მათი საკონკურსო-შერჩევა, პარალელური სახელმძღვანელოების ფუნქციონირება;

5.3. პრაქტიკაში დანერგონ რუსული ენის ექსპერიმენტული საცდელი სახელმძღვანელოები, რომელთა მომზადებაში, მეცნიერებთან ერთად, ფართოდ მიიზიდონ მოწინავე მასწავლებლები, მეთოდისტები.

6. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი), ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ამხ. ა. ეჯიბაძე, ე. ქურციკიძე), ექსპერიმენტულმა სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურმა გაერთიანებამ (ამხ. შ. ამონაშვილი), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. ვ. ყვანია), რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ა. კაპანაძე):

6.1. უზრუნველყონ რუსულ ენაში სამეცნიერო და სასწავლო-მეთოდური მასალების, სახელმძღვანელოების, ლექსიკონების, სასაუბრარების; რუსული ენის თვითმასწავლებლების, რუსი მწერლების ნაწარმოებების ადაპტირებული ტექსტების, ფონოქრესტომათიების დროული მომზადება ახალი სასწავლო პროგრამის შესაბამისად, მოამზადონ დიაფილმები და დიაპოზიტივები.

7. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი):

7.1. საქართველოს სსრ გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტთან და წიგნით ვაჭრობის ორგანიზაციებთან ერთად შეიმუშაოს სკოლების, პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების ბიბლიოთეკების რუსულ ენაზე დაწერილი აუცილებელი სასწავლო, მეთოდური, პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურით უზრუნველყოფის გეგმა, განახორციელოს მისი რეალიზაციის ღონისძიებანი;

7.2. მიიღოს ზომები ჟურნალ „რუსსკოე სლოვოს“ დროულად გამოსვლისათვის.

8. ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე), მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. ვ. ყვანია):

8.1. 1989 წლის 1 მარტამდე განსაზღვრონ 1989—1993 წლებისათვის რუსული ენის გაღრმავებული სწავლების სკოლების ნუსხა მათში სწავლის მსურველთა მოთხოვნის დაკმაყოფილების გათვალისწინებით;

8.2. 1989 წლის 1 მარტამდე შეიმუშაონ და სამინისტროში წარმოადგინონ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსების მუშაობის შედეგების გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი; შეიმუშაონ კვალიფიკაციის ამაღლების შედეგებისადმი კონტროლის სისტემა.

9. სამეცნიერო, ხელმძღვანელი, პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ამხ. ა. ჭაჭია), საგეგმო-საფინანსო სამმართველოსა (ამხ. ი. ისაშვილი) და ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან ერთად (ამხ. გ. გვარამია):

9.1. განსაზღვროს რუსული ენის მასწავლებლებზე სკოლებისა და სხვა სასწავლო დაწესებულებების მოთხოვნა 1989—1993 წლებისათვის; გააკეთოს აღნიშნული საგნის მასწავლებელთა ხარისხობრივი შემადგენლობის ღრმა ანალიზი და ამის საფუძველზე დასახოს მისი ამაღლების კონკრეტული ღონისძიებანი;

9.2. სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად მიიღოს ზომები რუსული ენის მასწავლებელთა კვალიფიციური კადრებით სოფლის, განსაკუთრებით მაღალმთიანი სოფლის სკოლების უზრუნველსაყოფად;

9.3. პროგრამაში „კადრები“, რომელიც ამჟამად მუშავდება, განსაკუთრებული ადგილი დაუთმოს რუსული ენის მასწავლებელთა მომზადებას, მათთან მუშაობის გაუმჯობესების საკითხებს;

9.4. უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლების სამმართველოსთან (ამხ. ამხ. რ. ხუროძე, ჯ. კორძაია), ექსპერიმენტულ სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურ გაერთიანებასთან ერთად (ამხ. შ. ამონაშვილი), შეიმუშაოს და 1989 წლის 1 მარტამდე წარმოადგინოს წინადადებები ადგილობრივ მკვიდრთაგან არარუსულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდიკაში მეცნიერული კადრების მომზადების სისტემის გაფართოების შესახებ.

10. დაწყებითი სამხედრო მომზადების განყოფილებამ (ამხ. შ. ჩქარეული), საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატთან ერთად, შეიმუშაოს წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდების მიერ რუსული ენის ცოდნის სრულყოფის ღონისძიებათა პროგრამა.

11. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა (ამხ. ნ. ამაღლობელი) განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი ახლახანს შექმნილი ტიპოლოგიური ცენტრის მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, მისი ნაყოფიერი მუშაობისათვის საუკეთესო პირობების შექმნისათვის.

12. საზოგადოებრივ მეცნიერებათა და აღმზრდელობითი მუშა-

ობის სამმართველომ (ამხ. ნ. კირვალიძე) 1989 წლის 1 მარტამდე შეიმუშაოს მოსწავლეთა რუსულ ენაზე მეტყველების უნარ-ჩვევათა გამომუშავების მიზნით კლასგარეშე და სკოლისგარეშე, კულტურულ-სანახაობრივი დაწესებულებების, პიონერთა ბანაკების, შრომისა და დასვენების ბანაკების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებანი.

13. ჟურნალ „რუსსკოე სლოვოს" რედაქტორმა (ამხ. ა. ლორთქიფანიძემ) ფართო პროპაგანდა გაუწიოს მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას, ჟურნალის ფურცლები სულ უფრო მეტად დაუთმოს პრაქტიკული შინაარსის პუბლიკაციებს.

14. აღნიშნული გადაწყვეტილების შინაარსი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში".

15. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოთ მინისტრის მოადგილეებს ამხ.-ებს ნ. გურგენიძეს, რ. ხუროძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კოლეგიების 1989 წლის 26 იანვრის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის სამედიცინო სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და ახალგაზრდა სპეციალისტების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

კოლეგიები აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის სამედიცინო სასწავლებლების დირექციები საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად გარკვეულ მუშაობას ატარებენ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვის საშუალო რგოლის სამედიცინო სპეციალისტები მზადდება 7 სასწავლებელში. არსებობის მანძილზე მათ მოამზადეს და გამოუშვეს 47197 სპეციალისტი. სასწავლებლები დაკომპლექტებულია კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით. აქ 279 ძირითადი და 441 შემთავსებელი მასწავლებელია. დატვირთვა ძირითადად დაწესებულ ნორმას არ აღემატება. გაუმჯობესდა სასწავლო-მეთოდური და აღმზრდელობითი მუშაობა, პედაგოგიურ კოლექტივსა და მოსწავლეთა შორის განმტკიცდა შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინა, მასწავლებელთა უმრავლესობა მეცადინეობას ატარებს სათანადო იდეურ-თეორიულ დონეზე, რაზეც მეტყველებს სარევიზიო-საკონტროლო წერების შედეგად მიღებული მაჩვენებლები. 1987—1988 სასწავლო წლის ბოლოსათვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება შეადგენდა 98,8%, ხარისხობრივი მაჩვენებლები — 40,2%.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბრძა-

ნებით, სასწავლებლებს პრაქტიკის ბაზებად გამოყოფილი აქვთ, მათი მდებარეობის შესაბამისად, ქალაქებსა და რაიონებში სამკურნალო დაწესებულებები, სადაც მიმდინარეობს მოსწავლეთა მიერ პრაქტიკული ჩვევების ათვისება.

კოლეგიები ამასთანავე აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის (1988 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებების განხორციელება რესპუბლიკის სამედიცინო სასწავლებლებში. ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების, მისაღები გამოცდების ორგანიზაციის, კურსდამთავრებულთა განაწილება-დამაგრების საქმეში მათ ჯერ კიდევ გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებები. თბილისის სასწავლებლების გარდა, ძალიან ძნელდება პედაგოგიური კადრებით დაკომპლექტება, მომუშავე პედაგოგებიდან ძირითადია მხოლოდ 38,7%. არ ხდება შემთავსებელი მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება. მიმდინარე ხუთწლედის განვლილ სამ წელიწადში კვალიფიკაცია აიმაღლა მხოლოდ 35,5%. ძირითადი მასწავლებლები კვალიფიკაციას იმაღლებენ რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს რესპუბლიკაში ექიმი-მასწავლებლებისათვის საკვალიფიკაციო კურსების ჩამოყალიბება.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სამედიცინო სასწავლებლების სასწავლო-მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის საქმეში. შვიდი სასწავლებლიდან საკუთარი ბაზა გააჩნია მხოლოდ ერთს (სოხუმის სამედიცინო სასწავლებელს), დანარჩენები თეორიულ მეცადინეობებს ატარებენ მეორე ცვლაში არენდით აღებულ სკოლის შენობაში, რაც საგრძნობლად აძნელებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობას, მოსწავლეთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული და სხვა საჭირო ღონისძიებების ჩატარებას.

რესპუბლიკის საშუალო სამედიცინო სასწავლებლებში 1988 წელს დღის განყოფილებაზე სულ მისაღები იყო 1460 მოსწავლე, საღამოს განყოფილებაზე — 40. შესაბამისად ჩაირიცხა 1454 (99,5%) და 48 (120%).

დებულების უხეში დარღვევებით ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელში ჩაირიცხნენ 1988 წელს სკოლადამთავრებული აბიტურიენტები: ნ. ჯაჯანიძე და მ. ჭელიძე. მიღების წესების საინსტრუქციო წერილის დარღვევითაა ჩარიცხული სასწავლებელში კიდევ ათი ახალგაზრდა, რომლებმაც დაიკავეს კონკურსგარეშე დარჩენილი აბიტურიენტების ადგილი.

მიღების წესების დარღვევით ქუთაისისა და თბილისის I სამედიცინო სასწავლებლებში ჩარიცხულ იქნენ აბიტურიენტები სავალდებულო სტაჟის გარეშე (მ. ჟორჟოლიანი, ლ. პავლიაშვილი).

თითქმის ყველა სამედიცინო სასწავლებელში მისაღები გამოცდების წერითი ნამუშევრების შემოწმების შედეგად გამოვლინდა აბიტურიენტთა მომზადების დაბალი დონე, რასაც ადასტურებს ნაშრომების ძირითადად დამაკმაყოფილებლად შეფასება.

მისაღებ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში აბიტურიენტთა წერითი ნამუშევრების გასწორებისას ადგილი ჰქონდა შეცდომების შეუნიშნავად დატოვების ფაქტებს, ნიშნის აშკარად მომატებას, ყოველივე ამან გამოიწვია მათი სასწავლებლებში ჩარიცხვა. მაგ. თბილისის I სამედიცინოში ასეთი სამი შემთხვევაა, თბილისის III სამედიცინოში — სამი, ცხინვალის სამედიცინოში — ოთხი, ქუთაისის სამედიცინოში — ცხრა.

კოლეგიები თვლიან, რომ საგანგაშოა სამედიცინო სასწავლებლებში ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების და მათი სამუშაოზე დამაგრების საკითხი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქუთაისისა და ცხინვალის სასწავლებლებში, რომლებსაც ბოლო სამი წლის განმავლობაში არცერთი გეგმიური ადგილი არ მიუღიათ, ხოლო სამუშაოზე დამაგრდა შესაბამისად 27,4% და 9,6%.

უნდა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა სამუშაოზე მოწყობის დღევანდელი მდგომარეობა ეჭვის ქვეშ აყენებს ქუთაისისა და ცხინვალის სასწავლებლების არსებობის საკითხს. საგანგებო შესწავლას მოითხოვს მისაღები კონტინგენტის რაოდენობისა და საშუალო რგოლის სამედიცინო სპეციალისტებზე რეალურ მოთხოვნათა დაგეგმვა.

ნაკლოვანებებით ხასიათდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა თითქმის ყველა სამედიცინო სასწავლებელში, განსაკუთრებით კი ცხინვალსა და ქუთაისში. აქ არ ინერგება სწავლების პროგრესული ფორმები და მეთოდები, სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება საგნობრივი (ციკლობრივი), შიდასასწავლებლო კონტროლის კომისიების საქმიანობა, ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების განვითარებას, დარღვევებია სასწავლო დოკუმენტაციის წარმოებაში. სასწავლებლებში იგრძნობა სახელმძღვანელოების ნაკლებობა მშობლიურ ენაზე.

გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს, რომ თბილისის მესამე სამედიცინო სასწავლებელში ფარმაცევტული განყოფილების გამგედ დანიშნულია არასპეციალისტი (სტომატოლოგი).

რესპუბლიკის სამედიცინო სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მეთოდური მუშაობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის, მისაღები გამოცდების ორგანიზაციისა და კურსდამთავრებულთა განაწილება-დამაგრების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებები მიუთითებენ, რომ აღნიშნულ საკითხებს არასათანადო ყურადღება ეთმობა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სასწავლო დაწესებულებების განყოფილების მიერ.

კოლეგია ადგენს:

1. სახალხო განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალური განათლების განყოფილებისა და სასწავლო დაწესებულებათა რესპუბლიკური ინსპექციის მოხსენებითი ბარათი მიღებულ იქნეს ცნობად.

2. არადამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს ის მუშაობა, რომელიც სამედიცინო სასწავლებლებში ტარდება საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა მიხედვით ახალგაზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

3. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

3.1. კოლეგიის გადაწყვეტილება განიხილოს სამედიცინო სასწავლებლების დირექტორთა თათბირზე, სადაც ფართო მსჯელობის საგნად გახადოს სამედიცინო დარგის საშუალო რგოლის კვალიფიკაციურ სპეციალისტთა გამოშვების საკითხები;

3.2. მეტი ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეს, რისთვისაც დაისვას საკითხი სადირექტივო ორგანოების წინაშე რესპუბლიკაში ექიმი-მასწავლებლებისათვის კვალიფიკაციის ამაღლების კურსების ჩამოყალიბების შესახებ;

3.3. მკვეთრად გააუმჯობესოს მოსწავლეთა სასწავლო პრაქტიკის ეფექტურობა, პრაქტიკის ობიექტებად შეარჩიოს მოწინავე სამკურნალო დაწესებულებები, გაზარდოს მომთხოვნელობა და კონტროლი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ხელმძღვანელთა მიმართ, რათა მნიშვნელოვნად ამაღლდეს მოსწავლეთა პრაქტიკული მომზადების ხარისხი.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს:

4.1. საორგანიზაციო და ხელმძღვანელ მუშაკთა კადრების სამმართველომ (ამხ. კ. ბარქაია), კურსდამთავრებულთა განაწილება-დამაგრების საქმეში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, მიიღოს საჭირო ზომები ახალგაზრდა სპეციალისტთა შრომითი მოწყობის უზრუნველსაყოფად;

4.2. ტექნიკურმა სამმართველომ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინოს რესპუბლიკის საშუალო სამედიცინო სასწავლებლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საკითხებისადმი და მიმდინარე წლის ივნისამდე წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები სათანადო ასიგნებათა გაანგარიშებით.

4.3. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ზ. ჯინჯიხაძე), საორგანიზაციო და ხელმძღვანელი კადრების სამმართველომ (ამხ. კ. ბარქაია) და სასწავლო დაწესებულებების განყოფილებამ (ამხ. გ. ხუფენია) 1989/90 სასწავლო წლისათვის გამონახონ შესაძლებლობა სამედიცინო სასწავლებლების ძირითად ექიმ-პედაგოგებისათვის 0,25—0,5 საშტატო ერთეულებით დაკომპლექტებისათვის.

5. სასწავლო-აღმზრდელობით, მეთოდურ მუშაობაში არსებული ხარვეზებისათვის, ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილება-დამაგრების საქმეში გამოჩენილი უკონტროლობისათვის. 1988 წელს მისაღები გამოცდების დროს დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორი ამხ. დ. ნიკოლეიშვილი განთავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან.

6. პარტიის სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტის წინაშე დაისვას საკითხი ცხინვალის სამედიცინო სასწავლებლის დირექტორის ამხ. ა. ჯიოევის დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობის მიზანშეწონილობის განხილვის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის, შიდასასწავლო კონტროლის საორგანიზაციო კომისიის, ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილება-დამაგრების საქმეში არსებული დარღვევებისა და უკონტროლობისათვის.

7. გაფრთხილებულ იქნენ სამედიცინო სასწავლებლების დირექტორები, რათა აბიტურიენტთა მიღებისა და ჩარიცხვის დროს ზუსტად დაიცვან მიღების წესებით გათვალისწინებული მოთხოვნები, შეფასების ნორმები. გადაწყვეტილებაში აღნიშნული მსგავსი ნაკლოვანებების განმეორების შემთხვევაში მათ მიმართ გატარებული იქნება მკაცრი ადმინისტრაციული ზომები. გადასინჯონ საშტატო თანამდებობების დაკომპლექტების საკითხი და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნონ არაშემთავსებელი, შესაბამისი საბაზო განათლების მქონე პირები.

8. დაევალოთ რესპუბლიკის საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორებს:

8.1. კოლეგიის გადაწყვეტილება განიხილონ პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები ახალგა-

ზრდა სპეციალისტთა მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების, სწავლა-აღზრდის ერთიანი სისტემის სრულყოფისათვის;

8.2. სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის ძირითად მიმართულებათა შუქზე მკვეთრად აამაღლონ სასწავლებლებში იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა, უზრუნველყონ მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, აამაღლონ საგნობრივი წრეებისა და მოსწავლეთა ტექნიკური შემოქმედების სექციების მუშაობა, რეგულარულად მოაწყონ შეხვედრები რესპუბლიკის გამოჩენილ ადამიანებთან, მეცნიერებთან, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლებთან;

8.3. პედაგოგიურ მუშაობაში ფართოდ გამოიყენონ სწავლების პროგრესული მეთოდები და ტექნიკური საშუალებები, გააუმჯობესონ სასწავლო-ტექნოლოგიური, საწარმოო პრაქტიკების ჩატარების ორგანიზაცია და ხარისხი;

8.4. მკაცრად დაიცვან მიღების წესებითა და საინსტრუქციო წერილით გათვალისწინებული მოთხოვნები 1989 წლის მისაღები გამოცდების მზადებისა და ჩატარების პერიოდში.

9. დაევალოს სახალხო განათლების სამინისტროს ხელმძღვანელი, სამეცნიერო-პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს (ამხ. ა. ჭაჭია), შეისწავლოს სამედიცინო სასწავლებლების სოცეკონომიკური და ზოგადსაგანმანათლებლო ციკლის პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები.

10. დაევალოს სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველოს (ამხ. ნ. ღლონტი) გაატაროს დამატებითი ღონისძიებები გამომცემლობა „განათლების“ ხაზით სამედიცინო სასწავლებლების სახელმძღვანელოების გამოცემის დაჩქარებისათვის.

11. დაევალოს სახალხო განათლების სამინისტროს საშუალო სპეციალური განათლების განყოფილებას (ამხ. დ. ლოლაძე), მეტი ყურადღებით მოეკიდოს რესპუბლიკის ტექნიკუმებსა და სასწავლებლებში ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების საკითხებს;

12. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოთ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ა. ხუროძეს და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ა. ღლონტს.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გ. ენუქიძე	საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ი. მენაღარიშვილი

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის სკოლებში პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის მიმდინარეობის თაობაზე ი. გოგებაშვილის სახელობის პედმეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილის ამხ. ლ. ჩიქვანაიას ინფორმაციის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ ი. გოგებაშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ქუთაისის, ფოთის, თბილისის კალინინის, ორჯონიკიძის, საბურთალოს, ლენინის, გლდანის და საგარეჯოს რაიონის განათლების განყოფილებებმა, სკოლებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის წარმატებით განხორციელებისათვის. მათ მიერ გაწეული მოსამზადებელი მუშაობის შედეგად დაკომპლექტდა ექსპერიმენტული კლასები, ჩატარდა მასწავლებელთათვის მეთოდური სემინარები, მოეწყო ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები, რამაც ხელი შეუწყო ექსპერიმენტში მონაწილე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას, სასწავლო პროცესის სრულყოფას. გაუმჯობესდა ექსპერიმენტული სკოლების მატერიალური ბაზა. მათი რიცხვი დღეისათვის შეადგენს 21-ს 55 ექსპერიმენტული კლასით.

ამასთან, არის სერიოზული ნაკლოვანებებიც: დღემდე სათანადოდ არ არის დახვეწილი კლასების დაკომპლექტების კრიტერიუმი, ხარვეზებია პედაგოგიური კადრების შერჩევაში, სრულყოფას მოითხოვს როგორც ინსტიტუტის, ასევე ექსპერიმენტული სკოლების მატერიალური ბაზა. დღემდე ვერ გადაწყდა ექსპერიმენტის საშტატო-ფინანსური უზრუნველყოფა. ყოველივე ეს დაბრკოლებებს უქმნის ექსპერიმენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის მიმდინარეობისა და შემდგომი გაფართოების მიზნით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ (ამხ. მ. მინდაძე) ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (ამხ. ამხ. შ. ამონაშვილი, ლ. ჩიქვანაია) ერთად, ა. წ. აპრილამდე შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებები პროფილირებული სწავლების მოდელზე ქ. თბილისის ერთ-ერთი რაიონის გადასაყვანად.

3. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. ამხ. შ. ამონაშვილი, ლ. ჩიქვანაია), აბაშის (ამხ. ა. ცანავა), გეგეჭკორის (ამხ. ნ. ჯვებენავა) და ტყიბულის (ამხ. ბ. ორჯონიკიძე) რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებთან ერთად ჩაატაროს მოსამზადებელი სამუშაოები პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის 1989-90 სასწავლო წლიდან დასაწყებად. ამასთან, გაითვალისწინოს სასოფლო რაიონების სპეციფიკა და სწავლების შინაარსი შეუფარდოს რეგიონის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივებს.

4. დამტკიცდეს ექსპერიმენტული სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების 1989 წლის პროგრამა. დაევალოს საგეგმო-საფინანსო (ამხ. ი. ისაშვილი) და მომარაგებისა და გასაღების (ამხ. გ. გოდერძიშვილი) სამმართველოებს, შესაბამის სახალხო განათლების განყოფილებებთან ერთად უზრუნველყონ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების წლის ბოლომდე მოგვარება.

5. ნება დაერთოთ ექსპერიმენტული სკოლის დირექტორებს საკუთარი შეხედულების მიხედვით გამოიყენონ სასწავლო გეგმების თავისებურებებით განპირობებული ხელფასის ეკონომია ლაბორატორიულ სამუშაოებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე კლასების გაყოფისა და მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებისათვის.

6. რესპუბლიკურმა სამეცნიერო-მეთოდურმა ცენტრმა (ამხ. ა. კაპანაძე) ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები არსებული საშტატო ერთეულების ფარგლებში პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის მეთოდური მომსახურებისათვის მეთოდისტთა ჯგუფის გამოყოფის თაობაზე.

7. ზოგადი საშუალო განათლების განყოფილებამ (ამხ. ე. ქურ-

ციკიძე), ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტთან (ამხ. ამხ. შ. ამონაშვილი, ლ. ჩიქვანაია) ერთად, ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი პროფილირებულ კლასებში გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ.

8. მომარაგებისა და გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი) დააკმაყოფილოს ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გასამრავლებელი აპარატურით და გამონახოს შესაძლებლობანი ლიმიტის ზემოთ საბეჭდი ქაღალდის გამოსაყოფად.

9. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. ვ. ჟვანია), ექსპერიმენტის მეთოდური უზრუნველყოფის მიზნით 1989—1990 სასწავლო წლის დაწყებამდე განახორციელოს მასში ჩაბმული მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებანი.

10. ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა (ამხ. ამხ. შ. ამონაშვილი, ლ. ჩიქვანაია), პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტში ჩაბმულ მკვლევართა და პრაქტიკის მასწავლებელთა ძალებით მოამზადოს და მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში ჩაატაროს სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „დიფერენცირებული სწავლების როლი უფროსკლასელთა შემეცნებითი აქტივობის ამაღლების საქმეში ორწლიანი პედაგოგიური ექსპერიმენტის შედეგების მიხედვით“.

11. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. ნ. გურგენიძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიფერენციული სწავლების ექსპერიმენტული სკოლების მატერიალური ბაზის განმტკიცების პროგრამა 1989 წლისათვის

№	დასახელება	რაოდენობა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
	თბილისი, კალინინის რაიონი		
	I-ლი საშუალო სკოლა		
1.	კომპიუტერის კლასი	1	
	51-ე საშუალო სკოლა		
2.	ქიმიის კაბინეტის კომპლექტი	1	
	53-ე საშუალო სკოლა		
3.	ლინგაფონის კაბინეტი	1	
4.	ფერადი ტელევიზორი	1	
5.	კომპიუტერის კლასი	1	
	ორჯონიკიძის რაიონი		
	55-ე საშუალო სკოლა		
6.	საბეჭდი მანქანა	15	
	57-ე საშუალო სკოლა		
7.	ტელევიზორი	2	
8.	მაგნიტოფონი	2	
9.	საკლასო ინვენტარი	2	

№	დასახელება	რაოდენობა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
	101-ე საშუალო სკოლა		
10·	ლინგაფონის კაბინეტი	1	
11·	კინოპროექტორი	3	
12·	კოდოსკოპი	3	
13·	ტელევიზორი	3	
14·	ეპიდიოსკოპი	3	
	126-ე საშუალო სკოლა		
15.	ქიმიის კაბინეტის კომპლექტი	1	
	II ექსპ. სკოლა		
16.	ქიმიის კაბინეტის კომპლექტი	1	
17.	ამწოვი კარადა	1	
	საბურთალოს რაიონი		
	I-ლი ექსპერიმენტული სკოლა		
18.	ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობა	1	
19.	ბიოლოგიის კაბინეტის მოწყობილობა	1	
20.	ქიმიის კაბინეტის კომპლექტი	1	
	ლენინის რაიონი		
	112-ე საშუალო სკოლა		
21.	ლინგაფონის კაბინეტი	1	
22.	საბეჭდი მანქანა	15	

№	დასახელება	რაოდენობა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
23.	ტელევიზორი	2	
24.	კინოპროექტორი	2	
	48-ე საშ. სკოლა		
25.	ქიმიის კაბინეტის კომპლექტი	1	
26.	საკლასო ინვენტარი	1	
	164-ე საშ. სკოლა		
27.	ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობა	1	
28.	სადურგლო ჩარხი	1	
29.	საზეინკლო ჩარხი	1	
30.	ტელევიზორი	2	
31.	კალკულატორები	50	
	154-ე საშ. სკოლა		
32.	ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობა	1	
33.	მათემატიკის კაბინეტის მოწყობილობა	1	
34.	კინოპროექტორი	3	
35.	კოდოსკოპი	3	
36.	ტელევიზორი	3	
37.	ხაზვის კაბინეტის მოწყობილობა	1	
	132-ე საშ. სკოლა		
38.	საბეჭდი მანქანა	15	

№	დასახელება	რაოდენობა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
39.	კინოპროექტორი	3	
40.	კომპიუტერის კლასი	1	
41.	საკლასო ინვენტარი	3	
	გლდანის რაიონი		
	მე-16 საშ. სკოლა		
42.	ქიმიის კაბინეტის კომპლექტი	1	
43.	ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობა	1	
44.	ლინგაფონის კლასი	1	
	ქუთაისის მე-19 სკოლა		
45.	ქიმიის კაბინეტის მოწყობილობა	1	
46.	ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობა	1	
47	ლინგაფონის კაბინეტი	1	
48.	კომპიუტერის კლასი	1	
	ფოთის 1-ლი საშ. სკოლა		
49.	სასკოლო ინვენტარი	1	
	მე-2 საშ. სკოლა		
50.	ფიზიკის კაბინეტის მოწყობილობა	1	

№	დასახელება	რაოდენობა	პასუხისმგებელი შესრულებაზე
	მე-5 საშუალო სკოლა		
51.	ლინგაფონის კლასი	1	
52.	კომპიუტერის კლასი	1	
	საგარეჯოს რაიონი		
	I-ლი საშუალო სკოლა		
53.	კომპიუტერის კლასი	1	
	მე-4 საშ. სკოლა		
54.	ჭიმიის კაბინეტის კომპლექტი	1	
55.	საბეჭდი მანქანა	15	

პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტთან დაკავშირებით მოწვეული არიან:

1. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე ამხ. ვ. ჩიფჩიური;
2. ლენინის რაიონის განათლების განყ. გამგე — ამხ. დ. კალანდაძე;
3. კალინინის —„— — ამხ. ე. ძნელაძე;
4. კიროვის —„— — ამხ. კ. გაგნიძე;
5. ოქტომბრის —„— — ამხ. თ. ანდრიაძე;
6. გლდანის —„— — ამხ. ი. ბენდელიანი;
7. საქარხნო —„— — ამხ. თ. ნაცვლიშვილი;
8. ორჯონიკიძის —„— — ამხ. აკ. ვარაზაშვილი;
9. საბურთალოს —„— — ამხ. არჩ. ღამბაშიძე;
10. 26 კომისრის განათ. განყ. გამგის მოადგილე ამხ. ვ. ჩიფჩიური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა

პუნქტი № 8 — გასამრავლებელ აპარატურაზე მომარაგება-გასაღების სამმართველოს 1989 წლისათვის განაცხადი არ წარუდგენია მომარაგების ზემდგომ ორგანოებში მისი მოთხოვნის უქონლობის გამო.

განაცხადი წარდგენილი იქნება 1990 წლისათვის.

მომარაგება-გასაღების სამმართველო

ინფორმაცია

პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის მიმდინარეობისა და შემდგომი გაფართოების შესახებ

პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტი დაიწყო გასულ, 1987/88 სასწავლო წელს, თბილისის I-ლ ექსპერიმენტულ, 48-ე, 112-ე და 164-ე საშუალო სკოლებში. გაიხსნა სამი პროფილის ორწლიანი კურსის ექვსი მე-10 კლასი. მიმდინარე სასწავლო წლიდან ექსპერიმენტის მასშტაბები მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მასში ჩაება თბილისის ხუთი რაიონის 15 საშუალო სკოლა, ქალაქების— ფოთისა და ქუთაისის, აგრეთვე საგარეჯოს რაიონის სკოლები. სულ. ექსპერიმენტი მიმდინარეობს 21 საშუალო სკოლის 55 კლასში. მათ შორის, 32 კლასი სამწლიანი კურსით მუშაობს. ექსპერიმენტში ჩაბმულია 1500-მდე მოსწავლე და 300-ზე მეტი მასწავლებელი. ექსპერიმენტი გაფართოვდა შინაარსობრივადაც. გარდა „ტრადიციული“ პროფილებისა, გაიხსნება გამოყენებითი ხელოვნებისა და ფიზიკა-ტექნიკური (ან უკეთ, ტექნიკური) პროფილის თითო მე-9 კლასში თბილისის 53-ე და 154-ე საშუალო სკოლებში;

— იცდება, როგორც რამდენიმე პროფილიანი, ისევე თითო პროფილიანი სკოლის მოდელი, ექსპერიმენტული კლასები მუშაობენ ორი სხვადასხვა ტიპის სასწავლო გეგმით და ზუსტდება მათი საბოლოო ვარიანტები.

ექსპერიმენტის გაფართოებას სერიოზული მოსამზადებელი მუშაობა უძღოდა წინ. აღსანიშნავია, რომ უმოკლეს დროში, სულ რაღაც 2-3 თვის განმავლობაში, ინსტიტუტის რეორგანიზაციისა და საშუალო და პროფესიული სკოლის განყოფილების ჩამოყალიბების შემდეგ, მომზადდა და სამ წიგნად გამოიცა სასწავლო პროგრამები

როგორც მაპროფილებელ, ასევე არამაპროფილებელ საგნებში. დიდი მასშტაბის სამუშაოები ჩატარდა ადგილებზე სახალხო განათლების, რაიონული ორგანოებისა და სკოლის დირექტორების უშუალო მონაწილეობით; მოეწყო მშობელთა და მოსწავლეთა კრებები, შეხვედრები პედაგოგიურ კოლექტივებთან. ეს შეხვედრები, უმთავრესად, ფართო საზოგადოებისადმი პროფილირებული სწავლების თავისებურებების გაცნობას ისახავდა მიზნად. ამას ემსახურებოდა არაერთი საგაზეთო თუ საჟურნალო სტატიაც, სატელევიზიო გადაცემაც. ინსტიტუტის თანამშრომლებმა სათანადო მუშაობა გასწიეს პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში. აგვისტოში ჩატარდა სემინარები ექსპერიმენტში ჩაბმულ მასწავლებელთათვის, სადაც ისინი გაეცნენ პროფილირებული სწავლების ძირითად პრინციპებს, ზოგად-მეთოდურ მიმართულებებს, სასწავლო პროგრამების აგების თავისებურებებსა და სხვა. განვლილი პერიოდის მანძილზე ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლების მიერ ჩატარებულია ათეულობით ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაცია; დამუშავდა და რედაქციებს გადაეცა 15-ზე მეტი სამეცნიერო ხასიათის სტატია, საგაზეთო წერილი. მათ შორის, ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია.

პირველი სემესტრის ბოლოს, ზამთრის არდადეგებზე მოეწყო ექსპერიმენტატორ მასწავლებელთა მეორე შეკრება. შეკრებაზე ჩამოსვლა ვერ შეძლეს ფოთისა და ქუთაისის სკოლების პედაგოგებმა, მაგრამ თბილისელი და საგარეჯოელი მასწავლებლებისათვის მუშაობდა 9 საგნობრივი სექცია. სექციებზე განიხილეს მასწავლებელთა ყრილობის მასალები, შეაჯამეს სასწავლო წლის პირველი ნახევრის შედეგები, იმუშავეს სასწავლო პროგრამების შემდგომ დახვეწა-სრულყოფაზე, დასახეს სამომავლო გეგმები.

გარკვეული მუშაობაა გაწეული მატერიალური ბაზის განმტკიცების მიმართულებითაც. აღიჭურვა ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი 164-ე სკოლაში, კეთილმოეწყო მშობლიური ლიტერატურის კაბინეტი 132-ე საშუალო სკოლაში, განახლდა შრომითი სწავლების მატერიალური ბაზა 154-ე საშუალო სკოლაში, ახალი სასკოლო ინვენტარით მომარაგდა არაერთი კლას-კაბინეტი.

მიუხედავად გაწეული მუშაობისა, უნდა ითქვას, ექსპერიმენტის მსვლელობაში არსებული სერიოზული დაბრკოლებების შესახებაც. პირველ რიგში, გვინდა შევეხოთ პედაგოგიური კადრებით სკოლების დაკომპლექტებას. სამწუხაროდ, საქმე ერთი ნაბიჯითაც არ წაწეულა წინ. ყველაზე საგანგაშო კი ის არის, რომ ექსპერიმე-

ნტთან დაკავშირებული საკითხები სამინისტროშიც ერთობ დუნედ წყდება, ან საერთოდ არ წყდება. მატერიალური ბაზის განსამტკიცებლად ცენტრალიზებული თანხების გამოყოფის, საშტატო ერთეულების დაშვებისა და ზოგიერთი სხვა საკითხი მეოთხე თვეა გადაწყვეტის პროცესშია. ვერ კეთდება ისიც, რაც საგანგებო სახსრებსა და ღონისძიებებს არ მოითხოვს. პროფილირებული სწავლების ერთ-ერთი უპირატესობა ისიცაა, რომ ამ პირობებში შესაძლებელია რაიონში არსებული მატერიალური ბაზის ოპტიმალურად გამოყენება რესურსების უფრო ეფექტურად გადანაწილების გზით. სამწუხაროდ, ამ პოტენციურ შესაძლებლობებსაც ვერ ვიყენებთ.

ჩვენმა გაანგარიშებებმა ცხადყო, რომ პროფილირებულმა სასწავლო გეგმებმა ხელფასის ფონდში გარკვეული დანაზოგი მოგვცა. კერძოდ, შრომით სწავლებასა და უცხო ენებში საათების შემცირებამ საბუნებისმეტყველო და ფიზიკა-მათემატიკური პროფილის სამწლიან ციკლში 512 საათი დაზოგა. ვფიქრობთ, სკოლებს უნდა მიეცეთ ამ დანაზოგის მიზნობრივად გამოყენების უფლება. კერძოდ, კლასების გამოყოფა როგორც ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიულ სამუშაოებზე, ასევე სხვა საგნებში, საჭიროების მიხედვით.

პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის ძირითად, საბაზო პოლიგონს წარმოადგენს I-ლი ექსპერიმენტული სკოლა, იგი სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიური გაერთიანებების შემადგენლობაშია და პირველ რიგში, სწორედ აქ შეიძლება სასკოლო სტრუქტურაში (დაწყებითი სკოლა, არასრული საშუალო და საშუალო სკოლა) ექსპერიმენტული კვლევის მემკვიდრეობითობის იმ პრინციპის განხორციელება, რის შესახებაც ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1987 წლის 13 იანვრის დადგენილებაში. სკოლაში ამჟამად 9 პროფილირებული კლასია გახსნილი, სადაც ვერ ვანხორციელებთ ყველა იმ სასწავლო და საალმზრდელო ხასიათის ექსპერიმენტულ სამუშაოს, რომლებიც კვლევის პროგრამითაა გათვალისწინებული. ეს ვერ ხერხდება, ერთის მხრივ, სკოლაში ჩვეულებრივი კლასების არსებობის, ხოლო მეორეს მხრივ, სასკოლო ფართის სიმცირის გამო (სკოლაში დატვირთული ორცვლიანი მეცადინეობაა). ჩვენი აზრით, უნდა გამოინახოს I ექსპერიმენტულ სკოლასთან ახლომდებარე სასკოლო შენობა, რომელშიც შესაძლებელი იქნება პროფილირებული კლასების გადაყვანა, ხოლო იმ სკოლიდან დაწყებითი კლასების I ექსპერიმენტულ სკოლაში გადანაცვლება. სამომავლოდ ამ ახალ სას-

წავლო დაწესებულებაში ლიკვიდირებული იქნება V—VIII კლასები და ის გადაიქცევა პროფილირებულ სკოლად, რომელიც იმუშავებს როგორც I-ლი ექსპერიმენტული სკოლის ფილიალი.

ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მომავალი სასწავლო წლიდან ქალაქის ერთ-ერთი რაიონის პროფილირებული სწავლების საბოლოო მოდელზე გადაყვანა, რისთვისაც მოსამზადებელი სამუშაოები აქედანვე უნდა დაიწყოს.

რამდენიმე სიტყვა ექსპერიმენტის სამეცნიერო-მეთოდურ და ორგანიზებულ უზრუნველყოფაზეც. ინსტიტუტის თანამშრომლები დღეისათვის მუშაობენ სწავლების შინაარსზე: კერძოდ, დგება სასწავლო გეგმების ვარიანტები, იხვეწება სასწავლო პროგრამები, მეთოდური აპარატი, მზადდება სასწავლო დიდაქტიკური მასალები, ვიწყებთ მუშაობას სახელმძღვანელოებზე. პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის ზოგადი და ასაკობრივი ფსიქოლოგიის ინსტიტუტთან და მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის თბილისის საქალაქო ცენტრთან თანამშრომლობით მოეწყო სოციოლოგიური გამოკითხვა მოსწავლეთა თვითგამორკვევის პროცესზე დიფერენციული სწავლების ზემოქმედების დადგენის მიზნით, შეიქმნა ტესტები მოსწავლეთა პროფესიული და შემეცნებითი ინტერესების შესასწავლად. ყოველივე ეს მეცნიერ-მუშაკთა დაძაბულ და შრომატევად მუშაობას მოითხოვს, რის გამოც ყურადღება მოაკლდა ექსპერიმენტულ კლასებს, ვეღარ ვუწევთ სათანადო მეთოდურ სამსახურს, ვერ ვაკონტროლებთ მასწავლებელთა და სხვა მუშაკთა საქმიანობას. ამიტომ, აუცილებელია თეორიული და მეთოდური გამოკვლევების პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, კვალიფიციურ სპეციალისტთა ერთგვარი შუალედური ჯგუფის გამოყოფა 20 კაცის შემადგენლობით, რომელიც ორგანიზაციულ და მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევს სკოლებს, პედაგოგთა კონკრეტულ პრაქტიკულ საქმიანობას.

უდიდეს მასტიმულირებელ ძალად იქცა ექსპერიმენტი მასწავლებელთათვისაც. გაზრდილმა პასუხისმგებლობამ აამაღლა მათი პროფესიული დონე, ახალ პირობებში მუშაობამ მათი შემოქმედებითი აქტივობა გამოიწვია. სწავლების შინაარსის მოსწავლის ინტერესებზე ორიენტირების შედეგად მოზარდებში ღირებულებითი შეხედულებების შეცვლამ (მიუხედავად პირველ ხანებში შეფასების ნიშნების აშკარა დაქვეითებისა — იგრძნობა ნიშნისადმი ინტერესის ერთგვარი შენელება), არსებითად გააუმჯობესა, როგორც

მშობელსა და მოსწავლეს შორის, ასევე ოჯახსა და სკოლას შორის დამოკიდებულება, შემცირდა კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები, რამაც, ბუნებრივია ექსპერიმენტის შესახებ ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრის მომწიფებას შეუწყო ხელი. ეს დასტურდება იმ პოპულარობით, რაც მოკლე დროში მოიპოვა ექსპერიმენტულმა სწავლებამ.

ექსპერიმენტის კონდიციამდე მიყვანა კიდევ 2-3 წლის ინტენსიურ მუშაობას მოითხოვს, მაგრამ ამისათვის საკმარისი არ არის ჩვენი ინსტიტუტის სამეცნიერო პოტენციალი. ახალი სასწავლო პროგრამების შემდგომი დახვეწა, სახელმძღვანელოების შედგენა და მეთოდური აპარატის სრულყოფა დედაქალაქისა და რესპუბლიკის სამეცნიერო ძალების მოზიდვას საჭიროებს, რის გარეშეც სასწავლო შინაარსის აკადემიური დონე თანამედროვე მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა კომპიუტერული განათლების უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებათა შესახებ

კოლეგიას მიაჩნია, რომ ინფორმატიზაციის ამოცანების გადაჭრისათვის აუცილებელი ხდება გამოთვლითი ტექნიკის ეფექტური გამოყენების პროგრამის შექმნა და სახალხო განათლების სისტემაში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის კონცეფციის დამკვიდრება.

სკოლისა და სხვა სასწავლებლების კომპიუტერიზაცია მოითხოვს სამეცნიერო-პედაგოგიურ კვლევას, მიკროკომპიუტერული ტექნიკის შექმნას, მისი გამოყენების მეთოდიკის სრულყოფას, პედაგოგიური და ტექნიკური კადრების მომზადებას, კომპიუტერული სახელმძღვანელოების, მეთოდური მასალებისა და სათანადო პროგრამების შექმნა-დამუშავებას.

კოლეგია აღნიშნავს, რომ ინფორმატიკის მთავარი ცენტრის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექსასწავლებლებში მოსწავლეთა კომპიუტერული განათლების მდგომარეობის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად (თან ერთვის).

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების, გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების სასწავლო პროცესში ეფექტურად გამოყენების, სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვის მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

1.1. უზრუნველყონ ყველა სასწავლებელში ინფორმატიკის მასწავლებლებად მხოლოდ იმ პედაგოგების დანიშვნა, რომელთაც გავლილი აქვთ გადამზადების კურსები. ხელი შეუწყონ მეცნიერებისა და წარმოების სფეროდან მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მოწვევას შეთავსებით სამუშაოდ, შეუქმნან ხელსაყრელი პირობები რამდენიმე სასწავლებელში ერთდროულად მუშაობისათვის;

1.2. მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებული გამოთვლითი ტექნიკის მუდმივ მუშა მდგომარეობაში ყოფნისა და სასწავლო პროცესში ეფექტური გამოყენებისათვის, რისთვისაც ბიუჯეტში გაითვალისწინონ ხარჯები ამ საშუალებათა ტექნიკური მომსახურებისა და რემონტისათვის, დადონ ხელშეკრულება თბილისის გამოთვლითი ტექნიკის შემკეთებელ ქარხანასთან კომპიუტერული ტექნიკის მომსახურებაზე, მკაცრად დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;

1.3. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე ყველა სასწავლებელში შექმნან ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტები, უზრუნველყონ ისინი სასწავლო მასალებითა და თვალსაჩინოებით;

1.4. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე სპეციალურ კურსებზე, თბილისის გამოთვლითი ტექნიკის შემკეთებელ ქარხანაში გადაამზადონ ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების გამგეები;

1.5. მომარაგებისა და გასაღების სამმართველოში ყოველწლიურად, არა უგვიანეს 1 ოქტომბრისა, წარმოადგინონ განაცხადი მომავალი წლისათვის საჭირო ინფორმატიკის ტექნიკურ საშუალებებზე და მასალებზე.

2. ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან ერთად 2 თვის ვადაში წარმოადგინოს 1989/1990 სასწავლო წლიდან თბილისის რამოდენიმე სკოლის დაბალ კლასებში ექსპერიმენტის სახით ინფორმატიკის სწავლების პროგრამა.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. ვ. ჟვანია):

3.1. პედაგოგიური კადრების გადასამზადებლად ფართოდ გამოიყენოს სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგია;

3.2. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე მოამზადოს გამოსაცემად „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სასწავლო-მეთოდურ თვალსაჩინოებათა კომპლექტი და ინფორმატიკის დიდაქტიკურ-მეთოდური რეკომენდაციები.

4. დაევალოს სამეცნიერო-საწარმოო პედაგოგიურ გაერთიანებას (ამხ. შ. ამონაშვილი) კომპიუტერთან მუშაობის ასაკობრივი თავისებურების კვლევა საშუალო და დაბალი ასაკის მოსწავლეთა ჯგუფებში.

5. ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურმა ინსტიტუტმა ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს მიღებული გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების ექსპლოატაციაში გაშვება.

6. ბათუმისა და თელავის პედინსტიტუტებმა განიხილონ მათემატიკისა და ფიზიკის სპეციალობებზე ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სპეციალიზაციით სტუდენტების მომზადების საკითხი.

7. სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტმა, კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოსთან ერთად (ამხ. ა. ჭაჭია), შეისწავლოს მათემატიკისა და ფიზიკის სპეციალობის სტუდენტთა „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სპეციალიზაციით ქართულ სექტორზე მომზადების საკითხი და 2 თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები სამინისტროში.

8. დაევალოს კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს (ამხ. ა. ჭაჭია), ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებები პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მასწავლებლების გადამზადების შესახებ.

9. სამხრეთ ოსეთის ავტ. ოლქის სახალხო განათლების განყოფილების (ამხ. ფ. ფუხაევა) ყურადღება მიექცეს რეგიონებისათვის გამოყოფილი კომპიუტერული ტექნიკის არასწორი განაწილების ფაქტებს. მასვე დაევალოს არსებული მდგომარეობის გამოსწორება.

10. ქ. თბილისის საქარხნო რაიონის, ქ. სოხუმის, თიანეთის, მახარაძისა და წულუკიძის რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა (ამხ . ამხ. თ. ნაცვლიშვილი, მ. მალიშავა, მ. ბოდაველი, ც. მეგრელაძე, ჯ. ჩხენკელი) მიაქციონ ყურადღება გამოყოფილი გამოთვლითი ტექნიკის სასწავლო კომპლექტების დროულად დამონტაჟებასა და ექსპლოატაციაში გაშვებას.

11. განზოგადებულ იქნეს პროფტექსასწავლებლების ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების სასწავლო-თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალებით დაკომპლექტებისათვის კონკურსების ჩატარების გამოცდილება. დაევალოს ინფორმატიკის მთავარ ცენტრს შეიმუშაოს რესპუბლიკის სკოლებსა და საშუალო სასწავლებლებში 1989/1990 სასწავლო წლიდან კონკურსების ჩატარების დებულება.

12. მოწონებულ იქნეს და განზოგადდეს ქ. თბილისის №№ 1. 37, 53, 126, 154 საშუალო სკოლების (ა. მეტრეველი, ნ. ავალოვა, ბ. მებუკე, ი. ლომაძე, მ. ფხოველიშვილი, მ. ლავრელაშვილი), გორის რაიონის სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატის (ე. ლოთეშვილი), წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების (ქ. ზუბიაშვილი), ქ. მარნეულის № 6 საშუალო სკოლის (ს. ისმაილოვი), სოფელ ქურთას საშუალო სკოლის (ჯ. გოჯიაშვილი), ქ. სოხუმის № 19 საშუალო სკოლის (ლ. ორლოვა), ქ. ბათუმის № 2 ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის (ნ. თურმანიძე), პროფტექნიკური სასწავლებლების №№ 3, 36, 115 (მ. ღარიშვილი, დ. მჭედლიძე, გ. სამსიანი), ქ. ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის (ვ. ჯანჯღავა), კომპლექს „მზიურის“ კომპიუტერული კლუბის (გ. თოდრია) ინფორმატიკის მასწავლებელთა გამოცდილება.

13. დაევალოს საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ი. ისაშვილი) ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან ერთად (ამხ. გ. გვარამია) წარადგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში მასალები დამატებით ასიგნებათა გამოსაყოფად:

— ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების მოწყობისათვის, კომპიუტერული ტექნიკის დამონტაჟებისა და ექსპლოატაციაში გაშვებისათვის, ტექნიკური მომსახურებისათვის;

— სასწავლო დანიშნულების პროგრამული უზრუნველყოფის შესაქმნელად და შესაძენად (მათ შორის ქართულ ენაზე);

— რესპუბლიკური და საერთაშორისო კომპიუტერული ბანაკების დასაფინანსებლად.

14. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისაშვილი):

14.1. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის რესპუბლიკურ კონკურსებში გამარჯვებულ მოსწავლეთა ჯილდოების შესაძენად ყოველწლიურად გამოყოს 1000 მანეთი;

14.2. საუკეთესო სასწავლო პროგრამების კონკურსის საპრიზო ფონდისთვის გამოყოს ყოველწლიურად 2000 მანეთი.

15. ზოგადსაშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე), ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან ერთად (ამხ. გ. გვარამია), დააწესოს მკაცრი კონტროლი სასწავლო დაწესებულებებში გამოთვლითი ტექნიკის ეფექტურად ვამოყენების საქმეში.

16. ინფორმატიკის მთავარმა ცენტრმა (ამხ. გ. გვარამია):

16.1. მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეადგინოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო პროგრამები „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებში“ და მოამზადოს გამოსაცემად;

16.2. შეადგინოს და დასამტკიცებლად წარმოადგინოს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების სასწავლო-თვალსაჩინო მასალებით უზრუნველყოფისა და მოსწავლეთა საუკეთესო კომპიუტერული სასწავლო პროგრამების რესპუბლიკური კონკურსების დებულებები;

16.3. ორი თვის ვადაში წარმოადგინოს მასალები დარგობრივი ალგორითმებისა და პროგრამების რესპუბლიკური ფონდისა და სასწავლო ცენტრის ჩამოსაყალიბებლად.

17. მოწონებულ იქნეს 1988 წლის სსრკ-აშშ ერთობლივი კომპიუტერული სკოლის მუშაობა. აღინიშნოს სკოლის მუშაობის მაღალი ორგანიზაციული, პროფესიული და კულტურულ-საგანმანათლებლო დონე.

18. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) 1989—1990 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს:

18.1. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისა და ტექნიკუმების „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სასწავლო პროგრამების გამოცემა;

18.2. ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების სასწავლო-თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალების გამოცემა.

19. მომარაგებისა და გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი) უზრუნველყოს გამოთვლითი ტექნიკითა და მასალებით რესპუბლიკის სასწავლებლების მომარაგება ინფორმატიკის მთავარი ცენტრის (ამხ. გ. გვარამია) მიერ შედგენილი და საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან (ამხ. ი. ისაშვილი) შეთანხმებული განაწილების მიხედვით.

20. ეთხოვოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

20.1. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების შესაბამისად დააჩქაროს:

— სასკოლო კომპიუტერების სისტემური და ქსელური მათემატიკური უზრუნველყოფის შემუშავება სასწავლებლებში ინფორმატიკის სწავლების სპეციფიკის გათვალისწინებით.

— БК—001ШО სასკოლო კომპიუტერის მათემატიკურ უზრუნველყოფაში დაპროგრამების ენის — „პასკალის“ ტრანსლატორის ჩართვა;

20.2. ქართულ ენაზე მოამზადოს სასკოლო კომპიუტერული კაბინეტების ტექნიკური და პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტაცია (ტექსტური რედაქტორი, ქსელის ტექნიკური უზრუნველყოფა, დაპროგრამების ენების აღწერილობა და სხვა).

21. ეთხოვოს საქართველოს სსრ გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებას (ამხ. ი. გორგიძე):

21.1. მოაწყოს ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების გამგეების გადამზადების კურსები კომპიუტერული კლასების ტექნიკური მომსახურების პროფილით;

21.2. თბილისის გამოთვლითი ტექნიკის შემკეთებელი ქარხნის მეშვეობით უზრუნველყოს სასწავლო კომპიუტერული ტექნიკის დროულად და ხარისხიანად დამონტაჟება (მათ შორის დამიწების კონტურისა და ელექტროკვების სამუშაოთა გათვალისწინებით), ექსპლოატაციაში გაშვება და ტექნიკური მომსახურება.

21.3. შეცვალოს „კუვტ—86“ ტიპის გამოთვლითი ტექნიკის სასწავლო კომპლექტებში დაპროგრამების ენა „ფოკალი“ „ბეისიკით“.

22. ეთხოვოს საწარმოო გაერთიანება „ორიონს“ (ამხ. ი. მეიშვილი) 1988 წლის ბოლოს სახალხო განათლების სამინისტროს სისტემაში განაწილებული „კორვეტის“ ტიპის კომპიუტერული კლასების დაკომპლექტება და მომავალში ამავე კლასებში ტექნიკური და პროგრამული ცვლილებების შეტანის საკითხი შეუთანხმოს ინფორმატიკის მთავარ ცენტრს.

23. დაისვას საკითხი საქართველოს ცენტრალური კომიტეტის წინაშე „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ მასწავლებლებისათვის სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალის „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატების „ინფორმატიკა სკოლაში“ გამოცემის შესახებ.

24. მოწონებულ იქნეს ინფორმატიკის მთავარი ცენტრის მიერ წარმოდგენილი სახალხო განათლების ინფორმატიზაციის უზრუნველყოფის ფუნქციონალური სქემა, რომლის განხორციელების მიზნით თბილისისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებმა (ამხ. ამხ. ნ. ამაღლობელი, ა. გვარამია), საქართველოს პოლიტექ-

ნიკურმა და ქუთაისის პოლიტექნიკურმა ინსტიტუტებმა (ამხ. ბ. ჩოგოვაძე, ნ. ვალიშვილი) ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან (ამხ. გ. გვარამია) ერთად შეიმუშაონ მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის დამუშავებისა და დანერგვის კონკრეტული წინადადებები და 2 თვის ვადაში წარმოადგინონ სამინისტროში დასამტკიცებლად.

25. დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ხუროძეს, ა. წ. პირველ აპრილამდე დასამტკიცებლად წარმოადგინოს სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს პრეზიდიუმის შემადგენლობა.

26. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. რ. ხუროძეს.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებში კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ

„ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებში“ ჩამოყალიბებულ მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის ამოცანის გადაჭრა — აღვჭურვოთ მოსწავლეები თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის გამოყენების ცოდნითა და უნარ-ჩვევებით, უზრუნველვყოთ კომპიუტერების ფართოდ გამოყენება სასწავლო პროცესში, შევქმნათ ამისათვის სპეციალური სასკოლო და სასკოლათაშორისო კაბინეტები — მოითხოვს ძალისხმევას სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულებით:

— მასწავლებელთა კადრების მომზადება და გადამზადება;

— ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების ქსელის შექმნა;

— მეთოდური და პედაგოგიური პროგრამული მასალების შექმნა.

დღეისათვის გამოკვეთილად შეიძლება ჩაითვალოს კომპიუტერის — როგორც შესწავლის ობიექტის, ასევე სწავლების საშუალების — გამოყენების პროცესში სასკოლო ინფორმატიკის წინაშე მდგარი ამოცანების შინაარსი და ხასიათი.

1. მასწავლებელთა კადრების შესახებ.

დღეისათვის ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების მასწავლებლების დიდ უმრავლესობას შეადგენენ ფიზიკისა და მათემატიკის პედაგოგები, რომლებსაც გავლილი აქვთ გადამზადების სპეციალური 2 კვირიანი (72 საათიანი) კურსები მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ და ზონალურ ინსტიტუტებში.

აღნიშნული კურსების ხანგრძლივობა არასაკმარისი აღმოჩნდა მასწავლებლების მოსამზადებლად საგნის სრულფასოვნად სწავლებისათვის. ამას ზედ დაერთო მასწავლებელთა დახელოვნების ზონალურ ინსტიტუტებში არსებული სამამულო წარმოების კომპიუტერული ტექნიკის დაბალი საექსპლოატაციო თვისებები, რამაც გააძნელა კურსების მაღალ დონეზე ჩატარება.

მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტისა და

ინფორმატიკის მთავარი ცენტრის ბაზაზე მოწყობილმა მასწავლებლების 144 საათიანი (ერთთვიანი) კურსით მასწავლებლების გადამზადების ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ კურსების ხანგრძლივობის გაზრდა არსებითად ამაღლებს მათი მომზადების დონეს.

ცალკე პრობლემას წარმოადგენს სასწავლებლებში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლებისათვის მოწვეული შეთავსებელი სპეციალისტების მომზადება. მასწავლებელთა ამ კატეგორიას არ გაუვლია გადამზადების კურსები, რის გამოც ისინი მეთოდურად სუსტად არიან მომზადებული საგნის სწავლებისათვის.

მასწავლებელთა მომზადების ნაკლოვანებანი და შესაბამისად მოსწავლეთა ძიერ საგნის ათვისების სისუსტეები ნათლად ჩანს ინფორმატიკის მოსწავლეთა პირველი რესპუბლიკური ოლიმპიადის წინასწარი შედეგებიდან. დღეისათვის ჩატარებულია ზონალური ტური. რესპუბლიკურ ტურში ზონების მიერ დაშვებულია მხოლოდ მოსწავლეთა მცირე ნაწილი. კერძოდ, თელავის ზონის 8 რაიონიდან არც ერთი მოსწავლე არ არის დაშვებული (მონაწილეობდა 28 მოსწავლე 8 რაიონიდან), აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან დაშვებულია მხოლოდ 4-4 მოსწავლე. თბილისის ზონის 21 რაიონიდან და 4 ქალაქიდან ზონალურ ტურში მონაწილეობდა 176 მოსწავლე. მათგან რესპუბლიკურ ტურში დაშვებული 27 მოსწავლიდან 26 თბილისელია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წინასწარი გაცნობით თბილისის ზონიდან დაშვებული ნამუშევრები ზოგ შემთხვევაში არაკვალიფიციურად არის შეფასებული, მათი გასწორებისას დაშვებულია უხეში შეცდომები.

ინფორმატიკის პედაგოგიური კადრების პრობლემებს შორის მნიშვნელოვანია აგრეთვე მასწავლებლების დატვირთვისა და, შესაბამისად, შრომის ანაზღაურების პრობლემა. როგორც წესი, სასწავლებლებში ინფორმატიკას ასწავლიან პედაგოგები, რომელთათვის ძირითადი საგანი ფიზიკა ან მათემატიკაა. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს ინფორმატიკის სტატუსსა და ადგილზე სკოლის სინამდვილეში. საჭიროა ნოვატორი და აქტიური პედაგოგების რამდენიმე სკოლაში ერთდროულად მუშაობის წახალისება, მათთვის სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მხრიდან ასეთ მუშაობაში ხელშეწყობის წესის დამკვიდრება.

გარდა აღნიშნულისა, მასწავლებლები თავის მუშაობაში აწყდებიან ახალი საგნის სწავლების სპეციფიკურობით განპირობებულ სიძნელეებს, რომლებსაც კიდევ უფრო ართულებს მეთოდური ლიტერატურისა და მასალების ნაკლებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგია ის, რომ ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების მასწავლებელთა შორის დიდია კადრების დენადობა.

უმაღლეს სასწავლებლებში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების მასწავლებლების მომზადებით უნდა გადაწყდეს კვალიფიციური მასწავლებლების ნაკლებობის მძაფრი პრობლემა — ახალგაზრდა პედაგოგებმა უნდა შეცვალონ პედაგოგები, რომელთაც უჭირთ ახალი საგნის სწავლება.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურმა და ქუთაისის პედაგოგიურმა ინსტიტუტებმა შარშან გამოუშვეს მათემატიკის მასწავლებლების პირველი ნაკადი ინფორმატიკის სპეციალიზაციით.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი ამზადებს აგრეთვე ფიზიკის პედაგოგებს ინფორმატიკის სპეციალიზაციით. მათი პირველი ნაკადის გამოშვება მომავალ წელს არის დაგეგმილი. ინსტიტუტის ფიზიკის ფაკულტეტზე შექმნილია ტექნიკური საშუალებების სწავლების ლაბორატორია, რომელშიც მომავალი პედაგოგები ეუფლებიან გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლებს. ასეთ მომზადებას მათემატიკის სპეციალობის პედაგოგები არ გადიან. ეს მეტყველებს სასწავლო გეგმების შეუსაბამობაზე პრაქტიკის მოთხოვნებთან. ამ საქმეში სხვა პრობლემებიც მრავლადაა.

ინსტიტუტში 1987 წლის ოქტომბერში შეიქმნა „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის" კათედრა, რამაც ნაწილობრივ გააუმჯობესა ინფორმატიკის პედაგოგიური კადრების მომზადება, მაგრამ სასწავლო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას არსებითად ხელს უშლის პრაქტიკული მეცადინეობების ჩასატარებლად საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიების არასაკმარისი რაოდენობა. დღეისათვის ინსტიტუტს ორი ახალი გამოთვლითი ტექნიკის კლასი აქვს დასამონტაჟებელი. სერიოზულ სიძნელეებს ქმნის აგრეთვე პედაგოგიური პრაქტიკის არსებული რეგლამენტი. რეალურად საშუალო სასწავლებელში ინფორმატიკის პრაქტიკას 1 გაკვეთილი თუ ეთმობა, რაც ცხადია, არასაკმარისია.

ინფორმატიკის მეორე სპეციალობით ამზადებს მასწავლებლებს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი. 1990 წელს დაგეგმილია ზოგადტექნიკური და ინფორმატიკის სპეციალობით 25 პედაგოგის გამოშვება. ინსტიტუტში გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების ბაზა სუსტია. რამდენადაც ინსტიტუტი ამზადებს ფიზიკისა და მათე-

მატიკის მასწავლებლებს, ტექნიკური ბაზის გაძლიერების შემთხ-ვევაში ინფორმატიკის სპეციალიზაციით მათი მომზადება აქ რეა-ლური ამოცანა ხდება.

სამხრეთ-ოსეთის პედაგოგიურ ინსტიტუტში ყველა სტუდენ-ტი სწავლობს ინფორმატიკის საფუძვლებს 102 საათიანი პროგრა-მით. მიმდინარე სასწავლო წლიდან ინსტიტუტში დაიწყეს სტუ-დენტთა ერთი ჯგუფის მომზადება ინფორმატიკის სპეციალიზაცი-ით. ამავე დროიდან ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალობის სტუ-დენტები ინფორმატიკის საფუძვლებს ეუფლებიან 300 საათიანი პროგრამით. გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებით ინსტიტუტის თანამედროვე დონეზე აღჭურვის შემთხვევაში შესაძლებელი გახ-დება ინფორმატიკის სპეციალიზაციით მასწავლებლების ფართო მასშტაბით მომზადება. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკისა და მათემატიკის სპეციალო-ბებზე სწავლება მხოლოდ რუსულ ენაზე მიმდინარეობს, მაშინ რო-დესაც სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სკოლების საერთო რაოდენობიდან საკუთრივ რუსული სკოლების რაოდენობა 10,9 პროცენტია, ოსურისა 26,5 და ქართულისა კი 31,5 პროცენტი. და-ნარჩენი სკოლები შერეული ტიპისაა.

თელავის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჯერჯერობით მხოლოდ მა-თემატიკისა და ფიზიკის სპეციალობის სტუდენტებს ეკითხებათ ინფორმატიკის 102 საათიანი კურსი. ინსტიტუტი ცუდად არის აღ-ჭურვილი კომპიუტერული ტექნიკით. ინფორმატიკის მეორე სპე-ციალობით სტუდენტების მოსამზადებლად ინსტიტუტს უნდა გაეწიოს ქმედითი დახმარება.

მთლიანად რესპუბლიკაში ინფორმატიკის მასწავლებლების მომ-ზადება სწორი ტენდენციებით ხასიათდება, მაგრამ სასწავლებლებ-ში საგნის სწავლებას თან ახლავს სერიოზული სიძნელეები, რომ-ლებიც განპირობებულია, ერთის მხრივ საგნის სიახლით და მეორეს მხრივ, მატერიალური ბაზის სისუსტით. ეს სიძნელეები ხელს უშ-ლის გამოუცდელი პედაგოგების ინიციატივის გამოვლენას, საგნის სწავლებას ხელს კიდებენ არაკომპეტენტური მასწავლებლები, და-ბლდება საგნის სტატუსი სკოლებში, მომავალი თაობის კომპიუ-ტერული წიგნიერების ჭეშმარიტი უზრუნველყოფის პერსპექტივა მომავლისაკენ ინაცვლებს.

კვალიფიციური და დაინტერესებული, პროფესიონალი ინფორ-მატიკის მასწავლებლების მომზადების ამოცანა არ არის ადვილი გადასაწყვეტი, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ მომავალი ინფორ-მატიკის მასწავლებელი საკუთრივ ინფორმატიკის გარდა უნდა დაე-

უფლოს მათემატიკის, ფიზიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფ-ფუძვლებს. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა აგრეთვე სოლიდური მატერიალური ბაზა, სასწავლო და მეთოდური სახელმძღვანელოები. ყოველივე ეს ჯერჯერობით შორს არის პედაგოგიური ინსტიტუტების სინამდვილისგან.

„ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების" მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებლების მომზადება არის უპირველესი მნიშვნელობის ამოცანა არა მარტო საგნის მაღალ დონეზე სწავლების თვალსაზრისით — ინფორმატიკის მასწავლებელს საგნის სწავლებასთან ერთად უნდა დაეკისროს სწავლების პროცესის კომპიუტერიზაციის ეპოქის გზამკვლევისა და დამმკვიდრებლის ფუნქცია.

II. სასკოლო გამოთვლითი ტექნიკა და ინფორმაციის კაბინეტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის № 271 დადგენილებით „საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესში ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის ფართოდ დანერგვის ღონისძიებათა შესახებ" დასახულია ამოცანა — უზრუნველვყოთ 1986—1990 წლებში ქვეყნის ყველა რაიონის ერთ ან ორ სკოლაში გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტის მოწყობა.

დღეისათვის რესპუბლიკის განათლების სისტემაში სულ განაწილდა 173 სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტი (შეიცავს 2151 პერსონალურ კომპიუტერს) და სხვა ტექნიკა 138 ცალკეული კომპიუტერის სახით. მთლიანი რაოდენობიდან სკოლებმა და სასკოლათაშორისო სასწავლო საწარმოო კომბინატებმა მიიღეს 127 კომპლექტი და 83 ცალკეული კომპიუტერი.

ჯერჯერობით სერიოზულად დგას სასწავლებლებში მიღებული კომპიუტერული ტექნიკის დროულად ექსპლოატაციაში შეყვანისა და მწყობრიდან გამოსული მანქანებისა თუ კომპლექტების შეკეთების საკითხი.

ამ მდგომარეობას სხვადასხვა მიზეზები აქვს. უმთავრესი მიზეზები შემდეგშია:

1. განათლების სისტემაში გამოყენებული სამამულო წარმოების სასწავლო დანიშნულების გამოთვლითი ტექნიკის საშუალებები არასაიმედოა, დამზადებულია უხარისხოდ. ხშირად ტექნიკა თავიდანვე გამართულად არ მუშაობს. შემდგომში ამ კომპიუტერების წესრიგში მოყვანა, როგორც პრაქტიკამ გვაჩვენა, პრობლემას წარ-

მოადგენს და ხშირად ამას წლები სჭირდება. მაგალითად, გურჯაანის რაიონის სოფ. ჩუმლაყის საშუალო სკოლაში 1986 წლის ზაფხულში მიღებული „დვკ—1“ ტიპის 2 მიკროკომპიუტერიდან 1 საქარხნო წუნი აღმოჩნდა და დღესაც გასარემონტებელია. ასევე გასარემონტებელია თბილისის 179-ე სკოლაში 1986 წლის დეკემბერში მიღებული „კუვტ—86“ კომპლექტის „БК—0010“ ტიპის მიკროკომპიუტერი, ქ. ჭიათურის № 1 საშუალო სკოლაში „დვკ—1“ კომპიუტერი. დიდი ენერგიის დახარჯვა დასჭირდათ მიღებული უწესივრო ტექნიკის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად თბილისის კომაროვის სახელობის სკოლა-ინტერნატს, თბილისის 112-ე, 30-ე, 82-ე, მარნეულის № 6, ამბროლაურის რაიონის სოფ. ჭრებალოს, ბორჯომის № 1, მარნეულის რაიონის, სოფ. ყიზილ-აჯილოს, სამტრედიის რაიონის სოფ. ღანირის და სხვა სკოლებს. მსგავსი მაგალითები სხვაც არის და, რაც არსებითად აღსანიშნავია, ტენდენცია უცვლელი რჩება.

მოყვანილი ფაქტები სავსებით ჩვეულებრივია დარგის სპეციალისტებისათვის. ამის შესახებ არაერთხელ არის ნათქვამი საკავშირო პრესაში. ეს პრობლემა აწუხებს როგორც მრეწველობის, ასევე განათლების მუშაკებს, მაგრამ მდგომარეობა ჯერჯერობით არ იცვლება.

2. საქართველოს გამოთვლითი ტექნიკისა და ინფორმატიკის სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების თბილისის გამოთვლითი ტექნიკის შემკეთებელი ქარხანა, რომელსაც დავალებული აქვს სასკოლო კომპიუტერული ტექნიკის ექსპლოატაციაში გაშვება და რემონტი, ყოველთვის ვერ უზრუნველყოფს სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას.

ყოფილმა განათლების სამინისტრომ არაერთხელ მიმართა ამ საკითხზე თავად ქარხანას, მაგრამ მდგომარეობა ძალიან ნელა სწორდება. შარშან სამინისტრომ საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელობას სთხოვა გაეტარებინა ქმედითი ღონისძიებები სასკოლო კომპიუტერული ტექნიკის ექსპლოატაციაში შეყვანისა და რემონტის სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის (იხ. 1988 წლის 1 აპრილით დათარიღებული № 01—33/1458 წერილი). გაერთიანება ყურადღებით მოეკიდა სამინისტროს თხოვნას. გამოიყო კომისია, რომელმაც ყოფილი მთავარი გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებთან ერთად შეამოწმა სამინისტროს წერილში მოყვანილი სამუშაოების ჩატარების გაჭიანურების ფაქტების სისწორე. საქმე თითქოს დაიძრა, მაგრამ ბოლომდე მაინც არ იქნა მიყვანილი.

ქარხნის მიერ სასწავლო კომპიუტერული ტექნიკის ექსპლოატაციაში შეყვანისა და სარემონტო სამუშაოების შესრულების დაგვიანების ფაქტები საკმარისზე ბევრია. სამწუხაროდ, ზოგჯერ სამუშაოები უხარისხოდ სრულდება. ქარხნის საქმიანობის ნაკლოვანებათა დამახასიათებელ ფაქტებს შორის აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

თბილისის 66-ე სკოლას 1987 წლის ზაფხულში გაუნაწილდა „მს—0202" ტიპის კომპიუტერული კომპლექტი. იმავე წლის შემოდგომაზე ქარხნის წარმომადგენლებმა დაამონტაჟეს კლასი, მაგრამ, რადგანაც რამოდენიმე კომპიუტერს საქარხნო წუნი აღმოაჩნდა (კომპლექტი „მიონის" სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების გამოშვებულია, რომელთანაც იმ დროს ქარხანას არ ჰქონდა დადებული ხელშეკრულება) და სკოლის ხელმძღვანელობამ სრულიად სამართლიანად მოითხოვა მთლიანი კომპლექტის მზადყოფნა, აუცილებელი გახდა წუნდებული კომპიუტერების გარემონტება. ეს საქმე დაუშვებლად გაჭიანურდა. ხსენებულ 1988 წლის აპრილის წერილში ეს ფაქტები ხაზგასმით არის აღნიშნული. მიუხედავად იმისა, რომ მაშინაც და შემდომშიც სკოლაში არაერთხელ იყვნენ ქარხნის წარმომადგენლები, კლასი დღესაც არ არის ექსპლოატაციაში შეყვანილი.

არანაკლებ გაჭიანურდა და გაძნელდა ლენტეხის საშუალო სკოლაში 1987 წლის დეკემბერში მიღებული „მს—0201" კომპლექტის ექსპლოატაციაში შეყვანა. იგივე 1988 წლის აპრილის წერილში ეს კლასიც არის მოხსენიებული ქარხნის მიერ პირველ რიგში გასაშვებ კომპლექტებს შორის. ამის მიუხედავად, ქარხნის წარმომადგენლები მხოლოდ ოქტომბერში ჩავიდნენ ლენტეხში, მაგრამ დაარღვიეს სამუშაოს შესრულების ელემენტარული წესები, შეადგინეს უმართებულო აქტი და კომპლექტი ექსპლუატაციაში გასაშვები დატოვეს. აქტი კომპლექტის ცალკეული შემადგენელი მოწყობილობების დაუკომპლექტებლობისა და სხვა უწესრიგობის შესახებ შედგენილია სამონტაჟო სამუშაოების დაწყების შემდეგ და ამდენად იურიდიულ ძალას მოკლებულია. საგულისხმოა, რომ სკოლის წარმომადგენლებმა დაადასტურეს აქტის შინაარსი ისე, რომ ტექნიკური საკითხების შესახებ ნათელი წარმოდგენა არ ჰქონდათ. ამჟამად, თუმცა სკოლამ ქარხანაში ჩამოიტანა აქტში აღნიშნული მოწყობილობები, ქარხანას არ შეუძლია მათი სრულ მუშა მდგომარეობაში მოყვანა. ამდენად, ლენტეხის კომპიუტერული კლასის საკითხი ღიად არის დარჩენილი.

მოყვანილი ფაქტები მართალია განსაკუთრებულია, მაგრამ ცხა-

დია, რომ იქ, სადაც ასეთი სერიოზული დარღვევები ხდება, მრავლად არის „წვრილი“ ფაქტებიც. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ამის დამადასტურებელი ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

3. საშუალო სკოლები და სახალხო განათლების განყოფილებები არ არიან მზად ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების მოსაწყობად საჭირო მოსამზადებელი სამუშაოების ჩასატარებლად (ოთახის რემონტი კომპიუტერულ კლასში მეცადინეობების ჩატარების სპეციფიკურობის გათვალისწინებით, ელექტროკვების ფარისა და დამიწების კონტურის მოწყობა). ხშირად ირღვევა მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების ვადები — ეს ვადა განსაზღვრულია ერთი თვით კომპიუტერების მიღების დღიდან. მაგალითად, დაგვიანდა კომპიუტერული კაბინეტების მომზადება თბილისის ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატში, თბილისის 112-ე, 106-ე, წალენჯიხის 1-ლ სკოლებში.

ზოგჯერ განათლების განყოფილებები და სკოლები ფსიქოლოგიურად მოუმზადებლები ხვდებიან გამოყოფილ კომპიუტერულ ტექნიკას, არის უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შემთხვევებიც. მაგალითად, თიანეთის რაიონის განათლების განყოფილებამ თებერვალში მიღებული კომპიუტერული კომპლექტის ექსპლოატაციაში შეყვანის თხოვნით ქარხანას მხოლოდ ოქტომბრის ბოლოს მიმართა, თუმცა თავიდანვე ცნობილი იყო, რომ კაბინეტი თიანეთის საშუალო სკოლაში უნდა მოწყობილიყო. მესტიის განათლების განყოფილებამ 1988 წლის ზაფხულში მიღებული „კორვეტის“ კომპლექტის დამონტაჟება გადადო მესტიის 1-ლ სკოლაში მშენებლობის დამთავრებამდე, თუმცა ცხადი იყო, რომ ამას შეიძლება მთელი წელი დასჭირვებოდა, ამავე დროს მესტიის მეორე საშუალო სკოლაში კაბინეტის მოსაწყობად კარგი პირობებია. თბილისის ოქტომბრის რაიონის განათლების განყოფილებამ 1988 წლის ოქტომბერში განაწილებული „კორვეტის“ კომპლექტი მე-4 საშუალო სკოლას გადასცა, მაშინ როდესაც სკოლის შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და კაბინეტის მოსაწყობად საჭირო პირობები სკოლას არ გააჩნია. დაუშვებლად გაჭიანურდა 1988 წლის ზაფხულში განაწილებული „კორვეტის“ კომპლექტების ექსპლოატაციაში შეყვანა თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მე-2 ექსპერიმენტულ და საქარხნო რაიონის 117-ე საშუალო სკოლებში, აგრეთვე მახარაძის მე-5 და წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლებში. გასაშვებია 1988 წლის ოქტომბერში მიღებული „კორვეტის“ კომპლექტი გეგეჭკორის მე-3 საშუალო სკოლაში.

შეიძლება დავასკვნათ, რომ განათლების განყოფილებებისა და სკოლების ხელმძღვანელების ნაწილი არ იჩენს მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის საქმისადმი ჯეროვან ყურადღებას, არ ავლენს საჭირო ძალისხმევას არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

ჩამოთვლილის გარდა არსებობს სხვა პრობლემებიც — საერთო საკავშირო ხასიათს რომ ატარებენ.

სკოლები და გამოთვლითი ტექნიკის სხვა მომხმარებლები განიცდიან ინფორმაციის გარე მატარებლების ქრონიკულ ნაკლებობას. ხანდახან ეს გამოწვეულია მიღებული ტექნიკის დაუკომპლექტებლობით. საერთოდ კი იმით, რომ მათი შემოტანა და განაწილება ცენტრალიზებული წესით იშვიათად ხდება.

მწვავედ დგას საკითხი კომპიუტერების ნორმალური, ეფექტური გამოყენებისთვის აუცილებელი მათემატიკური უზრუნველყოფისა და პროგრამული დოკუმენტაციის დეფიციტის შესახებ.

ზემოთ აღნიშნული სამამულო წარმოების კომპიუტერული ტექნიკის დაბალი საიმედოობა და ხარისხი მხოლოდ ტექნიკურ-ეკონომიკურ პრობლემად არ წარმოგვიდგება. აქ საქმე გვაქვს სერიოზულ მორალურ დანაკარგებთანაც — მოსწავლეთა ნაწილს ეკარგება გამოთვლითი ტექნიკის ეფექტური გამოყენების შესაძლებლობის რწმენა.

სკოლებში გამოყენებული კომპიუტერების უმრავლესობის დისპლეები (ვიდეოტერმინალები) ვერ აკმაყოფილებენ სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს — მათთან მუშაობა ჯანმრთელობისათვის მავნეა. საკმარისია აღინიშნოს, რომ ყოფილი სსრკ განათლების სამინისტროს ინფორმატიკის სამმართველოს მიერ 1987 წელს დამტკიცებული დოკუმენტის მიხედვით „აგატის“, „კუვტ—86“ და „იამახას“ ვიდეოტერმინალებთან მუშაობის ხანგრძლივობა კვირაში არ უნდა აღემატებოდეს:

— X—XI კლასების მოსწავლეებისათვის — 20 წუთს
— VIII—IX კლასების მოსწავლეებისათვის — 15 წუთს
— VI—VII კლასების მოსწავლეებისათვის — 10 წუთს.

მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის საქმეში ცალკე სიძნელეებს ქმნის კომპიუტერების პროგრამული თავსებადობის პრობლემა. სკოლებში კომპიუტერების საერთო რაოდენობის სიმცირეს თან ერთვის მათი ტიპების სხვადახვაობა (დღეისათვის 5 სხვადასხვა ტიპი). ამ მანქანებს „ერთმანეთის ენა არ ესმით“. განათლების სისტემისათვის სპეციალურად შემუშავებული 2 ტიპის პერსპექტიული კომპიუტერი არ არის თავსებადი

ადრინდელ მანქანებთან, ე. ი. ძველი პროგრამების გამოყენება მათზე შეუძლებელია. ცხადია, რომ სკოლებში სასწავლო პროცესის გადართვა ახალ კომპიუტერებზე დამატებით სიძნელეებთან იქნება დაკავშირებული.

აღნიშნული ნაკლოვანებების მიუხედავად თავად სკოლების კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვაში არის გარკვეული სიძნელეები.

ყოველთვის არ ხერხდება რესპუბლიკის განათლების სისტემის ფონდებით გათვალისწინებული კომპიუტერული ტექნიკის მთლიანად მიღება, რაც, როგორც წესი, მრეწველობის მიზეზით ხდება. გარდა ამისა, ზოგჯერ ირღვევა ტექნიკის მოწოდების რიტმულობა. მაგალითად, 1988 წელს ბაქოს ს/გ „რადიოტექნიკის" მიერ მთელი წლის განმავლობაში გამოგზავნილი „კორვეტის" კომპლექტების 90 პროცენტი ერთ კვარტალზე მოდის. ეს გარემოება აძნელებს როგორც მომარაგების სისტემის მუშაობას, ასევე მიღებული ტექნიკის დროულად ექსპლოატაციაში შეყვანას.

იმავე 1988 წელს კომპიუტერული ტექნიკით განათლების სისტემის აღჭურვას გარკვეულწილად ხელი შეუშალა გამოყოფილი ტექნიკის დაფინანსებაში არსებულმა შეფერხებებმა.

მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი განათლების სამინისტროს ფონდებით გათვალისწინებული 112 სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტიდან მრეწველობამ გამოგზავნა მხოლოდ 54 კომპლექტი (მთლიანად 1479 კომპიუტერიდან მხოლოდ 720 ცალი), გაძნელდა შესაბამისი თანხების გამოყოფა. ამას გარდა, წლის ბოლოს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ორიონის" მიერ რესპუბლიკის სკოლებისათვის ფონდების გარეშე გამოყოფილი „კორვეტის" ტიპის 25 სასწავლო კომპლექტიდან სამინისტრომ შესძლო მხოლოდ 10 კომპლექტის შეძენა თანხების უქონლობის გამო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1987 წლის 16 მარტის დადგენილებით 1989 წელს გათვალისწინებულია ყოფილი განათლების სამინისტროსა და პროფტექგანათლების კომიტეტის სისტემაში სასწავლო კომპლექტით აღჭურვილი 160 გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტის შექმნა. გარდა ამისა, კომპიუტერული სასწავლო კომპლექტების საჭიროებას განიცდიან უმაღლესი სასწავლებლების კათედრები და სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიები. მხოლოდ 160 სასწავლო კომპიუტერული კომპლექტის შესაძენად საჭირო თანხა დღევანდელი ფასებით (ერთი კომპლექტის ღირებულება საშუალოდ შეადგენს 25 ათას მან.) 4 მილიონი მანეთია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო განათლების ადგილობრი-

ვი ორგანოების ხარჯებში არ არის გათვალისწინებული სასწავლებლებში ინფორმატიკის კაბინეტების მოსაწყობად ოთახების მომზადებისათვის საჭირო თანხები. არ არის გათვალისწინებული აგრეთვე თანხები, რომლებიც საჭიროა მიღებული კომპიუტერული ტექნიკის დამონტაჟებისა და ექსპლუატაციაში შესაყვანად, აგრეთვე მწყობრიდან გამოსული კომპიუტერების გასარემონტებლად. ასევე გაურკვეველია არსებული გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების ტექნიკური მომსახურების ფინანსირების საკითხი. თითქმის არცერთ სასწავლებელს თბილისის გამოთვლითი ტექნიკის შემკეთებელ ქარხანასთან არ აქვს დადებული ხელშეკრულება კომპიუტერული ტექნიკის მომსახურების შესახებ. დღეისათვის განათლების სისტემაში არსებული საშუალო სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების კომპიუტერული პარკის ტექნიკური მომსახურების ხარჯები შეადგენს დაახლოებით 200 ათას მანეთს თვეში, ანუ წელიწადში 2,5 მილიონ მანეთს.

აღნიშნული სიძნელეებისა და პრობლემების ფონზე მიმდინარეობს განათლების სისტემის კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვა. წლების მიხედვით ტექნიკის განაწილება შემდეგი მონაცემებით ხასიათდება:

წლები	კომპიუტერების საერთო რაოდენობა	მ ა თ შ ო რ ი ს		დაგეგმილი ფონდებიდან რესპუბლიკას დააკლდა	ფონდების გარეშე, დამატებით მიღებულია
		კომპლექტების სახით	ცალკეული კომპიუტ. სახით		
1985	108	90 (5 კომპ.)	18	—	—
1986	523	448 (36 კომპ.)	75	—	—
1987	338	338 (26 კომპ.)	—	218 ც.	—
1988	1081	1036 (83 კომპ.)	45	759 ც.	361 ც.
1989	239	239 (23 კომპ.)	—		

დღეისათვის რესპუბლიკაში ერთი ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტი (მხოლოდ სრული კომპლექტების გათვალისწინებით) მოდის საშუალოდ 15 სკოლაზე. ამასთან მხოლოდ 15 ადმინისტრაციულ რაიონს (მათგან 8 ავტონომიურ რესპუბლიკასა და ოლქშია) არ გააჩნია კომპიუტერული ტექნიკა.

საზოგადოდ ხაზგასასმელია, რომ კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის ამოცანა მხოლოდ ნაწილია იმ ზოგადი ამოცანებისა, რომლებიც დგას სკოლაში სასწავლო პროცესში კომპიუტერების დანერგვისა და მისი მთლიანი კომპიუტერიზაციის გზაზე. ამ

ამოცანების გადაჭრა შეუძლებელია სერიოზული მატერიალური ბაზის გარეშე, აუცილებელია ყოველ სკოლაში და სასწავლებელში თუნდაც ერთი გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტის მოწყობა. დღევანდელი სინამდვილით ამისათვის საჭიროა დაახლოებით 2000 სასწავლო გამოთვლითი ტექნიკის კომპლექტი. დღევანდელივე ფასებით, შესაბამისი ასიგნებანი შეადგენენ საშუალოდ 2000×25 ათას, ანუ 50 მილიონ მანეთს.

III. მეთოდური და პედაგოგიური პროგრამული უზრუნველყოფა

ინფორმატიკის სწავლების ეფექტურობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია სახელმძღვანელოებით, დამხმარე სახელმძღვანელოებითა და მეთოდური თუ სასწავლო-თვალსაჩინო საშუალებებით მასწავლებლებისა და მოსწავლეების სრულყოფილად უზრუნველყოფაზე. ამასთან ერთად, სასწავლებლებს, სადაც გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტები არსებობს, ესაჭიროებათ პრაქტიკული მეცადინეობების წარმართვისათვის აუცილებელი პროგრამული უზრუნველყოფა.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არის შემთხვევები, როცა სკოლებს ხელთ არა აქვთ არსებული სასწავლო პროგრამები. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიგ სკოლებში ვერ უზრუნველყვეს მოსწავლეებისაგან X კლასის სახელმძღვანელოების მიღება სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ და მათი გადაცემა მოსწავლეთა ახალი კონტინგენტისათვის.

შესადგენია „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ ქართული სახელმძღვანელოების მეთოდური მითითებები. ამ საქმეში აუცილებელია სახელმძღვანელოების ავტორებთან ერთად რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო ინსტიტუტების სპეციალისტების ჩაბმა. ავრეთვე, გამოსაცემია ქართულ ენაზე თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალა ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლებისათვის.

ინფორმატიკის პრაქტიკული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფა რესპუბლიკაში იგზავნება გამზადებული პაკეტის სახით ცენტრალიზებულად სსრკ განათლების სამინისტროს მიერ, მორიგი მოდიფიცირებული ან ახალი პაკეტის მოლოდინში კი საკმაოდ დიდი დრო გადის. ამიტომ, ძალზე მნიშვნელოვანია ამ საქმის ადგილობრივ მოგვარება, ნაწილობრივ არსებული მაღალი ხარისხის პროგრამების სხვადასხვა ტიპის კომპიუტერებზე ადაპტაციის, ნაწილობრივ კი ახალი პროგრამების შექმნის გზით და ამ საქმეშიც ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან ერთად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელსაც ფაქტიურად ასეთი პროგრამების გარკვეული ფონდი გააჩნია, საჭიროა მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლებლებმა და კვლევითმა ინსტიტუტებმა.

ცნობილია, რომ კომპიუტერს დიდი დახმარება შეუძლია აღმოუჩინოს სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლების პროცესში მისი გამოყენებით. მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნის გაღრმავება და განმტკიცება, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება, სხვადასხვა ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სხვა პროცესებისა და მოვლენების მოდელირება, ცოდნის კონტროლი და თვითკონტროლი — აი მოკლე სია იმ შესაძლებლობებისა, რომლებიც კომპიუტერული სასწავლო პროგრამების საშუალებით შეიძლება დღეს იქნეს სკოლაში რეალიზებული.

დღესდღეობით საბჭოთა კავშირში სხვადასხვა დანიშნულების მაღალხარისხოვანი პედაგოგიური პროგრამული საშუალებების დეფიციტია, რაც მრავალი მიზეზითაა განპირობებული. მათგან ძირითადია:

— სასწავლო დაწესებულებებში გამოყენებული კომპიუტერების ტიპობრივი განსხვავება;

— პედაგოგიური პროგრამული პროგრამის შემქმნელი კოლექტივის დიდი შრომითი და მორალური დანახარჯები, სათანადო მატერიალური კომპენსაციის გარეშე.

— კომპიუტერულად განათლებული საგნების სპეციალისტების ნაკლებობა.

ამ მიზეზთა მოუწესრიგებლობის გამო ქვეყანაში არსებულ სასწავლო დანიშნულების პროგრამებს ძირითადად ფრაგმენტული ხასიათი აქვს.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ის სამუშაო, რომელიც მიმდინარეობს სახალხო განათლების სამინისტროს ინფორმატიკის მთავარ ცენტრში და ეხება ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში ინტეგრირებული ავტომატიზებული დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნის მეცნიერულ და პრაქტიკულ საკითხებს.

როგორც ცნობილია, ცენტრში დიდი ეგმ-ებისა და სასწავლო დანიშნულების მიკროკომპიუტერების ბაზაზე (ამ უკანასკნელზე ქართულ და რუსულ ენებზე) შექმნილია ასეთი სახელმძღვანელოები რიგ საგნებში და მათ უკვე იყენებენ როგორც რესპუბლიკის, ისე მის გარეთ არსებული სკოლები. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის 1-ლი, 37-ე, 42-ე, 53-ე სკოლები. ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი, სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბეს და აბასთუმნის საშუალო სკოლები, სადაც ინფორმატიკის მთავარ ცენ-

ტრში შექმნილი სახელმძღვანელოების დახმარებით ტარდება პიუტერული გაკვეთილები ფიზიკასა და მათემატიკაში, ინგლისურსა და რუსულ ენაში. სახელმძღვანელოები აქტიურად გამოიყენება აგრეთვე მასწავლებელთა და განათლების მუშაკთა გადამზადების კურსებზე.

ამ მიმართულებით სამუშაოები უნდა განვითარდეს სხვადასხვა საგნების მთელი სასწავლო ციკლისათვის განკუთვნილი დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნის გზით, ნაციონალური სკოლის სპეციფიკის, და ასაკობრივი ცენზის სრულად გათვალისწინებით. სკოლის კომპიუტერიზაციის გლობალური ამოცანის გადაჭრის თვალსაზრისით ეს უმთავრესი ამოცანაა და მისი გადაწყვეტა მოითხოვს სამეცნიერო-პედაგოგიური და პრაქტიკული სამუშაოების მასშტაბების მნიშვნელოვან გაფართოებას და ამ მიზნით ინფორმატიკის მთავარ ცენტრში დაგროვილი გამოცდილების განზოგადოებას, რესპუბლიკის მოწინავე, ნოვატორი პედაგოგებისა და მეცნიერების გაერთიანებას დროებით სამეცნიერო-საკონსტრუქტორო კოლექტივებში, მათ მორალურ და მატერიალურ დაინტერესებას.

IV. კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფა, სასკოლო განათლების კომპიუტერიზაცია, მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობა

კომპიუტერული წიგნიერება გულისხმობს პრაქტიკული საკითხების გადაჭრისას ეგმ-ს მდიდარი შესაძლებლობების შესახებ მოსწავლეთა სწორ და ნათელ წარმოდგენაზე ორიენტაციას, ასეთი წარმოდგენის ჩამოყალიბებას.

როგორც გამოცდილებამ და პრაქტიკამ აჩვენა, მასწავლებლების დიდ ნაწილს კომპიუტერული წიგნიერება დაჰყავს სხვადასხვა ამოცანის ამოხსნის ალგორითმების შესწავლამდე და ერთ-ერთ გავრცელებულ ალგორითმულ ენაზე (უმთავრესად ბეისიკზე) პროგრამების შედგენამდე, მარტივი მათემატიკური ამოცანების ამოსახსნელად კომპიუტერების გამოყენებამდე. ამის ძირითადი მიზეზი არის ის, რომ არ არსებობს სკოლაში ინფორმატიკის სწავლების ერთიანი მეთოდური კონცეფცია.

დღეისათვის რესპუბლიკაში კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის „კერები“ იქ არის, სადაც დაინტერესებული, ინიციატივიანი და კვალიფიციური მასწავლებლებისათვის ხელშემწყობი პირობები არსებობს, სადაც ყურადღებით ეკიდებიან მოზარდი თაობის აღზრდას თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნების დონეზე.

მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის ფრონტზე მუშაობენ როგორც „ინფორმატიკისა და გამოთვლითი

ტექნიკის საფუძვლების“ პედაგოგები, ასევე კლასგარეშე მუშაობაში ჩაბმული ენთუზიასტი მასწავლებლები და სპეციალისტები. კარგი შედეგები აქვს სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებებიდან მოწვეულ, შეთავსებით მომუშავე ზოგიერთ სპეციალისტს.

საუკეთესო რეპუტაციით და სპეციალისტებს შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობენ საშუალო სკოლების მასწავლებლები ა. მეტრეველი, ნ. ავალოვა, მ. ლავრელაშვილი (თბილისის №№ 1, 37, 154 საშუალო სკოლები), ე. ლოთეშვილი (გორის რაიონის სოფელ ატენის სკოლა-ინტერნატი), ქ. ზუბიაშვილი (წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლა), ს. ისმაილოვი (ქ. მარნეულის № 6 საშუალო სკოლა), ლ. ორლოვა (სოხუმის № 19 საშუალო სკოლა), ნ. თურმანიძე (ბათუმის № 2 ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატი), ჯ. გოჯიაშვილი (ცხინვალის რაიონის სოფელ ქურთას საშუალო სკოლა), აგრეთვე პროფტექნიკურ სასწავლებლებში მომუშავე მ. ღარიშვილი, დ. მჭედლიძე, გ. სამსიანი (№№ 3, 36, 115 სასწავლებლები). სკოლებში მოწვეულ სპეციალისტებს შორის პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის კათედრის გამგის ბ. მებუკეს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ თანამშრომლის მ. ფხოველიშვილის მუშაობა თბილისის 53-ე და 126-ე საშუალო სკოლებში. მოსწავლეებთან სკოლისგარეშე მუშაობას მაღალ პროფესიულ დონეზე წარმართავენ — გ. თოდრია ნ. დუმბაძის სახელობის ბავშვთა აღმზრდელობით-გამაჯანსაღებელ კომპლექს „მზიურის“ სასწავლო-მეთოდურ კომპიუტერულ ლაბორატორიაში, პ. ჯანჯღავა ქ. ზუგდიდის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, ა. ელიგულაშვილი და ლ. მოსიაშვილი სახალხო განათლების სამინისტროს ინფორმატიკის მთავარ ცენტრში.

მასწავლებლების კვალიფიკაციის და პროფესიული დონის ამაღლებასთან ერთად საჭიროა განათლების სისტემის ყველა დონეზე მომუშავეთა პასუხისმგებლობის გაძლიერება, მათ მიერ იმ ფაქტის გათვითცნობიერება, რომ აუცილებელია იმ საკითხებისა და პრობლემების ოპერატიულად გადაწყვეტა, რომლებიც ხელს უშლიან სასწავლებლების საყოველთაო ინფორმაციას.

დღეისათვის განათლების ორგანოების მუშაობაში არ იგრძნობა მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის პრობლემებისადმი ჯეროვანი ყურადღება, არ არის დამკვიდრებული სა-

კითხის კომპლექსურად შესწავლისა და განხილვის პრაქტიკა. ეარის, რა თქმა უნდა, გამონაკლისებიც. მაგალითად, თბილისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებამ (ამხ. დ. კალანდაძე) 1988 წელს ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით განიხილა რაიონის სკოლებში „ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების“ სწავლების საკითხი, დასახა მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებები. ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან რეგულარული კონტაქტი აქვთ იმ განათლების განყოფილებების და სკოლების თანამშრომლებსა და მასწავლებლებს, სადაც მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფა უმთავრესი ამოცანების რიგშია ჩაყენებული.

აღსანიშნავია, რომ აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1989 წლის თებერვალში სპეციალურად განიხილა საკითხი „აჭარის ასსრ რესპუბლიკაში ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების სწავლების და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტურად გამოყენების მდგომარეობის შესახებ“. შესაბამისი დადგენილებით დასახულია არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის ღონისძიებათა ფართო პროგრამა აჭარის ასსრ საბჭოთა ორგანოების და სახალხო განათლების დაწესებულებების მონაწილეობით.

საერთოდ, მოყვანილი მაგალითები ჯერჯერობით გამონაკლისია.

აუცილებელია რესპუბლიკის სახალხო განათლების ორგანოების ყურადღება მივაქციოთ მოსწავლეთა კომპიუტერული წიგნიერების უზრუნველყოფის საქმეში არსებული პრობლემების პრიორიტეტულ ასპექტებს, მოვთხოვოთ მათ დღენიადაგ იზრუნონ ამ საქმეში დაგროვილი თუ ახლად წამოჭრილი საკითხების გადასაწყვეტად.

პირველი რიგის გადასაწყვეტი საკითხების უბრალო ჩამოთვლა დანაც შეიძლება დავინახოთ, რომ მოსაგვარებელი და გასაკეთებელი საკმაოდ ბევრია — კერძოდ, აუცილებელია:

— ყველა სასწავლებელში ინფორმატიკის კაბინეტების მოწყობა, სადაც კომპიუტერული ტექნიკის გარეშეც შესაძლებელი იქნება, თვალსაჩინოებათა გამოყენებით, მეცადინეობების საჭირო დონეზე ჩატარება; ასეთი კაბინეტების საუკეთესოდ მოწყობისათვის პროფტექსასწავლებელში დაგროვილი კონკურსების მოწყობის გამოცდილების გამოყენება;

— ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის კაბინეტების მომზადება ტექნიკის სწორი ექსპლოატაციისათვის;

— მოსწავლეებს შორის რესპუბლიკური კონკურსების ჩატარება და კომპიუტერული ბანაკების მოწყობა;

— საუკეთესო პროგრამების შექმნაზე კონკურსის ჩატარება;

— სსრკ-აშშ საერთაშორისო ბანაკის მუშაობის გამოცდილების განზოგადება და გავრცელება;

— პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების და ტექნიკუმების ინფორმატიკის მასწავლებლების მომზადება სკოლის პედაგოგების მომზადების გამოცდილების გათვალისწინებით;

—„კუვტ—86“ კომპლექტებში „ფოკალის“ ალგორითმული ენის „ბეისიკით“ შეცვლა;

— განათლების სისტემაში გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების ეფექტური გამოყენების პროგრამის შექმნა და განხორციელება;

ჩამოთვლილის გარდა უნდა აღინიშნოს სხვა საკითხებიც.

ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების ქართულ სკოლაში სწავლების პრაქტიკამ დაგვანახა, რომ მასწავლებლებს აკლიათ მეთოდური და პრაქტიკული სახის ოპერატიული ინფორმაცია სასკოლო განათლების კომპიუტერიზაციის აქტუალური საკითხების შესახებ. საკავშირო ჟურნალი „ინფორმატიკა ი ობრაზოვანიე“ ვერ აკმაყოფილებს პედაგოგების მოთხოვნებს, ვინაიდან ორიენტირებულია რუსული სკოლის პროგრამასა და სახელმძღვანელოზე, რომლებიც პრინციპულად განსხვავდება ქართულ სკოლებში მიღებული პროგრამისა და სახელმძღვანელოსგან.

რესპუბლიკის ინფორმატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლების მასწავლებლებს სერიოზულ დახმარებას გაუწევდა სკოლებში და სხვა სასწავლებლებში საგნის სწავლებისა და განათლების კომპიუტერიზაციის სხვა საკითხების გაშუქება პერიოდულ გამოცემაში. ასეთი გამოცემის შესაძლებელ ფორმად უნდა მივიჩნიოთ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტალური დამატება.

სასკოლო განათლების კომპიუტერიზაციის პროცესში გამოიკვეთა კომპიუტერთან „ურთიერთობის“ დამწყები მოსწავლეების ასაკობრივი ცენზის შემცირების ტენდენცია. სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც, ეწყობა ბავშვების კომპიუტერთან მუშაობის ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის ექსპერიმენტები. საჭიროდ და პერსპექტიულად უნდა იქნეს მიჩნეული ინფორ-

მატიკის მთავარი ცენტრის წამყვანი სპეციალისტების ძალებით თბილისის ერთ-ერთი სკოლის დაწყებით კლასებში ინფორმატიკის ელემენტების სწავლების ექსპერიმენტის ჩატარება.

ყოფილ სსრკ განათლების სამინისტროს გეგმით გათვალისწინებული იყო ალგორითმებისა და პროგრამების საუწყებო ფონდის შექმნა და ამ ფონდის რეგიონალური (რესპუბლიკური) განყოფილების ჩამოყალიბება. ასევე გათვალისწინებული იყო ეგმ-ის პედაგოგიური პროგრამული საშუალებების (პპს) რესპუბლიკური კომისიის შექმნა.

ფონდის რესპუბლიკურ განყოფილებასა და კომისიას უნდა დაეკისროს რესპუბლიკაში სასწავლო დანიშნულების ალგორითმებისა და პროგრამების თავმოყრა, შენახვა და გავრცელება-დანერგვა სასწავლო პროცესში, პროგრამების შექმნის ორგანიზაცია და კონტროლი, პედაგოგიური პროგრამული საშუალებების ექსპერტიზა და მათი გამოყენების რეკომენდაციების შემუშავება და ა. შ. გასათვალისწინებულია ფონდის საქმიანობის ფინანსირების საკითხი, რაც პირველ რიგში გულისხმობს დასანერგად რეკომენდებული პროგრამების ავტორების შრომის ანაზღაურებას, საუკეთესო ნამუშევრების გამოვლენის კონკურსების მოწყობას. მიზანშეწონილად უნდა მივიჩნიოთ, რომ პედაგოგიური პროგრამული საშუალებების რესპუბლიკური კომისია ფუნქციონირებდეს ინფორმატიკის მთავარ ცენტრთან.

გადასაჭრელი პრობლემებისა და განსახილველი საკითხების ჩამოთვლა, კიდევ შეიძლება.

სკოლისა და სხვა სასწავლებლების კომპიუტერიზაცია — ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომელიც მოითხოვს საფუძვლიან სამეცნიერო-პედაგოგიურ უზრუნველყოფას, სასწავლო პროცესის მოთხოვნების შესაბამისი მიკროკომპიუტერული ტექნიკის შექმნას, მისი გამოყენების მეთოდიკის სრულყოფას, პედაგოგიური და ტექნიკური კადრების მომზადებას, კომპიუტერებისათვის სასწავლო-მეთოდური მასალებისა და პროგრამების შექმნა-შემუშავებას.

ხაზგასასმელია, რომ სახალხო განათლების სისტემის მუშაკთა უმრავლესობას არა აქვს რეალური წარმოდგენა იმ სიღრმისეულ ცვლილებების შესახებ, რომლებიც მოჰყვება სასწავლებლებში კომპიუტერის გავრცელებასა და დამკვიდრებას.

კომპიუტერი უნდა გახდეს მასწავლებლის სამუშაო იარაღი.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ, რომ სახალხო განათლების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისათვის აუცილებელი ხდება განათლების სისტემაში გამოთვლითი ტექნიკის საშუალებების გამოყენების გრძელვადიანი პროგრამის შექმნა და განხორციელება და დღევანდელ სინამდვილეში „ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის“ გავრცელების ტენდენციის შესაბამისად სახალხო განათლების ინფორმატიზაციის კონცეფციის დამკვიდრება. დანართად წარმოდგენილი კომპიუტერული სწავლების ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის სისტემა და ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის ცენტრის სტრუქტურა და ამოცანები გვიჩვენებენ ამ კონცეფციის რეალიზაციის შესაძლო გზებს.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების
სამინისტროს ინფორმატიკის მთავარი
ცენტრის დირექტორი გ. გ ვ ა რ ა მ ი ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 10 მარტის გადაწყვეტილება

უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა კვების ობიექტების სანიტარული მდგომარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მიერ ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად უკანასკნელ წლებში გატარებულია რიგი ღონისძიებები სტუდენტთა კვების ორგანიზაციისა და კვების ბლოკების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის, სისტემის II უმაღლესი სასწავლებლის კვების ბლოკებში დასაჯდომი ადგილებით უზრუნველყოფა შეადგენს 53,1% (ფაქტიურად არის 3957 ადგ. ნორმით უნდა იყოს 7553 ადგ.). 25 საშუალო სპეციალურ სასწავლებელში — (1989 წ. — 1200 ადგ. 1990 წ. — 1300 ადგ. 1991 წ. — 1700 ადგ.),

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 ოქტომბრის № 473 დადგენილებით 1989-91 წ.წ. დასაჯდომი ადგილები უნდა გაიზარდოს უმაღლეს სასწავლებლებში 4200 ადგილით (1989 წ. — 1200 ადგ. 1990 წ. — 1300 ადგ. 1991 წ. — 1700 ადგ.),, ტექნიკუმებში გათვალისწინებულია ზრდა 1000 ადგილით (1989 წ. —500 ადგ. 1990 წ. — 500 ადგ.).

ბოლო პერიოდში ექსპლოატაციაში შევიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი კვების ბლოკით 40 ადგილზე, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სასადილო 150 ადგილზე, მშენებლობის სტადიაშია აფხაზეთის სახ. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებელი სასადილოთი 120 ადგილზე და სხვ.

კვების ორგანიზაციისა და თვითმმართველობის გაუმჯობესების მიზნით თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელში და სტუდქალაქის ბაგების კომპლექსის კვების ბლოკ-

ში დასაქმებული არიან უნივერსიტეტის შესაბამისი სპეციალობის საღამოს და დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტები, რაც მიზანშეწონილია ფართოდ დაინერგოს სისტემის სხვა ობიექტებზე.

ამასთან, კოლეგია აღნიშნავს, რომ სტუდენტი ახალგაზრდობის კვების ორგანიზაცია ვერ აკმაყოფილებს სადღეისო მოთხოვნებს. სასადილოების ქსელის შემდგომ განვითარებასთან ერთად უნდა გაუმჯობესდეს არსებული ობიექტების სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობა. კვების ობიექტები არ მარაგდება რეგულარულად ხორცით, თევზით, რძის პროდუქტებით, კვერცხით, ხილითა და ბოსტნეულით.

როგორც წესი, ობიექტებზე შემოაქვთ ძვირადღირებული საკონდიტრო და კულინარული, აგრეთვე დაკონსერვებული ნაწარმი, რითაც საგრძნობლად შეზღუდულია რაციონი, დაბალია კვების კალორიულობა.

არადამაკმაყოფილებელი სანიტარული მდგომარეობაა აფხაზეთის სახ. უნივერსიტეტის სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის (პრორექტორი ვ. თანია), სამხრეთ ოსეთის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის (პრორექტორი გ. მედოევი), თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიოლოგიური ფაკულტეტის (პრორექტორი შ. შიხაშვილი), საქართველოს სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის პირველი და მე-7 კორპუსების (პრორექტორი ო. წეროძე), აგრეთვე სტუდქალაქის ბაგების სასადილო კომპლექსისა (მმართველი რ. სხირტლაძე) და თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის (პრორექტორი შ. კიკოლაშვილი) სასადილოებში.

შემოწმებისას არ გააჩნდათ სარეცხი და სადეზინფექციო საშუალებები სახ. უნივერსიტეტის სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსის, პოლიტექნიკური ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის (მმართველი ს. არჩვაძე), თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის, თელავის სამშენებლო ტექნიკუმის (დირექტორის მოადგილე ჰ. ფხოველიშვილი) ბუფეტებში, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმისა (დირექტორის მოადგილე ი. ბროძელი) და სტუდქალაქის სასადილოებში (მმართველი რ. რეხვიაშვილი). გამდინარე ცხელი წყალი არ გააჩნიათ აფხაზეთის სახ. უნივერსიტეტის სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსისა და საერთო საცხოვრებლის, სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის კვების ბლოკებს. აფხაზეთის სახ. უნივერსიტეტის სასწავლო-ადმინისტრაციული და თბილისის სახ. უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსების კვების ბლოკების საკანალიზაციო სისტემა ხშირად გამოდის მწყობრიდან.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის, აფხაზეთის სახ. უნი-

ვერსიტეტის სასწავლო-ადმინისტრაციული კორპუსისა და საერთო საცხოვრებლის კვების ბლოკები განიცდიან სასადილო ჭურჭლისა და სამზარეულო ინვენტარის ნაკლებობას. აფხაზეთის სახ. უნივერსიტეტის საერთო საცხოვრებლის სასადილოში და თბილისის სტუდქალაქის სასადილოში პროდუქტების დასამუშავებელი ინვენტარი არ არის მარკირებული, ხოლო არსებული მაცივარ-დანადგარების ნაწილი დაზიანებული და უმოქმედოა.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებებს კაპ. შეკეთებისათვის გამოყოფილი ჰქონდათ 17,5 მლნ. მანეთი (დანართი № 1), კვების ობიექტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ქმნიან სტუდენტთა კვებითი მოწამვლისა და მწვავე ნაწლაური ინფექციის გავრცელების საშიშროებას.

სტუდენტთა კვების ორგანიზაციის ძირეულად გაუმჯობესებისა და სასადილოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი სრულყოფის მიზნით

კოლეგია ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მასალები „უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა კვების ორგანიზაციის შესახებ“ მიღებულ იქნეს ცნობად.

2. დამტკიცდეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა კვების ობიექტების სანიტარიულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმა.

3. სისტემის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა:

— სისტემატიური კონტროლი დააწესონ სტუდენტთა და მოსწავლეთა კვების ორგანიზაციაზე, პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველყონ დადგენილი ნორმებისა და ასორტიმენტის დაცვა. განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ კვების ობიექტებში სანიტარული ნორმებისა და წესების დაცვას;

— კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი მოახმარონ კვების ბლოკებსა და სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტებზე სანიმუშო სანიტარულ-ჰიგიენუ-

რი პირობების შექმნას, განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრონ სანტექნიკური კვანძების გამართულობასა და ტექნოლოგიური მოწყობილობების პროფილაქტიკას;

— ადგილობრივი საზოგადოებრივი კვებისა და სანიტარიულ სამსახურებთან ერთობლივად უზრუნველყონ სანიტარიულ-ტექნიკური ნორმებისა და მოთხოვნის განუხრელად დაცვა კვების ობიექტებში, მიაღწიონ ხარისხიანი პროდუქტების შეუფერხებელ მომარაგებას, შენახვის, დამუშავებისა და რეალიზაციის დადგენილი წესების დაცვას;

— პრაქტიკაში დანერგონ დაუსწრებელი და საღამოს სწავლების შესაბამისი სპეციალობების სტუდენტთა და მოსწავლეთა დასაქმება სისტემის კვების ობიექტებზე. ამ სამუშაოში ფართოდ გამოიყენონ ახალგაზრდობის თვითმმართველობის ფორმები.

4. სოციალური ბაზის განვითარების განყოფილებამ (ამხ. ა. თხილაიშვილი) პრაქტიკული დახმარება აღმოუჩინოს სასწავლო დაწესებულებებს კვების ობიექტებში სანიმუშო სანიტარიულ-ტექნიკური წესრიგის დასამყარებლად. სისტემატური კონტროლი დააწესოს კვების ორგანიზაციის საკითხებზე.

5. მომარაგება-გასაღების სამმართველომ (ამხ. გ. გოდერძიშვილი) უზრუნველყოს კვების ბლოკებისა და სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტების შეუფერხებელი მომარაგება მაგარი ინვენტარით განაცხადის შესაბამისად.

6. ეთხოვოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, უზრუნველყოს სტუდენტური სასადილოების შეუფერხებელი მომარაგება ხარისხიანი კვების პროდუქტებით, არ დაუშვან ძვირადღირებული, აგრეთვე დაკონსერვებული პროდუქტების შეტანა. კვების ბლოკები დადგენილი წესის შესაბამისად მოამარაგონ სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით.

7. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. რ. ხიტირი), სოციალური ბაზის განვითარების განყოფილებასთან ერთობლივად (ამხ. ა. თხილაიშვილი) შეიმუშაოს და განახორციელოს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის კონკრეტული პროგრამა დასაჯდომი ადგილების დეფიციტის სალიკვიდაციოდ, თანახმად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 12.10.88 წ. № 473 დადგენილებისა.

8. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველოს (ამხ. ი. ურუშაძე).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობა

კაპიტალურ რემონტზე გამოყოფილი თანხის ფაქტობრივი ხარჯი სისტემის უმაღლესი სასწავლებლებისათვის 1986—1988 წ.წ.

(ათას მანეთებში)

№	ინსტიტუტების დასახელება	1986 წ.	1987 წ.	1988 წ.
1.	თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	2.241,0	1.405,0	3.124,5
2.	აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	67,0	135,0	199,0
3.	საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი	891,0	2·392,0	1.694,0
4.	ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი	228,0	324,0	1.024,0
5.	თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	167,0	245,0	250,0
6.	თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი	290 ,0	381,0	300,0
7.	ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი	14 2,0	130,0	100,0
8.	სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტი	62,0	107,0	184,0
9.	ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტი	79 ,0	267,5	550,0
10.	გორის ეკონომიკური ინსტიტუტი	46,3	—	74,5
11.	თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი	80,1	7.5,0	220,0
	ს უ ლ: 17.575,3	4.293.4	5.461,5	7.820,4

დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს 1989 წლის .10 ' მარტის № 3-8 დადგენილებით

რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სტუდენტთა კვების ობიექტების სანიტარულ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესების პრაქტიკული ღონისძიებების გ ე გ მ ა

1. სასადილო ჭურჭლისა და მაგარი ინვენტარის შეცვლა
ვადა: 1989 წლის აპრილი
შემსრ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მომარაგება-გასაღების სამმართველო

2. ინტერნაციონალური საერთო საცხოვრებლის სასადილოში და სართულებზე არსებულ სამზარეულოებში მიმდინარე რემონტის ჩატარება
ვადა: 1989 წლის III კვარტალი
შემსრ: საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატი, სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

3. პროდუქტების დასამუშავებელი საამქროს რეკონსტრუქცია
ვადა: 1989 წლის III კვარტალი
შემსრ: თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი, სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

4. სასადილოში კანალიზაციის შიდა ქსელის რემონტი
ვადა: 1989 წლის აპრილი
შემსრ: სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, პროდუქტების დასამუშავებელი საამქროს რეკონსტრუქცია
ვადა: 1989 წლის III კვარტალი
შემსრ: სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარების აღდგენა
ვადა: 1989 წლის მარტი
შემსრ: თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი

5. კვების ბლოკში მიმდინარე რემონტის ჩატარება
ვადა: 1989 წლის III კვარტალი
შემსრ: სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. ჭურჭლის სამრეცხაოს რეკონსტრუქცია
ვადა: 1989 წლის III კვარტალი
შემსრ: სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. მაგარი ინვენტარის შემოტანა
ვადა: 1989 წლის აპრილი

შემსრ: სამინისტროს მომარაგება-გასაღების სამმართველო, სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარების ალგენის სამუშაოების ჩატარება

ვადა: 1989 წლის მარტი

შემსრ: თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის დირექცია

6. ცხელი წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის შიდა ქსელის რემონტი.

ვადა: 1989 წლის II კვარტალი

შემსრ: № 3 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო, სასადილო ჭურჭლითა და დანადგარებით უზრუნველყოფა

ვადა: 1989 წლის აპრილი

შემსრ: მომარაგება-გასაღების სამმართველო ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად

7. სასადილოში ცხელი და ცივი წყლის შიდა ქსელის გაყვანილობის რემონტი, ცივი წყლის სამარაგო აუზის შეკეთება

ვადა: 1989 წლის მარტი

შემსრ: სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორატი, სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

8. ჭურჭლისა და სამზარეულო ინვენტარის სამრეცხაოს რემონტი

ვადა: 1989 წლის II კვარტალი

შემსრ: სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო. ავეჯით, ჭურჭლითა და სამზარეულო ტექნოლოგიური ინვენტარით უზრუნველყოფა.

ვადა: 1989 წლის აპრილი

შემსრ: თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის დირექცია, მომარაგება-გასაღების სამმართველო, ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად

9. ბოსტნეულის დასამუშავებელი საამქროს მოწყობა

ვადა: 1989 წლის III კვარტალი

შემსრ: სამინისტროს № 1 სარემონტო-სამშენებლო სამმართველო

სამაცივრო და ტექნოლოგიური დანადგარებით უზრუნველყოფა

ვადა: 1989 წლის აპრილი

შემსრ: მომარაგება-გასაღების სამმართველო, ვაჭრობის სამინისტროსთან ერთად

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის საშუალო სასწავლო დაწესებულებების წარჩინებულ კურსდამთავრებულთა მიერ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგების შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად მთელი რიგი გატარებული ღონისძიებისა რესპუბლიკის საშუალო სასწავლო დაწესებულებებში ჩატარებულმა გამოსაშვებმა და უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებმა გამოცდებმა კვლავ გამოავლინა სასწავლო მუშაობის დაბალი დონე, რაც არსებითად გამოწვეულია სასწავლო დაწესებულებათა პედაგოგიური კოლექტივების, მათი ხელმძღვანელების და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცების საქმის თვითდინებაზე მიშვებით.

მთელ რიგ სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში გამეფებულია შემრიგებლური დამოკიდებულება წარსულში დაშვებული შეცდომებისა და დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობის მანკიერ ტრადიციად ქცეული გამოვლინებების მიმართ, რაც, პირველ რიგში, ვლინდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების არაობიექტურობაში, ლიბერალიზმსა და ანგარიშგებაშიც კი.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების გარკვეული ნაწილი ვერ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა ჯეროვან მომზადებას სასწავლო პროგრამების ფარგლებში, ხოლო მათი სააატესტაციო ნიშნები, ხშირ შემთხვევაში, არ ასახავენ რეალური ცოდნის დონეს. ამის შედეგია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში

რებულთა — 44.417 აბიტურიენტთაგან მხოლოდ 27.428 (61%) მიიღო დამაკმაყოფილებელი ნიშანი. უფრო მეტიც, სკოლის პედაგოგიური კოლექტივები, დირექტორები და განათლების ორგანოები, ხშირ შემთხვევაში, სრულიად უპასუხისმგებლობით ეკიდებიან კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილის ოქროსა და ვერცხლის მედლით დაჯილდოების საქმეს, რაშიც თავისი გავლენა ისევ აქვს სკოლის ცალკეულ მუშაკთა და მშობელთა შორის არსებულ არაჯანსაღ ურთიერთობას. ეს კი, თავის მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში ჯერ კიდევ არ არის გაჩაღებული უკომპრომისო ბრძოლა პროტექციონიზმისა და მაამებლობის წინააღმდეგ. რიგ სკოლებში წლების მანძილზე გამეფებული არაობიექტურობისა და ლიბერალიზმის შედეგად ფაქტიურად დევალვირებულია მოსწავლის ცოდნის რეალური შეფასების კრიტერიუმი და აქედან გამომდინარე — სკოლის ნიშანი. ასეთმა დამოკიდებულებამ გაამრავლა მედლით დაჯილდოების უსაფუძვლო მაძიებელთა რაოდენობა. მარტო გასული სასწავლო წლის 1744 პრეტენდენტთაგან სკოლის მიერ დაწერილი ნიშანი ვერ გაამართლა (რიგ შემთხვევაში „2"-ც კი მიიღო) სარაიონო, საქალაქო საკონტროლო წერებზე და გამოსაშვებ გამოცდებზე 1301 (74,5%) მოსწავლემ. ამავე დროს განათლების სამინისტროში ადგილობრივმა ორგანოებმა წარადგინეს 443 მედლის პრეტენდენტის საგამოცდო ნამუშევრები, რომელთაგან 138 (31%) არ იმსახურებდა დაწერილ ნიშანს, 29 ნამუშევარი კი „5"-ის ნაცვლად მხოლოდ „3"-ს იმსახურებდა (წალკის რაიონიდან 7-დან—3, სენაკის რაიონიდან 12-დან—3, ქ. ჭიათურიდან 5-დან—2, ბოგდანოვკის რაიონიდან 6-დან—2). მხოლოდ განათლების განყოფილებების და მათი სარეცენზიო კომისიის სრული უპასუხისმგებლობით შეიძლება აიხსნას ისეთი ფაქტები, როდესაც სამინისტროში წარმოდგენილ მედლის პრეტენდენტთა ნამუშევრებში „შეუმჩნეველი" რჩება მთელი რიგი სტილური, ორთოგრაფიული, ფაქტობრივი და ტექსტობრივი შეცდომები. საჩხერის რაიონის მოსწავლის, მედლის პრეტენდენტის წარმოდგენილ ნაშრომში არ აღუნიშნავთ 30 შეცდომა. დუშეთის, თეთრი წყაროს, ფოთის, ჭიათურის, წალკის, თელავის სკოლებიდან წარმოდგენილ ნამუშევრებში დაშვებულია 10—19 შეცდომა და ასეთი მოსწავლეები მათ მიერ წარდგენილი იყვნენ მედლით დასაჯილდოებლად.

ამგვარი უპრინციპო დამოკიდებულება კურსდამთავრებულთა ცოდნის დონის შემოწმებისადმი ვლინდება წლების მანძილზე ლა-

გოდეხის რაიონში, რომლის მიერ მარტო ბოლო სამი წლის მანძილზე სამინისტროში წარდგენილი 13 მოსწავლიდან 10-მა (77%) ვერ გაამართლა რაიონში დაწერილი ნიშნები. ანალოგიური დარღვევებით ხასიათდება მახარაძის (27-დან—14), ჩოხატაურის (12-დან —7), გურჯაანის (13-დან —7), ქ. რუსთავის (29-დან—17) განათლების განყოფილებათა მუშაობა. არსებითი ნაკლოვანებები შეინიშნება ამ საქმეში აფხაზეთის სახალხო განათლების სამინისტროსა და განათლების ადგილობრივ ორგანოებში. აფხაზეთიდან მხოლოდ 1986—1987 წლებში განათლების სამინისტროში წარმოდგენილი იყო მედლის 166 პრეტენდენტის ნაშრომი, რომელთაგან ყოველი მეოთხე (40) არ იმსახურებდა აფხაზეთის განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ შეფასებას, რის გამოც ნიშანი „3“ მიიღო 24 მოსწავლემ, მათ შორის შეფასება „5“-დან „3“-ზე ჩამოაკლდა 11-ს. ამასთან, შეინიშნება მეორე უკიდურესობაც — წლების მანძილზე არც ერთი წარჩინებული კურსდამთავრებული არ ჰყავთ დმანისის, ლენტეხის, ხობის, ცაგერის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, ადიგენის რაიონების სკოლებს, რაც მიგვანიშნებს ამ სკოლებში საგანთა სწავლებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებზე.

კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სკოლის რიგ მასწავლებელთა, მათი ხელმძღვანელებისა და განათლების ორგანოების სრული უპასუხისმგებლობის შედეგია ისიც, რომ კურსდამთავრებულთა მეტი ნაწილი და, რაც უფრო საგულისხმოა, რიგი მედალოსნებისა, ვერ ამართლებს მიღებულ ნიშნებს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე. უფრო მეტიც, კოლეგიას ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია ის ფაქტი, როდესაც სკოლის მედალოსანი თუ პროფტექსასწავლებლებისა და ტექნიკუმების წარჩინებული დიპლომების მქონე აბიტურიენტი ამჟღავნებს არადამაკმაყოფილებელ ცოდნას, 1988 წლის მისაღებ გამოცდებზე 1881 წარჩინებულთაგან ჩაიჭრა 748 (40%) მ. შ. სკოლის 77 (15%) მედალოსანი, 263 (45%) საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინებული და 408 (52%) — საშუალო სპეციალური სასწავლებლების წარჩინებული. მარტო გასული წლის 169 ჩაჭრილ წარჩინებულ კურსდამთავრებულთაგან 35-სკოლის მედალოსანია, 68—პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის წარჩინებული და 66—ტექნიკუმების წარჩინებული. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს, რომ რიგ სასწავლებლებში სრული განუკითხაობა და უპასუხისმგებლობა სუფევს კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასებისა და დაჯილდოების საქმეში. თბილისის II ექსპერიმენტულ სკოლაში (დირექტორი შ. გორგოძე) 1988 წლის სამივე მედალოსანმა

ეროვნული

მიიღო არადამაკმაყოფილებელი ნიშნები ბიოლოგიაში (მასწავლებელი თ. გამყრელიძე). ბორჯომის № 1-ლი (დირექტორი ა. შაყულაშვილი), ოჩამჩირის № 3 (დირექტორი ბ. აშუბა), სოხუმის № 5 (დირექტორი რ. ჭაჭია) სკოლების ორ-ორი მედალოსანი ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამედიცინო ინსტიტუტსა და აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს კასპის № 148, ენისელის № 2, კაზრეთის № 25, რუსთავის № 16 და № 104, თბილისის № 95, 41, 164 პროფტექსასწავლებლების წარჩინებულ კურსდამთავრებულთა შორის.

კოლეგიას ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია ის მდგომარეობა, რომელიც შექმნილია კურსდამთავრებულთა წარჩინების დიპლომით დაჯილდოების საკითხში თბილისის № 3 სამედიცინო სასწავლებელში. მარტო ბოლო სამ წელს მის წარჩინებულ კურსდამთავრებულთაგან ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე 40 აბიტურიენტი (ყოველი სამიდან — ორი). ასეთივე სურათია თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში (ჩაიჭრა 19, მათ შორის 1988 წლის — 7), აჩიგვარას სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში (6-4), თბილისის ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში (7-4), თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმში (13-2), ბაკურციხის სასოფლო სამეურნეო ტექნიკუმში (14-1), რომლის წარჩინებით კურსდამთავრებული მ. ფენაშვილი ზედიზედ სამჯერ ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში. ასეთივე შედეგი აქვს № 6, № 39, № 111, № 114 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებსაც. ორ-ორჯერ ჩაიჭრა მისაღებ გამოცდებზე 74 წარჩინებული კურსდამთავრებული თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სამედიცინო და პოლიტექნიკურ ინსტიტუტებში.

მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა კურსდამთავრებულთა წარჩინებით დაჯილდოების საქმეში, და განსაკუთრებით რესპუბლიკის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ამ დაწესებულებებში ვერ აღმოიფხვრა არაობიექტურობა და სიყალბე, ხოლო სახელმწიფო საკვალიფიკაციო კომისიებმა აშკარად შეასუსტეს მომთხოვნელობა კურსდამთავრებულთა ცოდნის საბოლოო შეფასებაში. ამის შედეგია, რომ რესპუბლიკის ტექნიკუმების წარჩინების დიპლომის მქონე ყოველი მეორე კურსდამთავრებული (1988 წლის მისაღებ გამოცდებზე 789-დან—408) ღებულობს არადამაკმაყოფილებელ ნიშანს, მათ შორის სახალხო განათლების სისტემის ტექნიკუმების ყოველი მეხუთე.

კოლეგია განსაკუთრებით მიაპყრობს ყურადღებას იმ გარემ-
მოებას, რომ დაუმსახურებლად მიღებულ მაღალ ნიშნებს ამრფა-
რებულმა მოსწავლეებმა სუსტად იციან სასწავლო პროგრამით გა-
თვალისწინებული მასალა, აღარ ცნობენ სასწავლებლის, მასწავ-
ლებლის ავტორიტეტს, აცდენენ მეცადინეობებს და რეპეტიტო-
რებთან ემზადებიან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოც-
დებისათვის მხოლოდ იმ საგანში, რომელიც იქ ბარდება პროფი-
ლით. უფრო მეტიც, შეინიშნება, რომ ბოლო წლებში სკოლის,
პროფტექნიკურ სასწავლებლებისა თუ ტექნიკუმების მედალოსან-
თა და წარჩინებით კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი თავისი
ცოდნის დაბალი დონის გამო, არ აბარებს მისაღებ გამოცდებს იმა-
ვე წელს და მხოლოდ რეპეტიტორებთან ხანგრძლივი მეცადინეო-
ბის შემდეგ ცდის თავის ბედს მისაღებ გამოცდებზე. საგულისხ-
მოა, რომ ასეთ წარჩინებულთა რიცხვი ყოველწლიურად მატუ-
ლობს და ამჟამად დაჯილდოებულთა 1/3-ს აღწევს. ამასთან აღსა-
ნიშნავია, რომ თითქმის ყოველი მეორე წარჩინებული კურსდამ-
თავრებული (1988 წელს — 218) პირველ გამოცდაზე უმაღლესი
შეფასების მიუღებლობის შემთხვევაში თავს ანებებს მომდევნო
გამოცდების ჩაბარებას.

კოლეგიას მიაჩნია, რომ საშუალო სასწავლებლებში კურსდამ-
თავრებულთა დაჯილდოების საქმეში არსებული დარღვევები გა-
ნაპირობა პედაგოგთა ერთი ნაწილის უპრინციპობამ და დაკისრე-
ბული საქმისადმი უპასუხისმგებლობამ, სასწავლებლების ხელმძღ-
ვანელთა დანაშაულებრივმა გულგრილობამ და შემრიგებლურმა
დამოკიდებულებამ, ცალკეულ შემთხვევაში — აშკარა დაინტერე-
სებამ ამა თუ იმ მოსწავლისათვის დაუმსახურებელი ჯილდოს მი-
ცემაში. თავის მხრივ ამ ნეგატიურ მოვლენებს ხელს უწყობდა სა-
ხალხო განათლების და პროფტექგანათლების ყოფილი ადგილობ-
რივი ორგანოების ხელმძღვანელთა წაყრუება, მუშაობის ამ მეტად
სერიოზული უბნისადმი კონტროლისა და მომთხოვნელობის შე-
სუსტება. ისინი არ იჩენდნენ პრინციპულობას სასწავლებლების
იმ მუშაკთა მიმართ, ვინც უხეშად არღვევდა წესდებას, დაშვებულ
დებულებებს და არ აძლევდნენ ასეთ ფაქტებს სათანადო პოლიტი-
კურ შეფასებას.

კოლეგია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცოდნის შეფასების საქ-
მეში ჯერ კიდევ არსებული სრული უპასუხისმგებლობა, არაობი-
ექტურობა, დანაშაულებრივი ლიბერალიზმი, მოსწავლეთა მშობ-

ლებთან არაჯანსაღი ურთიერთობა სახელს უტეხს სკოლას, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელსა და ტექნიკუმს, დაბალ... მასწავლებლების ავტორიტეტს, სამართლიანად იწვევს ფართო საზოგადოებრიობის, კერძოდ, თვით მოსწავლეთა დიდი ნაწილისა და მშობლების გულისწყრომას, ქმნის ობივატელურ განწყობილებას სკოლისადმი. ის აჟიოტაჟი, რაც შექმნილია მშობელთა ერთ ნაწილში კურსდამთავრებულთა მედლით დაჯილდოების საკითხში, ფაქტიურად შექმნილია თვით სასწავლებლების პედაგოგიური კოლექტივებისა და მათი ხელმძღვანელების ერთი ნაწილის მიერ, ხოლო, თავის მხრივ, მას ხელი შეუწყო ადგილობრივი ორგანოების განზე გადგომის პოზიციამ და განათლების სისტემის მიერ მედლით დაჯილდოების პროცედურის დაშვებულმა პრაქტიკამ, როცა ეს საკითხი წყდებოდა ყოფილი განათლების სამინისტროს დონეზე და პასუხისმგებლობას ხსნიდა პედაგოგიურ კოლექტივებსა და განათლების ადგილობრივ ორგანოებს. აფასებს რა არადამაკმაყოფილებლად რესპუბლიკის საშუალო სასწავლო დაწესებულებებში მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცების, მისი შეფასებისა და დაჯილდოების საქმეში არსებულ მდგომარეობას

კ ო ლ ე გ ი ა მ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, საშუალო სპეციალური და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების ხელმძღვანელებმა:

— სახალხო განათლების სისტემის ყველა რგოლში სახელმწიფო, შრომითი დისციპლინისა და თვითდისციპლინის განმტკიცებით, სასწავლო დაწესებულებებში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული ნეგატიური მოვლენების გარშემო შეურიგებლობის, მაღალი პრინციპული მომთხოვნელობის, ჯანსაღი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ატმოსფეროს შექმნით უზრუნველყონ პედაგოგიური კოლექტივების მობილიზება მათ წინაშე მდგარი იმ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის (1988 წ.) პლენუმისა და სახალხო განათლების მუშაკთა საკავშირო ყრილობის გადაწყვეტილებებიდან;

— მიაღწიონ იმას, რომ თითოეულმა პედაგოგიურმა კოლექტივმა და მასწავლებელმა კრიტიკულად გააანალიზოს მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში არსებული მდგომარეობა; პრინ-

ციპული შეფასება მისცეს სასწავლო დაწესებულებაში ჯერ კიდევ შემორჩენილ ნეგატიურ მოვლენებს; იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და პედაგოგიური კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლებით, თავისი თავისადმი მაღალპრინციპული მომთხოვნელობით მიაღწიონ სწავლებაში ფორმალიზმის აღმოფხვრას, მოსწავლეთა ცოდნის განმტკიცებას, მის თანმიმდევრულ და ობიექტურ შემოწმებას;

— უზრუნველყონ სასწავლებლების წესდების მოთხოვნათა განუხრელი განხორციელება, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმების ზუსტი შესრულება; მკაცრად გააფრთხილონ თითოეული სასწავლო დაწესებულების დირექტორი მათი პერსონალური პასუხისმგებლობის შესახებ სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორი ორგანიზაციის, მოსწავლეთა ცოდნის ამაღლებისა და მისი ობიექტურად შეფასების საქმეში.

— მკაცრი და სისტემატური კონტროლი დააწესონ სასწავლებლების მუშაობაზე; სახალხო განათლების საბჭოებთან ერთად სრულყონ საინსპექტორო შემოწმების მეთოდები და ფორმები; პრინციპული, მიზანსწრაფული და გეგმაზომიერი გახადონ მუშაობა ყოველგვარი ნეგატიური გამოვლინებების აღმოსაფხვრელად;

— ღრმა ანალიზი გაუკეთონ მოსწავლეთა ცოდნის შეფასება-შემოწმებაში არსებულ მდგომარეობას, გადაამოწმონ და სისტემატური კონტროლი დააწესონ მედლის და წარჩინების დიპლომის პრეტენდენტთა ცოდნის დონეზე. მათი შეფასების ობიექტურობიდან გადახვევის თითოეული ფაქტი გახადონ პედაგოგიური კოლექტივის მსჯელობის საგნად, ფართო საჯაროობის შემოღებით დასახონ ამ საქმეში პროტექციონიზმის, ფორმალიზმისა და თვალისახვევის დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი;

— კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება და მასში დასახული საკითხები გახადონ მარტის კონფერენციების მსჯელობის საგნად იმ პირობით, რომ კონფერენციის მონაწილენი თავიანთ პედაგოგიურ კოლექტივებში პრინციპულ მომთხოვნელობას გამოიჩენენ მიმდინარე სასწავლო წლიდან ყოველგვარი დარღვევების აღმოსაფხვრელად და ამ საქმეში ძირეული გარდატეხის შესატანად.

2. ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე) უზრუნველყოს „მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოსაშვები გამოცდების“ ახალი ინსტრუქციის დაყვანა თითოეულ სკოლამდე.

— შეიმუშაოს და მ. წ. 15 აპრილამდე კოლეგიას წარმოუდგინოს წინადადებები კურსდამთავრებულთა მედლით დაჯილდოების

ახალი წესების შემოღების შესახებ, რომელშიც განსაზღვრული იქნება ამ საკითხის ფართო საჯაროობის ვითარებაში გადაწყვეტა. თვით სკოლის პედაგოგიურ კოლექტივებში.

3. სასწავლო დაწესებულებების სახელმწიფო ინსპექციამ (ამხ. ნ. ჩიკვილაძე), სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან ერთად (ამხ. ა. კაპანაძე) ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს რეკომენდაციები მოსწავლეთა ცოდნის შეფასება-შემოწმების საქმეში არსებული დარღვევების თავიდან აცილების მიზნით და სახალხო განათლების განყოფილებათა ინსპექტურის მეშვეობით მკაცრი კონტროლი დააწესოს მათ შესრულებაზე.

4. დადგენილ იქნეს, რომ მოსწავლეთა ცოდნის შეფასება-შემოწმების საქმეში არაობიექტურობის დაშვების თითოეული შემთხვევისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა ეკისრება სასწავლებლის დირექტორს და საგნის მასწავლებელს, ხოლო მედლით დაჯილდოების საქმეში მათთან ერთად — პერსონალურად განათლების განყოფილების გამგეს, რომელთა მიმართ პირველივე დარღვევის შემთხვევაში მიღებულ იქნება უმკაცრესი ადმინისტრაციული ზომები თანამდებობიდან გათავისუფლებამდე.

5. სასკოლო საგამოცდო და რაიონული კომისიების მუშაობაზე კონტროლის განუხორციელებლობის, მედლის პრეტენდენტთა ცოდნის შემოწმება-შეფასებაში დაშვებული ლიბერალიზმის და უპრინციპობისათვის ლაგოდეხის, ბორჯომის, ბოგდანოვკის, წალკის, ახალქალაქის რაიონების, რუსთავის განათლების განყოფილებათა გამგეებს ამხ. ამხ. თ. მაისურაძეს, ზ. ქურდაძეს, რ. სქოიანს, ხ. ანასტასოვს, კ. სნხჩიანს და ჯ. მგალობლიშვილს (მ. შ.) გამოეცხადოთ საყვედური.

— მათვე დაევალოს განიხილონ იმ სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხი (ხელმძღვანელთა სამსახურიდან დათხოვნამდე), რომლებმაც არაობიექტურობა გამოიჩინეს მედლის პრეტენდენტთა ცოდნის შეფასებასა და დაჯილდოებაში.

— კომპლექსურად შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა იმ სკოლებში, სადაც ადგილი ჰქონდა დარღვევებს მედლის პრეტენდენტთა ცოდნის შეფასებაში და მიიღონ მკაცრი ადმინისტრაციული ზომები მათ ხელმძღვანელებსა და მასწავლებელთა მიმართ.

6. პედკოლექტივის ხელმძღვანელობის საქმეში დაშვებულ სერიოზული ნაკლოვანებისათვის, რამაც გამოიწვია დარღვევები მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში ბორჯომის

№ 1, ოჩამჩირის № 3, სოხუმის № 5, თბილისის — 11 ექსპერიმენ-
ტული სკოლის, კაზრეთის № 25, ქ. რუსთავის № 16 და № 104,
თბილისის № 95 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დირექ-
ტორებს ამხ. ამხ. ა. შაყულაშვილს, ბ. აშუბას, რ. ჭაჭიას, შ. გორ-
გოძეს, ი. მიქელაძეს, გ. ბარათაშვილს, ლ. კურტანიძეს და ვ. გო-
გუაძეს გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

7. მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმეში დარღვევების დაშ-
ვებისათვის მკაცრად იქნენ გაფრთხილებული თბილისის მანქანათ-
მშენებლობის, მსუბუქი მრეწველობის, რუსთავის პოლიტექნიკუ-
რი და ლანჩხუთის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმების დირექ-
ტორები ამხ. ამხ. ნ. თარხნიშვილი, თ. მესხი, ო. კვირიკაშვილი
და ა. ხალვაში.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ კასპის № 148 პროფტექ-
სასწავლებლის დირექტორი ვ. მალაციძე გათავისუფლებულია თა-
ნამდებობიდან, ხოლო თბილისის პოლიტექნიკური და სამრეწველო-
ეკონომიკური ტექნიკუმების დირექტორები ახლად დანიშნულები
არიან აღნიშნულ თანამდებობაზე და მათვე დაევალოს სახელმწი-
ფოებრივი წესრიგი დაამყარონ მოსწავლეთა შეფასების საქმეში.

9. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის,
კულტურის სამინისტროებისა და აგროსამრეწველო კომიტეტის
ხელმძღვანელობის წინაშე იმ ტექნიკუმების ხელმძღვანელთა პერ-
სონალური პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც დაუშვეს წარ-
ჩინების დიპლომების გაცემა ისეთ კურსდამთავრებულებზე, რო-
მელთა ცოდნა არ შეეფერებოდა მიღებულ შეფასებას.

10. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამმარ-
თველომ (ჯ. კორძაია) ინფორმატიკის გამოთვლით ცენტრთან ერ-
თად (ამხ. გვარამია) უზრუნველყოს მისაღები გამოცდების შე-
დეგებზე უმაღლესი სასწავლებლებიდან სრული ინფორმაციის მი-
ღება ყოველწლიურად არა უგვიანეს 1 სექტემბრისა;

11. 1989 წლის მისაღები გამოცდების შედეგები განხილულ იქ-
ნეს კოლეგიის სხდომაზე მ. წ. სექტემბერში.

12. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე
დაევალოთ მინისტრის მოადგილეებს ამხ. ამხ. ნ. გურგენიძეს და
რ. ხუროძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის 1989 წლის 11 მარტის გადაწყვეტილება

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

მოისმინა და განიხილა რა ხელმძღვანელი, სამეცნიერო, პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს ინფორმაცია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ, კოლეგია აღნიშნავს, რომ მიუხედავად რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი საერთო საკადრო პოტენციალისა, რესპუბლიკის რეგიონებში იგი არათანაბარზომიერადაა განაწილებული. მაშინ, როდესაც რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონები მასწავლებელთა კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან, მსხვილ ქალაქებში თავმოყრილია აღრიცხვაზე მყოფ უმუშევარ მასწავლებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა. სოფლის სკოლების პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა მკვეთრად ჩამორჩება ქალაქის სკოლების პედაგოგიური კადრების ხარისხობრივ დონეს. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში პედაგოგიური სპეციალობების კურსდამთავრებულთა განაწილების მაჩვენებელი საგრძნობლად ჩამორჩება გეგმიურ მოთხოვნილებას. პედაგოგიური კადრების მწვავე უკმარისობის შედეგად რესპუბლიკის რიგ სკოლებში ცალკეული საგნები საერთოდ არ ისწავლება, ხოლო ბევრ სკოლაში არასპეციალისტები ასწავლიან; სკოლებში სამუშაოდ მოზიდულია პენსიონერ მასწავლებელთა დიდძალი რაოდენობა.

შექმნილი მძიმე მდგომარეობა გაპირობებულია როგორც ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების დაგეგმვისა და განაწილების საქმეში არსებული ნაკლოვანებებით, ასევე იმით, რომ ჯე-

რაც გადაწყვეტილი არ არის მმართველობითი, სოციალ-ეკონომიკური, მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო ხასიათის პრობლემები. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ფუნქციონირების ახალი პირობები მოითხოვს სახალხო განათლების მართვის მრავალრგოლოვანი სისტემის გარდაქმნას, საკადრო და საფინანსო-სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში სკოლისათვის ფართო დამოუკიდებლობის მინიჭებას, სოფლის მასწავლებელთა მატერიალური პირობების შესახებ სერიოზულ ზრუნვას, პედაგოგიური შრომის ანაზღაურების სისტემის რეორგანიზაციას და მასწავლებელთათვის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოებრივ ღონისძიებათა გატარებას.

აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ სკოლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის დონე არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი თვალსაზრისითაც. ამჟამად ბევრი მასწავლებლის პროფესიული და კულტურული დონე სავსებით არ შეესაბამება თანამედროვე მასწავლებლისადმი წაყენებულ ახალ მოთხოვნებს. ეს კი მასწავლებელთა და სკოლების ხელმძღვანელთა მუშაობის შეფასების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შემუშავების აუცილებლობას, მათი ატესტაციის ჩატარებისას ობიექტურობისა და მომთხოვნელობის ამაღლებასა და აგრეთვე პედაგოგიური კადრების შერჩევის, განაწილებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის რეორგანიზაციას მოითხოვს.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების აუცილებლობიდან გამომდინარე, კოლეგიამ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. მიღებულ იქნეს ცნობად ხელმძღვანელი, სამეცნიერო, პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველოს ინფორმაცია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ.

2. დამტკიცდეს რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო განათლების განყოფილებამ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოებმა გარდაქმნან პედაგოგიურ კად-

რებთან მუშაობა და წარმართონ იგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით უზრუნველყოფის, პედაგოგიურ შრომაში ახალგაზრდა სპეციალისტების დინტერესების ამაღლების, შიდასასკოლო ცხოვრებაში დემოკრატიის გაფართოების, პედაგოგიური კოლექტივების დამოუკიდებლობის განვითარების და მასწავლებელთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისაკენ.

4. ხელმძღვანელი, სამეცნიერო, პედაგოგიური კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სამმართველომ (ამხ. ა. ჭაჭია) 1989 წლის ოქტომბერსა და 1990 წლის ივნისში ინფორმაცია გაუკეთოს კოლეგიას „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმის“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

5. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს მინისტრის პირველ მოადგილეს ამხ. ნ. ვასაძეს.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი გ. ენუქიძე

დანართი I

ინფორმაცია

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1989 წლის 1 იანვრის მონაცემებით რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუშაობს 91 582 პედაგოგიური მუშაკი, რომელთაგან უმაღლესი განათლებითაა 76 560 ანუ 33,3 პროცენტი, არასრული უმაღლესი განათლებით — 4 849 ანუ 5,3 პროცენტი, საშუალო სპეციალური განათლებით — 9 736 ანუ 10,5 პროცენტი (მათგან საშუალო პედაგოგიური განათლება აქვს 61 991) და ზოგადი საშუალო განათლებით — 527 მუშაკი ანუ 0,5 პროცენტი (სპეციალობების მიხედვით მასწავლებელთა ხარისხობრივი შემად-

გენლობის შესახებ იხ. დანართი № 1). მაშინ, როცა უკანასკნელ წლებში უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებელთა ხვედრითი წილი გაიზარდა ფიზიკის (96,8%), ბიოლოგიის (95,2%), გეოგრაფიის (95,1%), ქართული ენისა და ლიტერატურის (92,3%) სპეციალობებში, კვლავინდებურად მცირეა უმაღლესი განათლების მქონე დაწყებითი სწავლების (70,4%), შრომითი სწავლების (55,3%), ხაზვისა (46,4%), მუსიკა-სიმღერის (33,2%) და სხვა საგნების მასწავლებელთა რიცხვი.

მიუხედავად რაოდენობრივი თვალსაზრისით საკმაოდ სოლიდური საკადრო პოტენციალისა, საჭიროა აღინიშნოს, რომ ეგი რესპუბლიკის რეგიონებზე არათანაბარზომიერადაა განაწილებული. მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობას განიცდიან რესპუბლიკის მაღალმთიანი რაიონები (ამბროლაურის, ონის, მესტიის, ცაგერის, ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონები), მაშინ როდესაც მსხვილ ქალაქებში თავმოყრილია აღრიცხვაზე მყოფ დროებით უმუშევარ მასწავლებელთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, კერძოდ: თბილისში — 760, ქუთაისში — 483, გორში — 814, თელავში — 495, ბათუმში — 104, სოხუმში — 289, ცხინვალში — 55.

სოფლის სკოლების პედაგოგიური კადრების ხარისხობრივი შემადგენლობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ქალაქის სკოლების დონეს: ასე მაგალითად, ქალაქის სკოლების I—IV კლასების 7748 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლებითაა 6 592 ანუ 85,1%, ხოლო სოფლის სკოლების იმავე კლასების 11 440 მასწავლებლიდან — 6 920 ანუ 60,5%. ანალოგიური მდგომარეობაა V—XI კლასების მასწავლებელთა შორის. ქალაქებში 28 742 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლება აქვს 26 272 კაცს ანუ 91,4%-ს, სოფლად 39 898 კაციდან — 33 794-ს ანუ 84,7%-ს.

საკადრო პოტენციალის ასეთი არათანაბარზომიერი განაწილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია სპეციალისტების მომზადების დაგეგმვის საქმეში არსებული ნაკლოვანებანი. პედაგოგიური კადრების მომზადებაში დისპროპორციის დასაძლევად უკანასკნელ წლებში აღებული კურსიც კი საერთო რესპუბლიკური მოთხოვნილების დაჯამებულ მაჩვენებელთა საფუძველზე ხორციელდება რეგიონალურ საჭიროებათა სათანადო გათვალისწინების გარეშე. ასე მაგალითად, 1988 წელს უცხოურ ენათა მასწავლებლებზე ოფიციალურად შეკვეთილი საშუალო წლიური მოთხოვნილება 181 კაცს ითვალისწინებდა, ფაქტობრივად კი ამ სპეციალისტების გამოშვებამ 258 კაცი შეადგინა. თითქოს და მოთხოვნილება გადა-

ჭარბებითად დაკმაყოფილდა, თუმცა აღნიშნული 258 კაციდან 218 თბილისის უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულია. ამასთან, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 162 კურსდამთავრებულიდან თბილისის მკვიდრია 100, ხოლო 39 დაოჯახებულია და თბილისშია ჩაწერილი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის 56 კურსდამთავრებულიდან 40 თბილისელია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ უცხოურ ენათა სპეციალისტების გამოსაშვები კონტინგენტის 90 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ. ბუნებრივია, რომ მიღების გეგმის შედგენისას ეკონომიკური სამსახურები ამ გარემოებებს არ ითვალისწინებენ, თუმცა ეს რეალური სინამდვილეა და მისი უგულებელყოფა არ შეიძლება: ფაქტები მოწმობენ, რომ თბილისსა და სხვა ცენტრებში უცხოურ ენათა მასწავლებლების სოლიდური სიჭარბის პირობებში უცხოური ენა წლების მანძილზე საერთოდ არ ისწავლება ხულოს რაიონის 7 და შუახევის რაიონის 5 სკოლაში. გარდა ამისა, აღნიშნულ რაიონებში უცხოურ ენას შესაბამისად სათანადო განათლების არმქონე 12 და 24 მასწავლებელი ასწავლის. იმავდროულად 1987 წლიდან სრულებით შეწყდა უცხოურ ენათა სპეციალისტების მომზადება ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, რაც არასწორად მიგვაჩნია.

უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა რესპუბლიკის სკოლების დაწყებითი კლასების მასწავლებელთა უზრუნველყოფის საქმეში. 19890 მასწავლებლიდან უმაღლესი განათლებითაა მხოლოდ 13 512 ანუ 70,4% (სოფლის სკოლებში — 60,5%), არასრული უმაღლესი განათლებითაა — 1 549 ანუ 8,0%, საშუალო სპეციალური განათლებითაა — 3 984 ანუ 20,8% (მათგან საშუალო პედაგოგიური განათლება აქვს 3 471-ს), ზოგადი საშუალო განათლებითაა 144 (0,8%). მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ამჟამად მომუშავე დაწყებითი კლასების მასწავლებელთა მნიშვნელოვან ნაწილს არასპეციალისტები და პენსიონრები შეადგენენ. ამ პროფილის მასწავლებელთა მწვავე ნაკლებობას განიცდიან აჭარის ასსრ, ადიგენის, ასპინძის, გორის, ზუგდიდის, ჩხოროწყუსა და ხობის რაიონები, ქალაქები — ჭიათურა, ტყიბული. მიუხედავად სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებებისა და პენსიონერ მასწავლებელთა აქტიურად მოზიდვისა 1988—1989 სასწავლო წლის დასაწყისში რესპუბლიკის სკოლებს მაინც დააკლდა დაწყებითი კლასების 168 მასწავლებელი (ჩხოროწყუს რაიონში — 18, ზუგდიდის რაიონში — 12, გორის რაიონში — 13 და ა. შ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ, როდესაც დაწყებითი კლასების მასწავლებლებზე ოფიციალური საშუალო წლიური მოთხოვნილება 700 კაცს შეადგენს, პედაგოგიურ ინსტიტუტებში მისაღები კონტინგენტი 385-ს უდრის, მათ შორის დღის განყოფილებაზე — 185-ს. 1988 წელს დღის განყოფილების გამოშვებამ 136 კაცი შეადგინა, რომელთაგან განაწილდა 116 (20 კაცი განაწილებიდან განთავისუფლდა დებულების შესაბამისად).

ანალოგიურად მძიმე მდგომარეობაა რესპუბლიკის რიგ სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის, რუსული ენისა და ლიტერატურის, ფიზკულტურის, შრომისა და სხვა მასწავლებლებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებისას სკოლები 857 სპეციალისტის ნაკლებობას განიცდიდნენ.

შექმნილი მდგომარეობის გამო სამინისტრო იძულებული გახდა განეხორციელებინა ამ სკოლებში პედაგოგიური ინსტიტუტების გამოსაშვები კურსების სტუდენტების სამუშაოდ გაგზავნა სწავლების ინდივიდუალურ გრაფიკზე მათი გადაყვანის პირობით. სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები იძულებული იყვნენ დარჩენილი დატვირთვა მომუშავე მასწავლებლებს შორის გაენაწილებინათ და სამუშაოდ პენსიონერი მასწავლებლები მოეზიდათ. სასწავლო წლის დასაწყისისათვის რესპუბლიკის სკოლებში მუშაობდა 15 560 პენსიონერი ან საპენსიო ასაკის პირი. მათგან 9 საათიანი დატვირთვით — 5 822, 10—18 საათიანი დატვირთვით — 7 667, 19—27 საათიანი დატვირთვით — 2 494, 27 საათზე მეტი დატვირთვით — 53. თუმცა, როგორც ჩანს, ესეც არასაკმარისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამმართველო შეუდგა ქალაქის სკოლების მასწავლებელთა 1—2 თვით იმ სოფლის რაიონებში მივლინებით გაგზავნას, რომლებიც პედაგოგიური კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან, ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით. აუცილებლობად მიგვაჩნია ასეთი პრაქტიკის ყოველმხრივი გაფართოება კადრების დეფიციტის დამლევამდე.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლება 6 ენაზე მიმდინარეობს — ქართულ, რუსულ, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური კადრების მომზადების დაგეგმვისას მთელი სისრულით არ ხდება მრავალენოვანი სწავლების გათვალისწინება. ასე მაგალითად, სომხურ და აზერბაიჯანულ სკოლებს

აკლიათ ქართული ენის მასწავლებლები. ამასთან, თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში „აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა და ქართული ენა და ლიტერატურა“ სპეციალობის ნაცვლად უკანასკნელ წლებში შემოღებულია სპეციალობა „აზერბაიჯანული ენა და ლიტერატურა და რუსული ენა და ლიტერატურა“, რომლის სპეციალისტები რესპუბლიკას მრავლად ჰყავს, რასაც მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს აზერბაიჯანის სსრ უმაღლეს სასწავლებლებში ამ პროფილის სპეციალისტების ყოველგვარ კონტროლს მოკლებული მომზადების პროცესი საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები აზერბაიჯანული ეროვნების მოსახლეობიდან.

ბუნებრივია, რომ თანამედროვე პირობებში სპეციალისტების მომზადების დაგეგმვის ოპტიმალურ ვარიანტს მიზნობრივი დანიშნულებით მომზადება წარმოადგენს, რაც უმაღლესი სასწავლებლის მიერ სოციალური საკადრო შეკვეთის შესრულებას ნიშნავს. მართალია, რესპუბლიკის ტექნიკურ უმაღლეს სასწავლებლებს ამ მიმართულებით გარკვეული წარმატებები გააჩნიათ, მაგრამ პედაგოგიური სპეციალობების თვალსაზრისით ჯერ არ გადადგმულა პოზიტიური ნაბიჯები.

პედაგოგიური კადრების მომზადება უნდა ხდებოდეს რეგიონალური მოთხოვნილებების შესაბამისად რაიონების სოციალური შეკვეთების შესრულების საფუძველზე, უპირატესად რეგიონალურ პედაგოგიურ ინსტიტუტებში. მიზნობრივი მომზადების საფუძვლად უნდა იქცეს პედაგოგიურ კადრებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების რეალური მოთხოვნების გამოვლენა სპეციალობების მიხედვით. კადრების სამმართველომ პრაქტიკულად დაამთავრა ეს სამუშაო პროგნოზით 2000 წლამდე.

დღეისათვის მომუშავე მასწავლებელთა რიცხვიდან სპეციალისტებით შესაცვლელია ქ. ქუთაისის ახლომდებარე რაიონებში დაწყებით განათლებაში — 1026 კაცი (რესპუბლიკის ყველა ინსტიტუტში აღნიშნულ სპეციალობაზე სწავლობს ამ რაიონებიდან 43), რუსულ ენაში — 460 (სწავლობს 18), მათემატიკაში — 359 (სწავლობს 45), ქართულ ენაში — 541 (სწავლობს 53), შრომაში — 456 (სწავლობს 67) და ა. შ. ბათუმის ახლომდებარე რაიონიბში დაწყებით განათლებაში — 486 (სწავლობს 91), მათემატიკაში — 209 (სწავლობს 60), ბიოლოგიაში — 130 (სწავლობს 58), ქართულ ენაში — 251 (სწავლობს 52) და ა. შ.

უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით კი სკკპ ცენტრალურ კო-

მიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის, მეორ. რესპუბლიკის უმაღლესი სკოლის შესახებ მიღებული ცნობილ. დადგენილების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პედაგოგიური ინსტიტუტების კურსდამთავრებულთა განაწილების მაჩვენებლები. ასე მაგალითად, 1987—1988 წლებში განაწილებულ იქნა ქუთაისის, თელავისა და ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტების, აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური სპეციალობების განაწილებას დაქვემდებარებული ყველა (100%) კურსდამთავრებული, შესაბამისად სამხრეთ ოსეთის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებულთა 100,0% და 93,0% თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა 97,8% და 94,2%, თბილისის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა 82,6% და 100,0%, ანალოგიურმა მაჩვენებელმა თბილისის უნივერსიტეტში 1987 წელს 90,7% შეადგინა, ხოლო 1988 წელს — 90,6%.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლების განაწილების საერთო მაჩვენებელი მთლიანად საგრძნობლად მაღალია, საჭიროა აღინიშნოს, რომ კურსდამთავრებულთა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში გაგზავნის მაჩვენებელი მაინც მნიშვნელოვნად ჩამორჩება გეგმიურ მოთხოვნილებას. ასე მაგალითად, 1987 წელს მოთხოვნილი 1823 კურსდამთავრებულის ნაცვლად სკოლებმა მიიღეს უმაღლესი განათლების მქონე 1264 კურსდამთავრებული (1766 — პედაგოგიური ინსტიტუტებიდან, 350 — უნივერსიტეტებიდან, 160—სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან), ხოლო 1988 წელს ნაცვლად დაგეგმილი 1694 კურსდამთავრებულისა — 1449 (1016— პედაგოგიური ინსტიტუტებიდან, 354—უნივერსიტეტებიდან, 79— სხვა უმაღლესი სასწავლებლებიდან). ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ახალგაზრდა სპეციალისტების მნიშვნელოვანი რაოდენობა კატეგორიულ უარს აცხადებს სამუშაოდ არასაცხოვრებელი ადგილის მიხედვით გაგზავნაზე.

განაწილებისას მაქსიმალურად ხდება ამ გარემოების გათვალისწინება. ასე მაგალითად, 1987 წელს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით შესაბამისად განაწილდა 1144 ახალგაზრდა სპეციალისტი (792 უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებული და 352 პედაგოგიური სასწავლებლების კურსდამთავრებული), ხოლო 1988 წელს — 1536 (შესაბამისად 1162 და 374).

გარდა ამისა, განაწილებისას მხედველობაში მიიღება აგრეთვე სახალხო განათლების მშენებარე ობიექტები და შესაბამისი

სახალხო განათლების განყოფილებათა განკარგულებაში იგზავნებიან ადგილობრივი კადრები მათი შემდგომი შრომითი მოწყობის მიზნით. ამდენად, 1987 წელს გაგზავნილ იქნა უმაღლესი განათლების მქონე 386 სპეციალისტი (დაინიშნა 202), ხოლო 1988 წელს გაიგზავნა უმაღლესი განათლების მქონე 518 სპეციალისტი (დაინიშნა 396) და 239 — საშუალო სპეციალური განათლებით (დაინიშნა 160).

თუმცა საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად განაწილების პრინციპის აბსოლუტური დაცვა, ბუნებრივია, შეუძლებელია. ამიტომ, კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, მიუხედავად იმისა, თანახმაა იგი თუ არა, სამუშაოდ იმ რაიონებში იგზავნება, რომლებიც კადრების მწვავე ნაკლებობას განიცდიან. ამასთან, ავტომატურად წარმოიქმნება ახალგაზრდა სპეციალისტების განაწილების ადგილზე გამოცხადებისა და დამაგრების პრობლემა. ასე მაგალითად, 1987—1988 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სამუშაო ადგილებზე არ გამოცხადდა 282 განაწილებული მასწავლებელი, 1988—1989 სასწავლო წლის დასაწყისისისათვის — 243 და მხოლოდ სამინისტროსა და უმაღლესი სასწავლებლების მიერ მიღებული დამატებითი ზომების შედეგად ეს რაოდენობა შესაბამისად 150 და 196-მდე შემცირდა.

განაწილების პრობლემის განხილვისას არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ პედაგოგიური სპეციალობების კურსდამთავრებულთა უმრავლესობას ქალები შეადგენენ. ასე მაგალითად, 1988 წელს პედაგოგიური ინსტიტუტებისა და უნივერსიტეტების პედაგოგიური სპეციალობების საერთო გამოშვებიდან ქალებმა 1927 შეადგინა, ხოლო ვაჟებმა მხოლოდ 426.

ახალგაზრდა პედაგოგიური კადრების განაწილების, გამოცხადებისა და დამაგრების მდგომარეობისა და პრობლემების დაწვრილებით ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ ამ პრობლემების დაძლევა შეუძლებელია მმართველობითი, სოციალ-ეკონომიკური, მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო ხასიათის რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხის აუცილებელი გადაწყვეტის გარეშე.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის კადრებით უზრუნველყოფის სრულყოფა თანამედროვე ეტაპზე მთლიანად დამოკიდებულია დემოკრატიულ საფუძველზე შიდასასკოლო მართვის კარდინალურ გარდაქმნაზე. ეს კი განათლების მართვის მრავალრგოლოვანი სისტემის აუცილებელ გარდაქმნას მოითხოვს, რაც იმას ნიშ-

ნავს, რომ მართვის რიგი ძირითადი ფუნქცია რაიონისა (ქალაქის) და სამინისტროს დონეზე კი აღარ უნდა სრულდებოდეს, არამედ სკოლას გადაეცეს.

ასეთ ფუნქციათა რიგს მიეკუთვნება: 1) პედაგოგიური და ტექნიკური კადრების შერჩევა, განაწილება, მიღება და განთავისუფლება; 2) სკოლის საშტატო განრიგის განსაზღვრა და 3) წარმოქმნილ მოთხოვნილებათა შესაბამისად შტატებით თავისუფალი მანევრირება.

პირველი ფუნქციის ამოცანათა შესრულებას სავსებით შეესაბამება საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების მასწავლებელთა (აღმზრდელთა) შერჩევისა და განაწილების დებულების“ პროექტი, რომელიც პრესაში გამოქვეყნდა და საზოგადოების ფართო სამსჯავროზე იქნა გამოტანილი.

დებულებით გათვალისწინებული მომქმედი პედაგოგიური კადრების რეზერვის შექმნა იმ უმუშევარ მასწავლებელთა მექანიკური აღრიცხვის ნაცვლად, რომელთაგან ბევრს სხვადასხვა მიზეზით უკვე არ ძალუძთ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის თანამედროვე დონეზე წარმართვა, აგრეთვე სკოლის დირექტორისათვის უფლების მინიჭება, მიიღოს მასწავლებლები სამუშაოდ საგამოცდო ვადით და დაინიშნოს ისინი მუდმივ სამუშაოზე მხოლოდ პედაგოგიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კადრების შემადგენლობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების საშუალებას იძლევა.

თუმცა შიდასასკოლო მართვის სხვა ფუნქციების რეალიზაცია შეუძლებელია, თუკი სკოლას არ მიენიჭება რეალური უფლება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფინანსური სახსრების დამოუკიდებელი ხარჯვისათვის და იმ სხვადასხვა წყაროდან საკუთარი დამატებითი ბიუჯეტის შექმნისათვის, როგორიცაა: მოსწავლეთა მწარმოებლური შრომა, შეფების გადარიცხვები ნებაყოფლობითი და მიზნობრივი შენატანები, ორგანიზაციებისა ან კერძო პირების შეწირულობანი და ა. შ.

სკოლას არ გააჩნია თავისი საბანკო ანგარიში, მისი დაფინანსება რაიონის (ქალაქის) სახალხო განათლების განყოფილების საერთო ანგარიშის მეშვეობით ხორციელდება. არ შეცვლილა სკოლისათვის სახელმწიფო საბიუჯეტო ასიგნებათა ფორმირების წესიც, რის შედეგადაც სკოლების დირექტორებმა იციან მხოლოდ

ასიგნებათა თანხა კალენდარული წლისათვის და არა სასწავლო წლისათვის, რაც მათ შესაძლებლობას არ აძლევს ზუსტად ანგარიშობენ გარიშონ და გაანაწილონ არსებული რესურსები მთელ სასწავლო წელზე.

აუცილებელია სკოლებს მიენიჭოს რეალური უფლება დამოუკიდებლად ხარჯონ სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური სახსრები, შექმნან საკუთარი დამატებითი ბიუჯეტი, გახსნან თავიანთი საბანკო ანგარიშები.

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს 1987 წლის 30 ნოემბრის მეთოდური წერილი „საკადრო და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში სახალხო განათლების დაწესებულებების ხელმძღვანელთა უფლებების გაფართოების შესახებ", რომელიც ხელმძღვანელებს გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში სახსრების დამოუკიდებელი ხარჯვის უფლებას ანიჭებს, არ იძლევა მოსალოდნელ ეფექტს, რადგან გაუქმებული არ არის ინსტრუქციები კლასების შევსებადობის, პედაგოგიური განაკვეთების რაოდენობისა და მასწავლებელთა დატვირთვის მოცულობის შესახებ, აგრეთვე ინსტრუქცია მასწავლებლის შრომის ანაზღაურების შესახებ მუშაობის სტაჟისა და მოცემული საათების რაოდენობის მიხედვით და არა პედაგოგიური შრომის შედეგების მიხედვით და ა. შ.

სკოლების კადრებით ფაქტობრივი უზრუნველყოფა განისაზღვრება არა პედაგოგიური სამუშაოთი დაკავებულ პირთა რაოდენობით, არამედ სპეციალისტების მიერ შესაბამისი დისციპლინების სწავლების უზრუნველყოფის დონით. ამ მოთხოვნის დაცვა დღეს შესაძლებელია მხოლოდ თითოეული კლასის ორი-სამი პარალელის არსებობის შემთხვევაში, რაც თითოეული მასწავლებლისათვის სპეციალობით საკმარისი სასწავლო დატვირთვის უზრუნველყოფის საშუალებას გვაძლევს. სოფლის სკოლებში კი, სადაც პარალელური კლასები არ არის, იმ შემთხვევაშიც, როცა რაიონის მასშტაბით ნებისმიერი პროფილის სპეციალისტების რაოდენობა საკმარისია, რაიონის ცალკეულ სკოლაში იქმნება უკიდურესად არაკეთილსასურველი მდგომარეობა, რაც იმაში გამოიხატება, რომ ცალკეულ საგნებს არასპეციალისტები ასწავლიან, რამეთუ სპეციალისტები უარს აცხადებენ კვირაში 6—8 საათიანი დატვირთვით მუშაობაზე.

მდგომარეობა არ გამოსწორდება მანამ, სანამ არ იქნება მიღებული გადაწყვეტილება სოფლის სკოლებში განაწილებული მას-

წავლებლებისათვის სრული განაკვეთის (18 საათი კვირაში) ოდენობით ხელფასის მიცემის შესახებ რეალური სასწავლო დატვირთვისაგან დამოუკიდებლად.

რასაკვირველია, ეს დაკავშირებულია სკოლების დაფინანსების გაზრდასთან. მაგრამ არსებული ფინანსური შესაძლებლობების რაციონალურად გამოყენების შემთხვევაში ეს ზრდა არ იქნება ამდენად შესამჩნევი. მაგალითისათვის შეიძლება თუნდაც იმ ფაქტის მოყვანა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტით განათლების სისტემას ყოველწლიურად გამოეყოფა ხელფასის ფონდის 3 პროცენტი იმ მასწავლებელთა ხელფასის დასამატებლად, რომლებმაც ატესტაციის შედეგების საფუძველზე მიიღეს მასწავლებელ-მეთოდისტისა და უფროსი მასწავლებლის წოდება. მხოლოდ 1987 წელს გამოყოფილმა თანხამ შეადგინა 4 800 000 მანეთი, ფაქტიურად კი ათვისებულ იქნა 833 640 მანეთი. ამრიგად აუთვისებელი დარჩა 3 966 360 მანეთი. ასეთი სურათი იქმნება ყოველწლიურად. რესპუბლიკის მთავრობის თანხმობის შემთხვევაში შეიძლება ამ აუთვისებელი თანხის გამოყენება სოფლის ახალგაზრდა პედაგოგების ხელფასის გასაზრდელად ან იმ მასწავლებელთა მატერიალური წახალისებისათვის, რომლებიც სოფლად დარჩნენ განაწილებით 3 წლის მუშაობის შემდეგ. ბევრ სკოლაში, სადაც საათების საკმარისი რაოდენობაა, პენსიონერ მასწავლებლებს მინიჭებული აქვთ უფლება იმუშაონ 1,5 საშტატო ერთეულზე (რესპუბლიკაში ასეთი 2,5 ათასი მასწავლებელია). ეს, რა თქმა უნდა, იძულებითი ზომაა, რომელიც კადრების მწვავე ნაკლებობითაა განპირობებული. ამგვარად პენსიონერი მასწავლებლები, რომლებსაც არცთუ იშვიათად სათანადო პროფესიული დონე და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისადმი თანამედროვე მიდგომის უნარი არ გააჩნიათ, მაგრამ ხანგრძლივი პედაგოგიური სტაჟი აქვთ, განაკვეთნახევარზე მუშაობენ და 250—300-მანეთიან ხელფასს ღებულობენ მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელმაც უმაღლესი სასწავლებელი წარჩინებით დაამთავრა, უარს აცხადებს სოფლის სკოლაში სამუშაოდ გამგზავრებაზე, რამეთუ მას ხელფასი 120—130 მანეთი ექნება, ვინაიდან მას, როგორც უსტაჟოს მხოლოდ მინიმალური ხელფასი ეკუთვნის.

ხელფასის განსაზღვრას პედაგოგიური მუშაობის სტაჟის მიხედვით სოციალურ და ზნეობრივ-პროფესიულ უსამართლობამდე მივყავართ, რადგან მასწავლებელი, რომელსაც სათანადო კვალიფიკაცია არ გააჩნია და არც იღწვის ახლებურად მიუდგეს მოს-

წავლეთა სწავლა-აღზრდის პრობლემებს, მაგრამ მუშაობის 20-
წლის სტაჟი აქვს, მაქსიმალურ ხელფასს ღებულობს, ხოლო ანალ-
გაზრდა ენერგიული მასწავლებელი, რომლისაც სჯერათ და რომე-
ლიც უყვართ ბავშვებს — მინიმალური.

აუცილებელია ძირეულად შეიცვალოს მასწავლებელთა კადრე-
ბისათვის ხელფასის განსაზღვრის მოქმედი სისტემა. სტაჟის მი-
ხედვით მასწავლებელთა გრადაციის ნაცვლად მიზანშეწონილად
მიგვაჩნია მასწავლებელთა კატეგორიების სისტემის შემოღება და
მათი შრომის ანაზღაურება მიღებული კატეგორიის შესაბამისად
პედაგოგიური სტაჟისაგან დამოუკიდებლად.

ამასთან ერთად არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ დღემდე არ
შემუშავებულა მასწავლებლის პედაგოგიური შრომის საბოლოო
შედეგების შეფასების სათანადო სისტემა. ისეთი მრავალრიცხოვა-
ნი ფაქტებიც კი, როცა სკოლის კურსდამთავრებული, რომელსაც
გარკვეულ საგანში აქვს შეფასება „ფრიადი" და უმაღლეს სასწავ-
ლებელში შესვლისას იმავე საგანში არადამაკმაყოფილებელ შეფა-
სებას ღებულობს, არავითარ გავლენას არ ახდენს მასწავლებლის
სტატუსსა და ხელფასზე და არც მისი ატესტაციისას მიიღება მხედ-
ველობაში.

აუცილებელია შეიქმნას მასწავლებლის მუშაობის შეფასების
მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა, რომელიც დაეყრდნობა
ზუსტ ობიექტურ კრიტერიუმებს. ამ მუშაობაში უნდა მოვიზიდოთ
მთელი არსებული სოლიდური სამეცნიერო-პედაგოგიური პოტენ-
ციალი. დღეს მხოლოდ სახალხო განათლების სამინისტროს სისტე-
მაში მუშაობს პედაგოგიურ მეცნიერებათა 20 დოქტორი და 204
კანდიდატი, ასპირანტურაში ამავე სპეციალობით სწავლობს 59 კა-
ცი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარის-
ხის მაძიებელია 87 კაცი. და, მიუხედავად ამისა, ჩვენ არ გაგვაჩ-
ნია სათანადო უკუგება საკადრო პრობლემების სამეცნიერო კვლე-
ვების დარგში.

საჭიროა აღინიშნოს, რომ ჩვენს ყოველმხრივი კომპიუტერიზა-
ციის საუკუნეში პედაგოგიური, და მათ შორის, ხელმძღვანელი კად-
რების შერჩევისა და განაწილების პროცესში გამოთვლითი ტექნი-
კის გამოყენება რესპუბლიკის სახალხო განათლების სამინისტროში
შექმნილი კადრების აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემით
შემოიფარგლება.

დადგა დრო კადრების შერჩევის პრაქტიკაში ფართოდ და-
ნერგოთ ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკა ტესტების გამოყენე-
ბის საფუძველზე (საზღვარგარეთის განვითარებული ქვეყნების გა-

მოცდილების მაგალითზე, რომელიც დღეს აქტიურად ინერგება ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების მოწინავე რგოლებში).

კადრების შერჩევისა და განაწილების ამჟამად მოქმედი სისტემა მასწავლებელს განიხილავს როგორც დიპლომის მფლობელს, რომელსაც ინსტიტუტში მიღებული ინფორმაციის გადაცემის ფუნქცია ეკისრება. ამავე დროს მასწავლებელი არა მარტო ცოდნის მატარებელია, არამედ აღმზრდელიცაა, რომელიც ბავშვებისათვის ზნეობის, კულტურისა და ერუდიციის მაგალითს უნდა წარმოადგენდეს. უფრო მეტიც, ბევრ ბრწყინვალედ ერუდირებულ და მაღალი კულტურის მქონე ადამიანს პირადი ხასიათის თავისებურებათა და ჩვევათა გამო არ ძალუძს ბავშვებთან მუშაობა ან მხოლოდ გარკვეულ ასაკობრივ ჯგუფთან შეუძლია მუშაობა. ყველა ეს ფაქტორი აუცილებელ აღრიცხვას ექვემდებარება. საქმის ამ მხარის უგულებელყოფამ იქამდე მიგვიყვანა, რომ სკოლებში მრავლადაა მასწავლებლები, რომლებიც თავიანთ სამუშაოს ვერ იტანენ და არც ბავშვები უყვართ.

ამიტომ, გამოთვლითი ტექნიკის ფართო გამოყენების ბაზაზე მასწავლებელთა სამუშაოზე განაწილებისა და მიღებისას უკიდურესად აუცილებელია მრავალფაზიანი პირადი გამოკითხვის ფურცლის მეშვეობით მასწავლებლის ფსიქოემოციური შეფასების გამორკვევა (MMP I ტესტის მიხედვით მაინც).

სკოლების ფინანსირების ახალი წესი, მათი საფინანსო დამოუკიდებლობის გაფართოება, პედაგოგიური შრომის შეფასების მეცნიერული სისტემის დანერგვა — ეს სკოლის საკადრო და საფინანსო-სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის პირველი ეტაპია. ის ჩაუყრის საფუძველს სკოლის ფუნქციონირების მაღალეფექტური სისტემის შექმნას, როცა მასწავლებლების მატერიალური კეთილდღეობა და სოციალური სტატუსი იქნება პირდაპირ დამოკიდებულებაში პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობის შედეგებთან. ჩვენ უნდა მივიდეთ სკოლის ფუნქციონირების ისეთ მოდელთან, როცა სკოლის ფინანსირების მოცულობა ხელფასის ფონდის ჩათვლით გამოეყოფა მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისად დირექციის და პედაგოგიური საბჭოს ნებასურვილით ხარჯვის უფლებით. ამდენად მასწავლებელთა ხელფასი იქნება დამოკიდებული მოსწავლეთა რაოდენობაზე, ე. ი. სწავლების დონეზე, სკოლის დონეზე, რომელიც მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გაუჩენს სურვილს შევიდეს ამა თუ იმ სკოლაში. (ბუნებრივია ეს შესაძლებელი იქნება ქალაქის პირობებში). დირექციაც და მთელი პედაგოგიური კოლექტივიც

იქნება ძლიერ დაინტერესებული მაღალკვალიფიციური მასწავლებლების მიწვევაში, განვითარებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, სწავლებისა და აღზრდის ახალი მეთოდების დანერგვაში, სასწავლო პროცესისადმი ნოვატორული მიდგომების გამოყენებაში. ზუსტად ეს არის სახალხო განათლების სისტემაში შრომის ეფექტურობის ამაღლების ეკონომიური ბერკეტების დანერგვა.

პედაგოგიური კადრებით სკოლების უზრუნველყოფის საქმეში მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენს უკიდურესად არადამაკმაყოფილებელი საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობები, რომლებიც ახალგაზრდა სპეციალისტებს ადგილზე ხვდებათ.

1988 წლის შემოდგომაზე სამინისტროს კადრების სამმართველომ ჩაატარა 1986—1988 წლების კურსდამთავრებულ ახალგაზრდა მასწავლებელთა საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის გამოკვლევა. გამოკვლევით დადგინდა, რომ პრაქტიკულად ყველგან ირღვევა „სხვა ადგილზე სამუშაოდ გადასვლის გარანტიებისა და კომპენსაციის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 15 ივლისის № 677 დადგენილების მოთხოვნები იმ ნაწილში, რომელიც ახალგაზრდა სპეციალისტებისათვის საცხოვრებელი ფართობის რიგგარეშე გამოყოფას ეხება. ბევრი სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, რომელსაც სამ წელიწადში ერთხელ ერთი ახალგაზრდა მასწავლებლის მეორეთი უფასოდ შეცვლის შესაძლებლობა აქვს, არ ზრუნავს მათთვის სათანადო საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასა და მოცემულ ადგილზე მათ დამაგრებაზე. სოფლად განაწილებული ქალაქის ბევრი მკვიდრი ადგილზე გამოცხადებისას მხოლოდ სამ წელს მუშაობს, მოვალეობის მოხდის მიზნით, ხოლო შემდეგ ქალაქს უბრუნდება და ისეთ სამუშაოს კიდებს ხელს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მის მიერ მიღებულ განათლებასთან, ან აღრიცხვაზე ადის სახალხო განათლების განყოფილებაში და წლობით სამუშაოს ელოდება.

ამჟამად რესპუბლიკაში არადამაკმაყოფილებელი საბინაო პირობები აქვს ახალგაზრდა მასწავლებელთა 50 პროცენტს. კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა უმრავლესობა სოფლის მასწავლებლებს საცხოვრებელ ფართობს არ აძლევს. ბინების მინი-

მალურ რაოდენობას აძლევენ მასწავლებლებს ადგილობრივი ხაბ-ჭოებიც, რომლებიც ამას სიმძლავრეების, სამშენებლო მასალებ-სა და ა. შ. ნაკლებობით ხსნიან.

შექმნილი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წინადადებების შეტანა იმის თაობაზე, რომ აღმასკომებს უფლება მიეცეთ სამუშაოდ ჩამოსულ ახალგაზრდა მასწავლებელთა ოჯახებს საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად ან საბინაო მეურნეობის მოსაწყობად მისცენ უპროცენტო სესხი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე 5000 მანეთის ოდენობით 25 წლის ვადით; ახალგაზრდა მასწავლებელთა ბავშვიან ოჯახს ან ოჯახში პირველი ბავშვის დაბადებისას სესხს ჩამოაკლდეს 500 მანეთი, მეორე ბავშვის დაბადებისას — 700 მანეთი და მესამე ბავშვის დაბადებისას — 1000 მანეთი.

ეთხოვოს აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს სახალხო დეპუტატების საბჭოების საქალაქო (რაიონულ) აღმასკომებს დახმარება აღმოუჩინონ განაწილების ადგილზე გამოცხადებულ ახალგაზრდა მასწავლებლებს ინდივიდუალურ და კოოპერატიულ საბინაო მშენებლობაში მათთვის საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში პირველ რიგში შესვლის უფლების მინიჭებით; შეუმცირონ მათ პირველი შესატანის წილი და გაუსაზღვრონ იგი ბინების (სახლების) ღირებულების 30 პროცენტის ოდენობით.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარება მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ახალგაზრდა კადრების არა მარტო ადგილებზე დამაგრებას, არამედ დემოგრაფიულ პრობლემათა გადაწყვეტასაც.

რესპუბლიკაში განათლების ერთიანი სისტემის შექმნა ქმნის უწყვეტი განათლების სამი მნიშვნელოვანი ქვესისტემის ორგანული გაერთიანების შესაძლებლობას: წინაპროფესიული განათლების ქვესისტემის, პროფესიული განათლებისა და აღზრდის ქვესისტემის, საერთო და პროფესიული ცოდნის სრულყოფის ქვესისტემის.

პირველი ქვესისტემის მიზნები (ზოგადსაგანმანათლებლო სამეცნიერო ცოდნის, ზოგად-შრომითი უნარის, ფასეული ორიენტაციების, სოციალურ-პროფესიული ორიენტაციების ფორმირება და პროფესიული საქმიანობის სახეობის არჩევა) ხორციელდება სკოლამდელ დაწესებულებებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

მეორე ქვესისტემის მიზნები (პროფესიული ცოდნისა და უნარის, შემოქმედებითი საქმიანობის ჩვევების, გარკვეულ საგანმა-

ნათლებლო კვალიფიციურ დონეზე საზოგადოებრივი საქმიანობისათვის აუცილებელი პიროვნული თვისებების ფორმირება) ხორციელდება პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების მიერ.

მესამე ქვესისტემის მიზნები და ამოცანები (ცოდნის მუდმივი განახლება, მეცნიერების, ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ტემპებთან შესაბამისად პროფესიული ცოდნისა და უნარის გაღრმავება, გაფართოება) ხორციელდება ძირითადად კვალიფიკაციის ამაღლების სასწავლო დაწესებულებების მიერ.

უწყვეტი განათლების მიზნების რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპია სისტემის მთლიანობა, რომელიც უზრუნველყოფილია ყველა რგოლის ურთიერთკავშირითა და მემკვიდრეობითობით ადამიანთა განათლების ახალ, უფრო მაღალ დონეზე გადასვლის შესაძლებლობებით, უნარის, მიდრეკილებისა და აგრეთვე საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შესაბამისად.

თანამედროვე პირობებში, უწყვეტი განათლების ერთიანი სისტემის ყველაზე პროგრესულ და რეალურ ფორმად მიგვაჩნია სასწავლო-სამეცნიერო- პედაგოგიური კომპლექსების შექმნა (სკოლამდელი დაწესებულება-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — პედაგოგიური სასწავლებელი — პედაგოგიური ინსტიტუტი — მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი), (სკოლამდელი დაწესებულება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — პედაგოგიური ინსტიტუტი).

კომპლექსის შექმნა უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის დონის მნიშვნელოვნად ამაღლებას, ერთიანი მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენების, კომპლექსის სტრუქტურული ქვედანაყოფების კოლექტივების პედაგოგიური ძალისხმევის ერთ მიზნად შეკავშირებისა, თეორიული სწავლების პედაგოგიური პრაქტიკისაგან გათიშვის დაძლევის საფუძველზე. კომპლექსების შექმნა საშუალებას მოგვცემს დავძლიოთ პედაგოგიურ ინსტიტუტებში სტუდენტთა მომზადების საქმეში ბოლო წლებში არსებული უდიდესი ნაკლი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სწავლების მიზნად იქცა მხოლოდ მეცნიერული ინფორმაციის გადაცემა, რომელიც არ შეესატყვისება პედაგოგიური ჩვევების დანერგვას, ბავშვებთან ურთიერთობის უნარს. უფრო მეტიც, ბევრი ინსტიტუტის მასწავლებელი თვით არ ფლობს სკოლაში სწავლებისა და ბავშვებთან ურთიერთობის ჩვევებს.

კომპლექსების არსებობა აძლევს საშუალებას პროფესორ-მასწავლებლებს აწარმოონ ერთდროულად პედაგოგიური მუშაობა

სკოლაში, სკოლის მასწავლებლებს — გაუზიარონ სტუდენტებს ბავშვებთან ცოცხალი მუშაობისა და სწავლების გამოცდილება, სტუდენტებს კი — შეუთავსონ სწავლა სკოლაში, სკოლამდელ დაწესებულებებში პრაქტიკულ მუშაობასთან.

კომპლექსების ფორმირება აამაღლებს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე მუშაობის დონეს. შეიქმნება შესაძლებლობა პედაგოგიური მუშაობისადმი მიდრეკილებისა და უნარის მქონე მოსწავლეთა ადრეული შერჩევისა და მათი მიზანდასახული მომზადებისათვის.

ამასთან აუცილებელია პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებელთა წლიურ დატვირთვაში ჩართულ იქნეს სასწავლო საათები, რომლებიც ჩატარებული იქნება სასწავლო-სამეცნიერო-პედაგოგიური კომპლექსების ყველა რგოლში.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის რეფორმა ითვალისწინებს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური შესწავლის გაუმჯობესებას სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, მათი მიდრეკილებების გამოვლენას, ცალკეულ მოსწავლეთა სწავლაში ჩამორჩენისა და ყოფაქცევაში ნაკლოვანებების მიზეზების დროულად განსაზღვრასა და მათ აღმოსაფხვრელად ეფექტური გზების არჩევას. დგება ამოცანა პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული შერჩევის მეცნიერული საფუძვლების დამუშავების.

ამისათვის აუცილებელია თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების პოტენციალის აქტიური გამოყენება, რაც დღევანდელ დღეს შეუძლებელია სკოლებში პროფესიონალი ფსიქოლოგების არყოფნის გამო. აუცილებელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრაქტიკული ფსიქოლოგის თანამდებობის შემოღება. სკოლის ფსიქოლოგის ამოცანა იქნება შესაბამისი სასწავლო კურსების წარმართვა, პროფესიული ორიენტაციისა და პროფესიული კონსულტაციის სამუშაოების ჩატარება, თანამედროვე ადეკვატური ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეთა ფსიქოლოგიური კვლევა ინდივიდუალური ფსიქოლოგიური დახასიათების გამოვლენის მიზნით, ფსიქოდიაგნოსტიკური, კორექციული და საკონსულტაციო მუშაობაში ინდივიდუალური მიდგომის გამოყენება ობიექტური მეცნიერულ-ფსიქოლოგიური მონაცემების საფუძველზე.

სკოლის ფსიქოლოგი ახორციელებს მეთოდურ სამუშაოს და პრაქტიკულ დახმარებას ბავშვთა ფსიქოლოგიურად დასაბუთებული

რეჟიმებისა და სწავლების მეთოდების დამუშავებაში, რაც განსაკუთრებით აუცილებელია უმცროს კლასებში. სოციალურ-ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენებით ფსიქოლოგი ჩაატარებს საკლასო კოლექტივების კვლევას, მათი მართვის პედაგოგიური მეთოდების სრულყოფის მიზნით.

დღეს ფსიქოლოგები განათლების სისტემაში, ისევე როგორც რესპუბლიკის და საერთოდ ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში პრაქტიკულად არ გამოიყენებიან (სსრკ-ში — 5 ათასი ფსიქოლოგია, აშშ-ში — 150 ათასი). აუცილებლად მიგვაჩნია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნას მასწავლებელთა გადამზადების ფაკულტეტი მიმართულებით „ფსიქოლოგია", შემოღებულ იქნეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სპეციალიზაცია „პრაქტიკული ფსიქოლოგია სახალხო განათლების სისტემაში", აგრეთვე პედაგოგიურ ინსტიტუტებში განხორციელდეს მომზადება საგნობრივი მასწავლებლებისა დამატებითი სპეციალობით „პრაქტიკული ფსიქოლოგია სახალხო განათლების სისტემაში".

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გარდაქმნა, მასწავლებელთა პროფესიული და პიროვნული თვისებებისადმი ახალი, გაზრდილი მოთხოვნები, მოითხოვს პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ძირეულ გაუმჯობესებას.

ახალმა სასწავლო გეგმებმა უნდა უზრუნველყონ პედაგოგთა ზოგადსაგანმანათლებლო, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და მეთოდური მომზადების დონის მნიშვნელოვნად ამაღლება, სწავლების აქტიური ფორმებისა და დამოუკიდებელი მუშაობის ფართოდ დანერგვა, სასწავლო პროცესში შემოქმედებითი წინადადებების, პედაგოგიური კოლექტივების ნოვატორული მიდგომის დანერგვისათვის პირობების შექმნა.

პედაგოგიურ სპეციალობებში სტუდენტთა პრაქტიკულად მომზადების ძირეული გაუმჯობესების მიზნით გადასინჯვას მოითხოვს პედაგოგიური პრაქტიკის სასწავლო გეგმები და პროგრამები. საჭიროა დამუშავდეს პედაგოგიური პრაქტიკის ორგანიზაციის ახალი პრინციპები, სკოლის წინაშე მდგარი თანამედროვე ამოცანების შესაბამისად და უპირველესად განზოგადდეს და გავრცელდეს უწყვეტი პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების გამოცდილება. აუცილებელია ყველა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებელში შემოღებულ იქნეს სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკა მეორე კურსიდან.

მომწიფდა აუცილებლობა მასწავლებელთა ატესტაციის ფორმებისა და მეთოდების გადახედვისა, რომელიც მოწოდებული უნდა იყოს კადრების ხარისხობრივი შემადგენლობის ამაღლების მომქმედ ბერკეტად. პედაგოგიური კადრების ატესტაციის არსებული სისტემის დაბალი ეფექტურობა განპირობებულია შეფასების არასაკმარისი ობიექტურობით. იმისათვის, რომ ატესტაციისაგან მივიღოთ დღეისათვის საჭირო ეფექტი, აუცილებელია მუშაობის სულ ცოტა სამი მიმართულებით გაძლიერება: 1. შეფასების მეთოდიკის სრულყოფა; 2. შეფასებაში სუბიექტივიზმის დაძლევა; 3. ატესტაციის დროს კომპიუტერების ფართოდ გამოყენება.

სკოლის დონეზე მართვის რიგი ფუნქციების გადაცემა სკოლებისა და მათი ხელმძღვანელობის დამოუკიდებლობის გაფართოება აყენებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხელმძღვანელ მუშაკთა საქმიანი, პროფესიული და პიროვნული თვისებების მიმართ გაზრდილ მოთხოვნებს. სამწუხაროდ, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ბევრი დირექტორისა და მისი მოადგილის საქმიანობა არ შეესაბამება მათ წინაშე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გარდაქმნით დასმულ ახალ ამოცანებს. სკოლების საკადრო და საფინანსო-სამეურნეო დამოუკიდებლობა, შიდასასკოლო თვითმმართველობის გაფართოება არ მოგვცემს ეფექტს ხელმძღვანელი საკადრო პოტენციალით სათანადოდ უზრუნველყოფის გარეშე. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად იქცა სკოლის დირექტორების ატესტაციის ჩატარება, საშუალო განათლების გარდაქმნის პირობებში მათი, როგორც ხელმძღვანელის ვარგისიანობის გამოვლენის მიზნით.

სკოლისათვის საზოგადოების სოციალური შეკვეთა მოითხოვს ფორმირებას დირექტორის ახალი ტიპისა: ხელმძღვანელი-დემოკრატი, ხელმძღვანელი-შემოქმედი, ხელმძღვანელი-ერუდიტი, რომელიც შეათავსებს მაღალ პოლიტიკურ კულტურასა და ახალ აზროვნებას ღრმა ცოდნასთან, რაოგორც მართვის სფეროში, ასევე პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის ნოვატორული მეთოდიკებისა და გადასაცემ საგანში.

დღეს სამართავ-პედაგოგიური ამოცანების ძირითადი ნაწილის გადაწყვეტა უნდა ატარებდეს არასტანდარტულ ხასიათს. ეს განსაზღვრავს სკოლის ხელმძღვანელის აზროვნების უმნიშვნელოვანესი თვისების აუცილებლობას — შემოქმედებით მიმართულებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს კურსმა გააფართოვოს

განათლების ქვედა რგოლების დამოუკიდებლობა, გამოიწვია ქალაქისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებების ნეგატიური რეაქცია. მათი კომპეტენციის სფეროდან მიდის სისტემის საკომანდო-ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის ძირითადი ბერკეტები, რაც იწვევს მათ უკმაყოფილებას, ახალ სტილსა და მეთოდებზე გარდაქმნის უგულებელყოფას. დღეს სახალხო განათლების განყოფილების წინაშე დგას პრინციპულად ახალი ამოცანა — კონტროლი გაუწიოს სკოლის საქმიანობას სახალხო განათლების მართვის დემოკრატიზაციის პირობებში. ამასთან ახალი კონტროლის უფრო მეტად დამახასიათებელი თავისებურებაა მისი მეთოდური, სწავლებითი და გამაფრთხილებელი ფუნქციის გაძლიერება. კადრების სამმართველომ შეისწავლა სახალხო განათლების რიგი განყოფილებების მუშაობის პრაქტიკა, მოამზადა კოლეგიაზე განსახილველად საკითხი „განათლების მართვის დემოკრატიზაციის პირობებში სახალხო განათლების რაიონების (ქალაქების), განყოფილებების საქმიანობის გარდაქმნის შესახებ", გადაწყვეტილების პროექტში მოცემული რეკომენდაციები საშუალებას იძლევა ახალ პირობებში განისაზღვროს სახალხო განათლების განყოფილების ხელმძღვანელი, საკოორდინაციო და საკონტროლო ფუნქციები.

ხელმძღვანელი, სამეცნიერო, პედაგოგიური
კადრებისა და კვალიფიკაციის ამაღლების
სამმართველო

დანართი 5

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური კადრებით უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების გეგმა

1. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და სახალხო განათლების სხვა სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების 2 000 წლამდე პერიოდისათვის პედაგოგიურ კადრებზე სპეციალობების მიხედვით მოთხოვნის დაზუსტება და წარდგენა საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტში.
2. სპეციალობების მიხედვით პედაგოგიური კადრების მომზადების რეგიონალურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით წინადადებების შემუშავება, რომელშიც მთავარი ყუ-

რადღება გადატანილი იქნება შესაბამის რეგიონებში მასწავლებელთა მიზნობრივ მომზადებაზე. რეგიონების სოციალური შეკვეთების შესრულების საფუძველზე პედაგოგიური ინსტიტუტების ფუნქციონირების სისტემის დამუშავება.

ვადა: 1989—1990 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო

3. 1989 წლის კურსდამთავრებულთა განაწილების დროს უმაღლესი განათლების სპეციალისტებზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის გეგმიური მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ვადა: 1989 წ. აპრილი — მაისი

შემსრ: კადრების სამმართველო

4. პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტების წინასწარ გასანაწილებლად, ინსტიტუტის დამთავრებამდე 2 წლით ადრე, აუცილებელი სამუშაოს ჩატარება

ვადა: 1989—1990 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო

5. განაწილების ადგილზე ერთწლიანი პედაგოგიური პრაქტიკა-სტაჟირების გავლის შემდეგ სტუდენტთა სადიპლომო ნაშრომების დაცვის ორგანიზაციისათვის წინადადებების შემუშავება

ვადა: 1989 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო

6. მართვის არსებული სისტემის საყოველთაო გარდაქმნისათვის (მხედველობაშია საკადრო და საფინანსო-სამეურნეო სამუშაოების რიგი ფუნქციების სკოლის დონეზე გადაცემა) აუცილებელი ორგანიზაციულ-მეთოდური ბაზის შექმნა

ვადა: 1989 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო

7. საფინანსო საქმიანობაში სკოლების დამოუკიდებლობის შემდგომი გაფართოების მიზნით (მხედველობაშია სკოლისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების გამოყოფის წესი, საკუთა-

რი დამატებითი ბიუჯეტის ფორმირების უფლება, სკოლების მიერ ბანკში საკუთარი ანგარიშების გახსნა) წინადადებების დამუშავება.

ვადა: 1989 წ.

შემსრ: საგეგმო-საფინანსო სამმართველო, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველო.

8. სოფლის სკოლებში განაწილებული პედაგოგებისათვის, მიუხედავად მათი ფაქტიური სასწავლო დატვირთვისა, მთელი განაკვეთის (18 საათი კვირაში) ოდენობით ხელფასის მისაცემად კონკრეტული წინადადებების დამუშავება.

ვადა: 1989 წ.

შემსრ: საგეგმო-საფინანსო სამმართველო

9. ქალაქის სკოლების მასწავლებელთა 1—2 თვით მივლინების პრაქტიკაში შემოღება (ძირითად სამუშაო ადგილზე საშუალო ხელფასის შენარჩუნებით), რესპუბლიკის იმ რაიონების სკოლებში, რომლებიც განიცდიან პედაგოგიური კადრების მწვავე ნაკლებობას.

ვადა: 1989 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო.

10. მასწავლებლის ხელფასის დარიცხვის არსებული სისტემის რეორგანიზაციისათვის, მასწავლებელთა კატეგორიების სისტემის შემოღებისა და პედაგოგიური სტაჟის მიუხედავად კატეგორიის მიხედვით მათი შრომის ანაზღაურებისათვის წინადადებების დამუშავება და წარმოდგენა.

ვადა: 1989 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო. საგეგმო-საფინანსო სამმართველო.

11. გარკვეულ ობიექტურ კრიტერიუმებზე დაფუძნებული, მეცნიერულად დასაბუთებული პედაგოგიური შრომის შეფასების სისტემის შექმნა.

ვადა: 1989—1990 წ.

შემსრ: ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო, პედაგოგიკის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ა. ს. პუშკინის სახე-

ლობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტი-
ტუტი.

12. მრავალფაზიანი პიროვნული გამოსაკითხავების საშუალებით, მასწავლებლის პროფესიული და ფსიქოემოციური შეფასების მიზნით, პედაგოგიური კადრების შერჩევის, დანიშვნისა და განაწილების პრაქტიკაში ელექტრო-გამომთვლელი ტექნიკის დანერგვა.

ვადა: 1989—1990 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, მთავარი გამოთვლითი ცენტრი.

13. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სხვა სასწავლო აღმზრდელობითი დაწესებულებების მასწავლებლების (აღმზრდელების) ატესტაციის ობიექტურობისა და შედეგიანობის ამაღლებისათვის წინადადებების წარმოდგენა, შესაბამისი დებულების შემუშავება და რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დირექტორების ატესტაციის ჩატარება.

ვადა: 1989—1990 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო.

14. პედაგოგიურ ინსტიტუტებში, მცირეკომპლექტიან სოფლის სკოლებისათვის 3—4 სპეციალობით მასწავლებელთა მომზადების შემოღების შესაძლებლობის შესწავლა. სასწავლო-მეთოდური დოკუმენტაციის დამუშავების გათვალისწინებით შესაბამისი წინადადებების წარმოდგენა.

ვადა: 1989 წ.

შემსრ: უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო.

15. პედაგოგიური მუშაობისადმი მიდრეკილებისა და უნარის მქონე მოსწავლეთა კონტიგენტით სპეციალიზირებული პედაგოგიური სკოლების (კლასების) შექმნის შესაძლებლობის შესწავლა.

ვადა: 1989 წ.

შემსრ: ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო.

16. სახალხო განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტთან ერთად რესპუბლიკაში პედაგოგიური კადრების რაციონალურად გამოყენებისა და დამაგრების, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების შესწავლა.

ვადა: 1989 წ.

შემსრ: კადრების სამმართველო, მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველო.

17. პედაგოგიური კადრების საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში დასაბუთებული წინადადებების წარდგენა, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ახალგაზრდა პედაგოგებისათვის საბინაო პირობების გასაუმჯობესებლად საბინაო მშენებლობის ფონდის ხარჯზე უპროცენტო სესხის გამოყოფა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივებში პირველი შესატანის შემცირება.

ვადა: 1989 წ.

შემსრ.: მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველო, კადრების სამმართველო.

18. რესპუბლიკის პედაგოგიური სასწავლო დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის ანალიზის გაკეთება. ნორმატიულ უზრუნველყოფაზე გადასვლისა, სასწავლო ფართობებისა და სოციალურ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტებზე მოთხოვნილების სრული უნზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად პედაგოგიური უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების 2 000 წლამდე განვითარების პროგრამის დამუშავება.

ვადა: 1989 წ.

შემსრ.: მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბაზის განვითარების სამმართველო.

19. 1989—1990 სასწავლო წლის დასაწყისისათვის სასწავლო-სამეცნიერო-პედაგოგიური კომპლექსების (სკოლამდელი დაწესებულება-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — პედაგოგიური სასწავლებელი-პედაგოგიური ინსტიტუტი-მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტი), (სკოლამდელი დაწესებულება-ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — პედაგოგიური ინსტიტუტი) შესაქმნელად კონკრეტული წინადადებების მომზადება და კოლეგიაზე წარდგენა. კომპლექსებზე დებულების დამუშავება და დასამტკიცებლად წარდგენა.

ვადა: 1989 წ. ივნისი.

შემსრ.: ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკუ-

რი განათლების სამმართველო, უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო, კადრების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო.

20. სასწავლო-სამეცნიერო პედაგოგიური კომპლექსების ყველა რგოლში ჩატარებული სასწავლო საათების პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორ-მასწავლებელთა წლიურ დატვირთვაში ჩართვის შესახებ წინადადებების დამუშავება და შემოტანა.

ვადა: 1989 წ. ივნისი.

შემსრ.: უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო, საგეგმო-საფინანსო სამმართველო.

21. პედაგოგიური სპეციალობების სტუდენტების პრაქტიკულად მომზადების გასაუმჯობესებლად დამატებითი ზომების მიღება. პედაგოგიური სასწავლო დაწესებულებების სკოლებთან, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებთან კავშირის ყოველმხრივი განვითარება და განმტკიცება. უწყვეტი პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებისა და ორგანიზაციის გამოცდილების განზოგადოება და გავრცელება. სტუდენტთა პედაგოგიური პრაქტიკის შემოღება ყველა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში მე-2 კურსიდან.

სასწავლო გეგმებისა და პედაგოგიური პრაქტიკის პროგრამების გადასინჯვა სკოლის წინაშე დასმული თანამედროვე ამოცანების შესაბამისად პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარებისა და ორგანიზაციის ახალი ინსტრუქციების მომზადება და დასამტკიცებლად წარმოდგენა.

ვადა: 1989—1990 წწ.

შემსრ.: უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო.

22. პედინსტიტუტების და პედაგოგიური სასწავლებლების დისციპლინების ძირითადი ციკლების ახალი სასწავლო გეგმებისა და სასწავლო პროგრამების დამუშავების დამთავრება. ამასთან გათვალისწინებულ იქნეს პედაგოგების ზოგადსაგანმანათლებლო, ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური და მეთოდური მომზადების მნიშვნელოვანი გაუმჯობესების, დამოუკიდებელი მუშაო-

ბისა და სწავლების აქტიური ფორმების ფართოდ გამოყენების, სამეცნიერო-პედაგოგიური კოლექტივების შემოქმედებითი წინადადებების სასწავლო პროცესში დანერგვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობა.

ვადა: 1989—1990 წ.

შემსრ.: უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო, სამეცნიერო მეთოდური ცენტრი.

23. პედაგოგიურ სპეციალობებში ახალი სახელმძღვანელოების შექმნის დროს პრაქტიკაში ახალი მიდგომებისა და მოთხოვნების სისტემის დანერგვა, სასწავლო მეცადინეობის სტრუქტურის ცვლილებების, სასწავლო პროცესში სწავლების აქტიური შემოქმედებითი ფორმების ფართოდ ჩართვისა და სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობის მასშტაბების გაფართოების გათვალისწინებით.

ვადა: 1989—1990 წწ.

შემსრ.: სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველო.

24. პედაგოგიური სასწავლო დაწესებულებებისათვის XIII ხუთწლედში სასწავლო-მეთოდური ლიტერატურის გამოცემის გეგმის დამუშავება, სასწავლო გეგმების ყველა ნორმატიულ დისციპლინებში სასწავლო ლიტერატურის კომპლექსების შექმნის გათვალისწინებით. პედაგოგიური ინსტიტუტების საგამომცემლო უფლებების გასაფართოებლად წინადადებების შემოტანა.

ვადა: 1989 წ.

შემსრ.: სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველო.

25. 1989/1990 სასწავლო წლის დასაწყისისათვის ზოგადსაგანმანათლებლო და სხვა სასწავლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში „პრაქტიკული ფსიქოლოგიის“ თანამდებობის შემოსაღებად წინადადებების წარმოდგენა.

ვადა: 1989 წ. ივნისი.

შემსრ.: საგეგმო-საფინანსო სამმართველო.

26. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე მასწავლებელთა გადამზადების სპეციალური ფაკულტეტის გახსნა მიმართულებით „ფსიქო-

ლოგია". „პრაქტიკული ფსიქოლოგია სახალხო განათლების სისტემაში") დღის სწავლების ფორმითა და სწავლების 9 თვის ვადით; მიღების გეგმები დადგინდეს ავტონომიური ფორმირებისა, ქალაქების და რაიონების სახალხო განათლების ორგანოების განაცხადების შესაბამისად.

ვადა: 1989 წ. ივნისი.

შემსრ.: კადრების სამმართველო.

27. პედაგოგიურ ინსტიტუტებში საგნობრივი მასწავლებლის დამატებითი სპეციალობით „პრაქტიკული ფსიქოლოგია სახალხო განათლების სისტემაში" მომზადების შემოღებისათვის წინადადებების შემუშავება და წარმოდგენა.

ვადა: 1989 წ.

შემსრ.: უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო.

28. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორგანიზაციის სისტემის გარდაქმნის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასკოლო განათლების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სკოლის გარდაქმნისა და მასწავლებელთა კადრების მომზადების ხარისხის ამაღლების სამეცნიერო პედაგოგიურ უზრუნველყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა, პედაგოგიურ ინსტიტუტებსა და პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ფსიქოლოგ-პედაგოგიური კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად შედგეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს XIII ხუთწლედის გეგმა-შეკვეთა.

ვადა: 1989—1990 წწ.

შემსრ.: უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო, ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო.

29. სტუდენტების, ასპირანტების სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ასამაღლებლად მუშაობის ჩატარება, მისთვის იმ პრობლემებზე მიმართულების მიცემა, რომლებიც დაკავშირებულია მოწინავე მსოფლიო პედაგოგიური გამოცდილების შესწავლასთან და ნოვატორი მასწავლებლების მუშაობის გამოცდილებასთან.

სახალხო განათლების ორგანოების სოციალური შეკვეთებით საკურსო და სადიპლომო შრომების დაცვის პრაქტიკის დანერგვა.

ვადა: 1989—1990 წწ.

შემსრ.: უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველო, ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველო.

30. დამუშავდეს და წარმოდგენილ იქნეს კოლეგიაზე განსახილველად პედაგოგიურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების გარდაქმნის პროექტი, რომელიც მიმართული იქნება კადრების პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე, პედაგოგიური მეცნიერებისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევების შესწავლასა და ტირაჟირებაზე, მოწინავე გამოცდილების გაცვლაზე და კადრების პერიოდულიდან უწყვეტ სწავლებაზე გადასვლაზე.

ვადა: 1989 წ.

შემსრ.: კადრების სამმართველო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაერთიანებული კოლეგიის 1989 წლის 11 მარტის გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მდგომარეობის შესახებ

კოლეგია აღნიშნავს, რომ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიმართულებით გაწეული მიზანდასახული მუშაობის შედეგად 1988 წელს, 1987 წელთან შედარებით დანაშაულებათა რაოდენობა შემცირდა 60 ერთეულით (524/584), შესაბამისად იკლო დანაშაულში მონაწილეთა რიცხვმაც. შემცირდა ისეთი დანაშაულობათა სახეობები, როგორიცაა პირადი ქონების ქურდობა, განზრახ მკვლელობა, გაუპატიურება, ხულიგნობა და სხვა. რიგ რაიონებსა და ქალაქებში განვლილ პერიოდში არ აღრიცხულა სამართალდარღვევის არც ერთი ფაქტი (აბაშა, ახმეტა, გეგეჭკორი, ვანი, ლანჩხუთი, მაიაკოვსკი, მესტია, ონი, სამტრედია, საჩხერე, ქედა, ყვარელი, ჩხოროწყუ, ხაშური, ხობი, წითელწყარო, წალკა და სხვა).

ამასთანავე კოლეგია აღნიშნავს რომ გარკვეული ძვრების მიუხედავად, მოსწავლე და სტუდენტ ახალგაზრდობაში სამართალდარღვევათა რიცხვი კვლავ მაღალია. ისეთ სახეობებში, როგორიცაა მკვლელობის მცდელობა, სხეულის განზრახ დაზიანება, სახელმწიფო ქონების ქურდობა, ძარცვა, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი კუთვნილების მცირეოდენი დატაცება და სხვა. დანაშაულთა რიცხვი გაიზარდა ან კვლავ დიდია სოხუმში, გორში, გარდაბანში, წულუკიძეში, ფოთში, თბილისის კალინინის, საქარხნო, ორჯონიკიძის, 26 კომისრების სახელობის რაიონებში და რესპუბლიკის

სხვა რეგიონებში. შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ გახშირდა მოსწავლეთა თვითმკვლელობის, ავტოსატრანსპორტო შემთხვევათა შედეგად დაღუპვისა და მძიმე ტრავმების ფაქტები. ჯერ კიდევ არაეფექტურია თამბაქოს წევის, ლოთობის, ნარკომანიისა და სხვა მავნე ჩვევების დაძლევისათვის გაწეული მუშაობა.

კოლეგიას მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნული პრობლემები გამოწვეულია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის, პროფილაქტიკურ მუშაობაში არსებული მიშვებულობითა და ნაკლოვანებებით, ამ საქმეში ჯერ კიდევ გამეფებული ფორმალიზმითა და მოჩვენებითობით, ღონისძიებათა კომპანიურობითა და მთლიანად აღმზრდელობით მუშაობაში დაშვებული ხარვეზებით.

სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდაში არასაკმარისადაა გამოყენებული სასწავლო დისციპლინის „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ შესაძლებლობანი, არასასწავლო მუშაობის ფორმებისა და მეთოდების მრავალფეროვნება, იშვიათად ხდება მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, ყოველი ნეგატიური ფაქტისადმი შეურიგებლობის ატმოსფეროს, ერთიანი საზოგადოებრივი აზრის შექმნაში დაბალია მოსწავლე და სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოების როლი.

კოლეგია აღნიშნავს, რომ სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლას და პროფილაქტიკას დიდ ზიანს აყენებს დანაშაულის მიჩქმალვა, შემრიგებლური დამოკიდებულება, მიშვებულობა, ლოიალურობა, როგორც სახალხო განათლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების, ასევე მშობლებისა და საზოგადოებრიობის მხრიდან და ბოლოს ისიც, რომ ზოგიერთი დანაშაული გაუხსნელი რჩება. სამართალდარღვევათა გამომწვევ ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს არაკეთილსაიმედო ოჯახებთან, პედაგოგიურად მიშვებულ მოზარდებთან, საეჭვო სოციალური პოზიციის მქონე ახალგაზრდებთან აღმზრდელობითი მუშაობის შეუფასებლობა, პედაგოგიურ კოლექტივებში ჯერ კიდევ ფეხმოკიდებული სწრაფვა — გათავისუფლდნენ ე. წ. „მძიმე“ ბავშვებისაგან მათი პროფტექსასწავლებლებში ტრადიციული გადაყვანით. კოლეგია არადამაკმაყოფილებელ შეფასებას აძლევს საცხოვრებელ ადგილებზე მოსწავლეთა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელ-

ეროვნული

ში აღმზრდელობით მუშაობას, აღნიშნავს რიგ შემთხვევაში არასრულწლოვანთა საქმეების ინსპექციის საქმიანობის ფორმალურ ხასიათს, პედაგოგ-ორგანიზატორებთან სუსტ კონტაქტებს.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში ფართოდ არ არის ჩაბმული საზოგადოებრიობა, შრომითი კოლექტივები, ამ საკითხის გადაწყვეტაში სათანადო ინიციატივას არ იჩენენ მშობელთა კომიტეტები, სკოლის მეგობართა საბჭოები, სახალხო განათლების საბჭოები. დაბალია მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი კულტურის ჩამოყალიბებისა და დანაშაულის პროფილაქტიკის საქმეში უმაღლესი სასწავლებლების, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა როლი. მეტ ყურადღებას მოითხოვს რესპუბლიკის სპეციალური სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებები. გადაუჭრელ პრობლემად რჩება პედაგოგიური კადრების შესაბამისი მომზადება, სასწავლო დაწესებულებათა მომარაგება სასწავლო-მეთოდური ლიტერატურითა და სახელმძღვანელოებით.

სრულყოფასა და შემდგომ განვითარებას მოითხოვს ადმინისტრაციული და სახალხო განათლების ორგანოების ურთიერთქმედება, თანამშრომლობის განმტკიცება ჯანდაცვის, ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ, სამეცნიერო და სხვა სამსახურებთან.

მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის, დანაშაულის პროფილაქტიკის სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების მიზნით, კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემაში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლების, აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა გეგმა (თან ერთვის).

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო სახალხო განათლების განყოფილებამ, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებმა:

2.1. ადგილებზე შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით. შეიმუშაონ და განახორციელონ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლების, აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში არსებული ხაკლოვანებების დაძლევის კონკრეტული ღონისძიებანი;

2.2. სახალხო განათლების სამინისტროში ოპერატიულად წარ-

მოადგინონ შეტყობინება დანაშაულის, ხოლო ათი დღის ვადაში ინფორმაცია სამართალდარღვევაზე რეაგირების შესახებ.

3. შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა:

3.1. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების განათლების განყოფილებებთან, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან ერთად დასახონ და პრაქტიკაში განახორციელონ კომპლექსური ღონისძიებები მოსწავლეთა და სტუდენტთა შორის სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად;

3.2. აქტიური დახმარება გაუწიონ სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების საქმეში. სასწავლებლებში სისტემატურად ჩაატარონ ლექცია-საუბრები მოქმედი კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო სახალხო განათლების განყოფილებამ და შინაგან საქმეთა სამმართველომ, სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა საქალაქო და რაიონულმა განყოფილებებმა მ. წ. აპრილში ერთობლივ სხდომებზე განიხილონ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მდგომარეობა.

5. რესპუბლიკის პედაგოგიურმა და უმაღლესი სასწავლებლების მრავალტირაჟიანმა გაზეთებმა პერიოდულად გააშუქონ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის პრობლემები, ამ საქმეში დაგროვილი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილება.

6. საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს IV ქვეგანყოფილებასთან ერთად 1990 წლის პირველ კვარტალში მოამზადოს და ჩაატაროს მეთოდურ-პრაქტიკული სემინარი სახალხო განათლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომლებისათვის თემაზე: „მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლების, აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის ოპტიმიზაციის გზები“.

7. სასწავლო დაწესებულებათა სახელმწიფო ინსპექციამ მ. წ. ბოლომდე შეისწავლოს ქ. ქ. რუსთავის, გორის, სოხუმის, წულუკიძის რაიონის სასწავლო დაწესებულებებში, თიანეთის № 73, ლაგოდეხის № 88 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში,

ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა და შედეგები წარმოადგინოს სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიაზე განსახილველად.

8. სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველომ (ამხ. ნ. ღლონტი) 1989-90 სასწავლო წლისათვის უზრუნველყოს ქართულ ენაზე თარგმნილი „საგზაო მოძრაობის წესების“ სახელმძღვანელოს გამოცემა.

9. ეთხოვოს დახმარება საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს ზოგადსაშუალო, პროფესიულ-ტექნიკურ და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ყოველწლიურად სამართლებრივი ცოდნის ოლიმპიადების მომზადებასა და ჩატარებაში, სასწავლო დაწესებულებებს სამართლის კაბინეტების, კუთხეების მოწყობაში, პლაკატების, დიაფილმების, იურიდიული ლიტერატურის შერჩევაში, ჟურნალ „საბჭოთა სამართალში“ მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისა და განათლების აქტუალურ საკითხებზე მასალების გამოქვეყნებაში.

10. ეთხოვოს საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს გადაცემებში გააძლიეროს ყურადღება მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე, ამ მიზნით გადაცემებში აქტიურად გამოიყენოს პრობლემური სიტუაციები და სხვადასხვა საქმიანი თამაშები:

11. კონტროლი წინამდებარე გადაწყვეტილების შესრულებაზე დაეკისროს სახალხო განათლების მინისტრის მოადგილეს ამხ. კ. სუჯაშვილს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მინისტრის მოადგილეს ამხ. თ. ეპიტაშვილს.

საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრი გ. ენუქიძე	საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი შ. გორგოძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ შსს სახალხო განათლების
სამინისტროს კოლეგიების 1989 წლის 11 მარტის
გადაწყვეტილების დანართი

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ სახალხო
განათლების მინისტრი
გ. ენუქიძე
1989 წლის 11 მარტი

„ვამტკიცებ"
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა
მინისტრი
შ. გორგოძე
1989 წლის 20 მარტი

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემაში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლების, აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა

გეგმა

1. ერთობლივი დადგენილების განხილვა სასწავლო დაწესებულებების პედსაბჭოებისა და საბჭოების სხდომებზე ადგილობრივ შინაგან საქმეთა ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

   ვადა: 1989 წლის მარტი.

   შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსები.

2. სასწავლო დაწესებულებებში „კანონისა და კანონიერების" კლუბის, „ახალგაზრდა ძერჟინსკელთა" რაზმების ჩამოყალიბება, სამართალმცოდნეობის კუთხეებისა და კაბინეტების მოწყობა

   ვადა: საჭიროებისამებრ

   შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

3. შინაგან საქმეთა ორგანოებისა და სასწავლებლების თანამშრომელთა ერთობლივი რეიდების ჩატარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში

   ვადა: პერიოდულად

   შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილებები

4. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსა და სამართალდამცავი ორგანოების ერთობლივი კოლეგიის 1988 წლის 15 სექტემბრის დადგენილების „სამართლებრივი ცოდ-

ნისა და სამედიცინო სექსოლოგიის საფუძვლების დაუფლების, ლოთობის, ალკოჰოლიზმის ნარკომანიის, ტოქსიკომანიის, თამბაქოს წევისა და სხვა მავნე ჩვევების დაძლევის დარგში მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის განათლების ერთიანი სისტემის შესახებ“ შესრულების მდგომარეობის განხილვა

ვადა: 1990 წლის დეკემბერი

შემსრ: საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

5. ქუთაისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სტუდენტ ახალგაზრდობასთან აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობის კომპლექსური შემოწმება.

ვადა:1989 წლის ნოემბერი

შემსრ: აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება

6. ნარკომანიის, თამბაქოს წევის საწინააღმდეგო ანტიალკოჰოლური პროპაგანდის გაწევის მიზნით სასწავლებლებში ფსიქოლოგების, ექიმების, იურისტების, შინაგან საქმეთა ორგანოების ავტორიტეტული მუშაკებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორების მიწვევა

ვადა: სისტემატურად

შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

7. გასვლითი სასამართლო პროცესების, ლიტერატურული სასამართლოებისა და სამართლებრივი აღზრდის სხვა ფორმების გამოყენება

ვადა: პერიოდულად

შემსრ: სასწავლო-დაწესებულებების ხელმძღვანელები

8. მოსწავლეთა თავისუფალი დროის შინაარსიანად გამოყენებისათვის პედაგოგიური კოლექტივების საქმიანი ურთიერთობის გააქტიურება კლუბებთან, კულტურის სახლებთან, მუზეუმებთან, ბიბლიოთეკებთან, სასწავლებლების პროფილაქტიკური საბჭოების, სამართლებრივი აღზრდის კლუბების, საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციების, სამართლებრივი აღზრდის უნივერსიტეტისა და სამართლებრივი ლექტორიუმების საქმიანობის გაუმჯობესება მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მიზნით

ვადა: სისტემატურად
შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

9. სამართლებრივი პროპაგანდისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის შესახებ მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება
ვადა: 1989—1990 წ. წ.
შემსრ: აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება (ამხ. ე. ზარქუა), სამინისტროს მეთოდური ცენტრი

10. შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებებთან ერთად სასწავლო დაწესებულებებში, ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების სწავლების მდგომარეობის შესწავლა და გაანალიზება, გადაუდებელი ღონისძიებების განხორციელება არსებული ვითარების გამოსასწორებლად
ვადა: 1989 წლის ნოემბერ-დეკემბერი
შემსრ: სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილებები

11. მოსწავლეთა შეხვედრები სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებთან, ვიქტორინების, დილა-საღამოების, საქმიანი თამაშებისა და სხვა საინტერესო და შინაარსიანი ღონისძიებების ჩატარება ავტოსაგზაო მოძრაობის წესებზე
ვადა: სისტემატურად
შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

12. მოსწავლეთა და სტუდენტთა გარკვეული ნაწილის ანტისაზოგადოებრივ ქცევათა გამოვლინების ხელისშემწყობი პირობების და გამომწვევი მიზეზების შესწავლა
ვადა: სისტემატურად
შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები, სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური ცენტრი

13. ცალკეულ სასწავლებლებში არსებული ოპერატიული ვითარების შესწავლა, მოსწავლეთა და სტუდენტთა სამართლებრივი აღზრდისა და მათ შორის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის დადებითი გამოცდილების განზოგადება
ვადა: 1989—1990 წ. წ.
შემსრ: აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება

(ამხ. ე. ზარქუა), სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები

14. რეიდების ჩატარება სასწავლებლების საერთო საცხოვრებლებისა და მოსწავლეთა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით

ვადა: სისტემატურად

შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

15. ზაფხულის არდადეგების პერიოდში მოსალოდნელი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით, ძნელადაღსაზრდელ და დანაშაულებრივი ქმედების მიდრეკილების მქონე მოსწავლეთა ჩაბმა საზაფხულო ტიპის შრომისა და დასვენების ბანაკებში

ვადა: 1989 წლის ივნის-აგვისტო

შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

16. მონაწილეობის მიღება საზოგადოებრივი დისციპლინის განმტკიცებისა და საგზაო უსაფრთხოების ორთვიურში

ვადა: 1989 წელი

შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

17. დაზიანებულ რეგიონებში ოპერატიული ვითარების გაუმჯობესების მიზნით პრაქტიკული დახმარების გაწევა

ვადა: 1989—1990 წ. წ.

შემსრ: აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება, რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდური ცენტრი

18. სამართლებრივ თემებზე შექმნილი კინოფილმების, სპექტაკლებისა და პუბლიკაციების გარჩევა მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის მონაწილეობით

ვადა: სისტემატურად

შემსრ: სახალხო განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებები, შინაგან საქმეთა განყოფილებები

19. სახალხო განათლების სამინისტროს კოლეგიის წევრების შეხვედრა დაზიანებული სასწავლებლების კოლექტივებთან

ვადა: 1989—1990 წწ.

შემსრ: აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილება

20. სახალხო განათლებისა და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომელთათვის თათბირ-სემინარის ჩატარება თემაზე „მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლების, აღზრდისა და დანაშაულის პროფილაქტიკის ოპტიმიზაციის გზები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვადა: 1990 წლის I კვარტალი

შემსრ: საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლებისა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო, სისხლის სამართლის სამეცნიერო სამმართველოს მე-4 ქვეგანყოფილება

21. პირველკურსელებთან ნარკომანიის, ალკოჰოლიზმისა და სხვა სამართალდარღვევათა შესახებ მრგვალი მაგიდების და შეხვედრების ჩატარება

ვადა: 1989 წლის სექტემბერი

შემსრ: სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელები

22. რესპუბლიკაში არასრულწლოვანთა სამართლებრივი აღზრდის კვირეულის ჩატარება

ვადა: 1989 წლის 15—21 მაისი

შემსრ: სახალხო განათლების, შინაგან საქმეთა, იუსტიციის სამინისტროები, საზოგადოება „ცოდნის" გამგეობა, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი

23. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა და სახალხო განათლების სამინისტროების, მათი სამსახურებისა და დაქვემდებარებული ორგანოების ხელმძღვანელობის პერსონალური მიმაგრება აღრიცხვაზე მყოფ სამართალდამრღვევ მოზარდებზე. (ამ საკითხზე 1988 წლის 21 იანვრის ერთობლივი ბრძანების განახლება). ამ მიმართებით მუშაობის მდგომარეობის პერიოდული მოსმენა ერთობლივ თათბირებზე

ვადა: 1989 წლის 15 აპრილამდე, შემდგომში პერიოდულად

შემსრ: საქართველოს სახალხო განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროები

24. სამტრედიისა და ცხინვალის № 1 სპეცსასწავლებლებთან შინაგან საქმეთა განყოფილებების საქმიანი კონტაქტების განმტკიცება, სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად აღნიშნული სასწავლებლების პრობლემების შესწავლა და პრაქტიკული დახმარების გაწევა

ვადა: 1989 წლის ოქტომბერი

შემსრ: შინაგან საქმეთა განყოფილებები, სახალხო განათლების რაიონული განყოფილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 37

1989 წლის 24 იანვარი

ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის შესახებ

ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის, უვნებელყოფისა და მიწაში ჩამარხვის მიზნით, 1989 წლის 1 იანვრიდან ქ. თბილისში, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ორგანიზებულია სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება, რომელიც გამოავლენს, აღრიცხავს და ტრანსპორტირებას გაუკეთებს ყველა სახის ტოქსიკურ სამრეწველო ნარჩენს — რსსსგ „საქტოქსმეორადიგადამუშავება“.

აღნიშნულის გამო ვბრძანებ:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული რესპუბლიკური სპეციალიზებული სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „საქტოქსმეორადი გადამუშავების“ რეკომენდაციები და წინადადებანი სავალდებულოა შესასრულებლად ყველა იმ ორგანიზაციისათვის, რომლისთვისაცაა ისინი განკუთვნილნი.

2. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სისტემის იმ სასწავლო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა, რომელთაც საწარმოო საქმიანობის შედეგად გააჩნიათ ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენები, ჩაატარონ დაგროვილი და ახლადწარმოქმნილი ნარჩენების ინვენტარიზაცია სსრკ სტატსახკომის ინსტრუქციისა და ფორმის შესაბამისად.

ინვენტარიზაციის მასალები წარუდგინონ 1989 წლის პირველი კვარტლის ბოლოს რსსსგ „საქტოქსმეორადგადამუშავებას“, ხოლო ასლი — საქ. სსრ განათლების სამინისტროს.

3. პასუხისმგებლობა ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების შენახვაზე, ინვენტარიზაციასა და ჩაბარებაზე ეკისრებათ რსსსგ „საქტოქსმეორადგადამუშავებასთან“ ერთად სასწავლო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს.

4. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ. ნ. ვორონოვს.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 38

1989 წლის 24 იანვარი

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის შექმნისა და მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო განათლების სისტემის რეორგანიზაციასთან და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის გაუქმებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 აგვისტოს № 666 დადგენილებიდან გამომდინარე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკური პრემიების კომიტეტი და მისი მუშაობა განისაზღვროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 29 აგვისტოს № 666 დადგენილებით დამტკიცებული პრემიების კომიტეტისა და რესპუბლიკური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსების ჩატარების დებულებების შესაბამისად.

II. დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან არსებული რესპუბლიკური პრემიების კომიტეტი ჩემი თავმჯდომარეობით შემდეგი შემადგენლობით:

1. ხუროძე რ. ა. (თავმჯდომარის მოადგილე)
— საქართველოს სსრ სახალხო განათლების მინისტრის მოადგილე;

2. მელიქიშვილი გ. ი. (პ. მგ. მდივანი)
— საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსის მოადგილე;

3. ალექსიძე ა. ა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო მუშაობაში, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი;

4. ამაღლობელი ნ. ს. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

5. გვარამია ა. ა. — აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

6. გოგიაშვილი ო. გ. — საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

7. ვალიშვილი ნ. ვ. — ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

8. კიკნაძე ვ. პ. — საქართველოს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო მუშაობაში, პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი;

9. კირვალიძე ნ. ი. — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს საზოგადოებრივ-მეცნიერებათა და აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი;

10. კობახიძე მ. კ. — სახალხო განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე;

11. კორძაია ჯ. ტ. — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს უმაღლესი, საშუალო სპეციალური განათლებისა და მეცნიერების სამმართველოს უფროსის მოადგილე, პროფესორი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი;

12. ლოლუა კ. კ. — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განყოფილების უფროსი, დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი;

13. მეტრეველი რ. ვ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი;

14. ნათიშვილი ო. გ. — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

15. სანაძე თ. ი. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი;

16. ტატიშვილი ნ. ი. — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო მუშაობაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-

მიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი;

17. ღლონტი ნ. ა. — საქართველოს სსრ სასალხო განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველოს უფროსი;

18. ფრანგიშვილი ნ. ნ. — თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი სასწავლო მუშაობაში, დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

19. ქაჯაია ო. მ. — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროორექტორი სამეცნიერო მუშაობაში, დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;

20. ჩოგოვაძე გ. გ. — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

21. ჩხეიძე დ. ვ. — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროორექტორი სასწავლო მუშაობაში, პროფესორი, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი;

22. ჩანტლაძე ვ. გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

23. ჭანტურიშვილი დ. ს. პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი;

24. **სინთიბიძე ე. გ.** — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი სამეცნიერო დარგში (ჰუმანიტარული მეცნიერებანი) პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

25. საპრემიო ჟიურის თავმჯდომარე.

26. დარგობრივი საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეები.

III. დამტკიცდეს რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

1. **ჭდივნიშვილი ნ. გ.** — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოებისა და ინფორმაციის სამმართველოს მთავარი ინსპექტორი.

2. **ნავროზაშვილი ნ. მ.** — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების განყოფილების მთავარი ინსპექტორი.

IV. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსა და საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის 1987 წლის 16 იანვრის № 13/06 და 5 მარტის № 119/24 ბრძანებები.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 73

1989 წლის 8 თებერვალი

სასწავლო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელისშემშლელ ზოგიერთ მიზეზთა აღკვეთის შესახებ

უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკის სახალხო განათლების სასწავლო დაწესებულებებში თავი იჩინა ისეთი სახის მოვლენებმა, რომლებიც ხელს უშლიან და აფერხებენ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას. ხელმძღვანელ მუშაკებთან შეხვედრების დროს მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ისინი ხშირად ღებულობენ ისეთ დავალებებს, რომლებიც არ შედის მათ ფუნქციაში და არაფერი აქვთ საერთო მათ პროფესიულ მოვალეობასთან. მათ ევალებათ აწარმოონ სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის აღრიცხვები და აღწერები მიკროუბნებში, დაესწრონ მრავალრიცხოვან თათბირებს, სხდომებსა და სხვა ღონისძიებებს, მოამზადონ და წარადგინონ სხვადასხვა ხასიათის გეგმები, მოხსენებითი ბარათები, ანგარიშები, ოქმები და სხვა საკანცელარიო ხასიათის მასალა. ადგილი აქვს აღნიშნული მიზეზებით მათი გაკვეთილებიდან მოცდენას.

იმატა მასწავლებლებისათვის ისეთი ხასიათის დავალებების მიცემამ, როგორიცაა თეატრალურ და სხვა სანახაობებზე დასწრების, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის, ნებაყოფლობით საზოგადოებებში გაერთიანებისა თუ სხვა მიზნით მოსწავლეებში ფულის შეგროვება.

ყოველივე ეს იწვევს სერიოზულ შეუსაბამობებს, ხელს უშ-

ლის დაწესებულებაში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობის საათანადო დონეზე წარმართვას და იწვევს მასწავლებელთა სამართლიან უკმაყოფილებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვბრძანებ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს:

აღკვეთონ სასწავლო დაწესებულებებისათვის იმგვარი სახის დავალებების მიცემა, რაც არ იქნება დაკავშირებული მათ სასწავლო-აღმზრდელობით ფუნქციასთან, ისეთი ხასიათის მოხსენებითი ბარათების, ანგარიშებისა და სხვა დოკუმენტების მოთხოვნა, რომლებიც ოფიციალურად არ არის დაწესებული, სამუშაო საათებში თათბირებზე, სხდომებზე და სხვა სახის ღონისძიებებზე მასწავლებელთა გამოძახება.

2. დაევალოს სასწავლო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს:

არ დაუშვან სამსახურეობრივი მოვალეობისათვის შეუფერებელი დავალებებით მასწავლებელთა გადატვირთვა, სასწავლო მუშაობისთვის განკუთვნილი დროის ხარჯზე მათ მიერ დავალებების შესრულება.

კატეგორიულად აკრძალონ მასწავლებლებისათვის ისეთი დავალებების მიცემა, რაც მოსწავლეებში ფულის შეგროვებასთან არის დაკავშირებული. მოსწავლეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პედაგოგიური და მშობელთა კოლექტივების გადაწყვეტილებით, აუცილებლობის შემთხვევაში, ეს მოვალეობა მონაცვლეობით დააკისრონ მშობელთა კომიტეტის წევრებსა და აქტივს.

3. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოთ მინისტრის მოადგილეებს ამხ. ამხ. ნ. გურგენიძეს და კ. სუჯაშვილს.

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 82

1989 წლის 14 თებერვალი

ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების შექმნის შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 1 დეკემბრის № 588 დადგენილებას „ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების შექმნის შესახებ". სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 აგვისტოს № 1022 დადგენილების შესასრულებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

დადგენილება № 588

1988 წლის 1 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების შექმნის შესახებ"

„ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების შესახებ" სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17 აგვისტოს № 1022 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 17აგვისტოს № 1022 დადგენილება, „ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების შექმნის შესახებ" (თან ერთვის).

2. საქართველოს სსრ სახმშენმა საქართველოს სსრ სახალხო განათლების და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებთან, ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა ფონდის რესპუბლიკურ განყოფილებასთან ერთად 1989 წლის I კვარტალში უზრუნველყოს ქ. თბილისის პირობებში ოჯახური ტიპის საბავშვო სახლის ინდივიდუალური პროექტის შემუშავება.

3. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახმშენმა ვ. ი. ლენინის სახელობის ბავშვთა

ფონდის რესპუბლიკურ განყოფილებასთან ერთად XIII ხუთწლედის გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვების მოთხოვნილებისა და რესპუბლიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის შესაბამისი ოჯახური აღზრდის საბავშვო ქალაქის, ოჯახური ტიპის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და კომუნალური იზოლირებული ბინების დაპროექტებისა და მშენებლობის კონკრეტული მოცულობანი (რომელიმე მათგანისათვის უპირატესობის მინიჭების უფლებით).

ამგვარი მშენებლობა, როგორც წესი, განხორციელდეს დიდი ქალაქების გარეთ, მცირე და საშუალო სიდიდის ქალაქებსა და სოფელ ადგილას ეკოლოგიურად ხელსაყრელ გარემოში.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ შრომისა და სოციალურ საკითხთა და სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად მუდმივი, კვალიფიციური დახმარება გაუწიონ იმ ოჯახებს, რომლებმაც აღსაზრდელად აიყვანეს ობოლი და მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვები.

5. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ საცალო ვაჭრობის ქსელის მეშვეობით უზრუნველყონ ოჯახური ტიპის საბავშვო სახლებისათვის მათივე განაცხადებით საჭირო საქონლის მიყიდვა, ამასთან, საბავშვო ქალაქებს საქონელი მიჰყიდონ უნაღდო ანგარიშსწორებით.

6. სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქტყემრეწვმა" შეიმუშაოს და დაიწყოს მოხერხებული და მაღალხარისხოვანი ინვენტარისა და ავეჯის წარმოება ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების აღსაზრდელთათვის.

7. რეკომენდაცია მიეცეს საქართველოს პროფსაბჭოს, უზრუნველყოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად იმ ოჯახთა სანიტარულ-საკურორტო მკურნალობა და დასვენება, რომლებიც ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვებს ზრდიან.

8. საქართველოს მწერალთა კავშირმა, საქართველოს მხატვართა კავშირმა, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირმა, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირმა, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირმა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა და საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საბავშვო ქალაქების შექმნისას გაითვალისწინონ მუდმივმოქმედი სტუდიების, სკოლების, ჯგუფების გახსნა.

ბავშვთა ესთეტიკური და ფიზიკური აღზრდის მიზნით შემოქმედებითი შეფობა გაუწიონ იმ ოჯახებს, სადაც იზრდებიან ობოლი და მშობელთა მზრუნველობას მოკლებული ბავშვები.

9. საქართველოს სსრ გამსახკომმა, საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა სისტემატურად გააშუქონ ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების სოციალური მნიშვნელობის საკითხები, მეტი ყურადღება დაუთმონ ობოლ და მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა საზოგადოებრივი და ოჯახური აღზრდის საკითხებს.

10. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა დააწესონ მკაცრი კონტროლი ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების იმ ნორმატივების შესაბამისად დაფინანსებისადმი, რაც გათვალისწინებულია „ობოლ ბავშვთა და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლისა და მატერიალური უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 თებერვლის № 71 დადგენილებით.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე ზ. ჩხეიძე

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ს. რიგვავა

აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარების მიზნით ვბრძანებ:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს უფროსმა აღნიშნული დადგენილების სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებები, დასახონ მათი განხორციელების გზები.

2. სამინისტროს ინტერნატული, დამხმარე სასწავლო-აღმზრ-
დელობითი და ბავშვთა უფლებათა დაცვის განყოფილებამ (ამხ. გ. ჭუმბურიძე) ვ. ი. ლენინის სახელობის საბჭოთა საბავშვო ფონ-
დის საქართველოს განყოფილებასთან (ამხ. ხ. ბერულავა) ერთად შეიმუშაოს კონკრეტული რეკომენდაციები აღნიშნული დადგენი-
ლების შესასრულებლად. შეარჩიოს რესპუბლიკის ცალკეული რე-
გიონების მიხედვით ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების ობიექ-
ტები, განაზოგადოს ჩვენს ქვეყანაში ამ მხრივ დაგროვილი მო-
წინავე გამოცდილება, ფართოდ გამოიყენოს მასობრივი ინფორმა-
ციის საშუალებანი.

3. სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. ისა-
შვილი) ოჯახური ტიპის საბავშვო სახლების დაგეგმვისა და დაფი-
ნანსების დროს მკაცრად იხელმძღვანელოს სკკპ ცენტრალური კო-
მიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 31 ივლისის № 872 და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 12 თებერვ-
ლის № 71 დადგენილებებიდან „ობოლ და მშობელთა მზრუნვე-
ლობას მოკლებულ ბავშვთა აღზრდის, სწავლებისა და მატერია-
ლური უზრუნველყოფის ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა
შესახებ“ გამომდინარე ახალი დებულებებით და ნორმებით. დაა-
წესოს სისტემატური კონტროლი მათ განუხრელ შესრულებაზე.

4. სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური და სოციალური ბა-
ზის განვითარების სამმართველომ (ამხ. ი. ურუშაძე) გააძლიეროს
ხელმძღვანელობა და კონტროლი საოჯახო ტიპის საბავშვო სახლე-
ბის პროექტის შემუშავებასა და შემდგომ მისი მშენებლობის მიმ-
დინარეობაზე. მოამზადოს წინადადებები საქართველოს სსრ სა-
ხელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარსადგენად, რესპუბლიკის ეკო-
ნომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმაში
შესაბამისი ცვლილებების შეტანის მიზნით.

5. აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილეებს (ამხ.
ამხ. ნ. გურგენიძე, ნ. ვორონოვი).

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 139

1989 წლის 13 მარტი

რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებში ისტორიასა და სხვა საზოგადოებრივ დისციპლინებში 1988/89 სასწავლო წელს გამოცდების შესახებ

ვაქვეყნებ სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 30 დეკემბრის № 571 ბრძანებას „საშუალო სასწავლო დაწესებულებებში 1988/89 სასწავლო წელს სსრკ ისტორიასა და სხვა საზოგადოებრივ დისციპლინებში გამოცდების შესახებ“:

„სსრ კავშირის სახალხო განათლების
სახელმწიფო კომიტეტი
ბრძანება № 571

30.12.88 მოსკოვი

1988/89 სასწავლო წელს საშუალო
სასწავლო დაწესებულებებში სსრ
კავშირის ისტორიაში და სხვა საზო-
გადოებრივ დისციპლინებში გამოცდების
შესახებ

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის ძირითადი მომენტების ახლებურად გააზრებასთან დაკავშირებით, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საშუალო სპეციალურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში გამოცდების ორგანიზაცია სსრ კავშირის ისტორიასა და სხვა საზოგადოებრივ დისციპლინებში მოითხოვს ახალ მიდგომას.

საგამოცდო პროცედურისა და გამოცდების შინაარსის სრულყოფის მიზნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. უფლება მიეცეთ საშუალო სასწავლო დაწესებულებების პედაგოგიურ კოლექტივებს განსაზღვრონ სსრ კავშირის ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის გამოცდების ჩატარების ფორმა და შინაარსი სახელმწიფო კომიტეტში შემუშავებული სანიმუშო საკითხების გათვალისწინებით (დანართი 1,2).

საგამოცდო შემოწმების შედეგების გათვალისწინებით საგნის მიხედვით აუმაღლონ საბოლოო ნიშანი.

2. საგამოცდო კომისიებმა უზრუნველყოს გამოსაცდელთა უდავო უფლება — გამოთქვან საკუთარი დასაბუთებული აზრი, რომელიც შეიძლება არ ემთხვეოდეს მასწავლებლის მოსაზრებას ან მოქმედი სახელმძღვანელოს ავტორთა პოზიციას. მოსწავლის მიერ გამოცდაზე წლიურზე მეტი ნიშნის მიღების შემთხვევაში საბოლოოდ ჩაითვალოს საგამოცდო ნიშანი, წლიური (საბოლოო) ნიშნის დაწევა გამოცდების შედეგების მიხედვით დაუშვებელია. მოსწავლეებმა, რომლებმაც გამოცდაზე მიიღეს არადამაკმაყოფილებელი ნიშანი უნდა გადააბარონ გამოცდა დადგენილი წესით.

3. საშუალო სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში სახელმწიფო გამოცდები საზოგადოებრივ დისციპლინებში ჩატარდეს სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სამინისტროს 1986 წლის 14 ოქტომბრის № 703 ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების სამინისტროებმა (სახელმწიფო კომიტეტებმა) 1989 წლის 15 ივლისამდე წარმოადგინონ სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტში ანალიტიკური ცნობები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლო დაწესებულებებში სხვადასხვა ვარიანტებით გამოცდების ორგანიზაციისა და ჩატარების ეფექტურობის შეფასებების შესახებ. ეს გამოცდილება დაგვეხმარება განვსაზღვროთ გამოცდების ჩატარების ისეთი შინაარსი და ფორმები, რომლებიც უფრო სრულად უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის ამ სფეროში შემოქმედებითი და დემოკრატიული საწყისების განვითარებას.

თავმჯდომარე გ. ა. იაგოდინი

აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების სამინისტროებმა, ქ. თბილისის

სახალხო განათლების სამმართველომ აღნიშნული ბრძანება განიხილონ კოლეგიებსა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე, დაიყვანონ თითოეულ სასწავლებლამდე და განახორციელონ კონტროლი მის შესრულებაზე.

2. ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე):

2.1. უზრუნველყოს აღნიშნული ბრძანების შესაბამისად საგამოცდო თემატიკის მომზადება საქართველოს ისტორიაში და მისი სკოლამდე დაყვანა.

2. 2. რესპუბლიკურ სამეცნიერო-მეთოდურ ცენტრთან ერთად (ამხ. ა. კაპანაძე) ა. წ. თებერვლის ბოლომდე შეიმუშაოს და სკოლების დასახმარებლად დაგზავნოს რეკომენდაციები ისტორიაში გამოცდის ორგანიზებისა და ჩატარების შესახებ.

2.3. სახალხო განათლების ინსპექციასთან ერთად (ამხ. ნ. ჩიკვილაძე) განახორციელოს ღონისძიებანი გამოცდების მაღალორგანიზებულად ჩატარებისათვის.

3. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში" (ამხ. ა. სილაგაძე), დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

4. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე დაევალოს მინისტრის მოადგილეს ამხ ნ. გურგენიძეს.

მინისტრი გ. ენუქიძე

დანართი I

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 30 დეკემბრის № 571 ბრძანებაზე

სანიმუშო საკითხები გამოცდისათვის ისტორიაში

1. რუსეთი XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე. ჩვენი მხარე XX საუკუნის დასაწყისში.

2. 1905-07 წლების რევოლუცია რუსეთში. 1905-07 წლების ამბები ჩვენს მხარეში.

3. რუსეთი ორ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციებს შორის.

4. რუსეთის კულტურა XX ს. დასაწყისში.

5. ბოლშევიკური პარტიის შექმნა და მოღვაწეობა რევოლუციამდელ პერიოდში.

6. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. ორ-ხელისუფლებიანობის პერიოდი.

7. საერთო ეროვნული კრიზისის ზრდა 1917 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე. შეიარაღებული აჯანყება პეტროგრადში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩვენს მხარეში.

8. სოციალისტური გარდაქმნების დასაწყისი. საბჭოთა სახელმწიფოს მშენებლობა.

9. სამოქალაქო ომი და სამხედრო ინტერვენცია. სამხედრო კომუნიზმის პერიოდი. ჩვენი მხარე სამოქალაქო ომის წლებში.

10. ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე გადასვლა ვ. ი. ლენინის მიერ ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის პროგრამის შემუშავება. ჩვენი მხარე 20-იან წლებში.

11. ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია.

12. სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია. ლენინური კოოპერაციული გეგმის რევიზია.

13. კულტურული გარდაქმნები პირველი ხუთწლედების წლებში.

14. ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება 20-იანი წლების დასასრულსა და 30-იან წლებში.

15. დიდი სამამულო ომი. ჩვენი მხარე 1941—1945 წლებში.

16. სახალხო მეურნეობის აღდგენა. საბჭოთა საზოგადოება 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლების დასაწყისში.

17. პარტიის ბრძოლა სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების დაძლევისათვის. 60-იანი წლების დასაწყისის რეფორმების წარუმატებლობის მიზეზები.

18. ქვეყნის ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური განვითარება 60-იანი წლების დასასრულსა და 70-იან წლებში. შენელების მექანიზმის ფორმირება.

19. მეცნიერება, კულტურა და სახალხო განათლება 60—80-იან წლებში.

20. სკკპ XXVII ყრილობა და მისი მნიშვნელობა.
სსრ კავშირი გარდაქმნის ეტაპზე.

ᲓᲐᲜᲐᲠᲗᲘ 2

სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 30 დეკემბრის № 571 გრძანებაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანიმუშო საკითხები გამოცდისათვის საზოგადოებათმცოდნეობაში.

1. ფილოსოფიის ძირითადი საკითხი.

2. მატერიისა და შემეცნების ფილოსოფიური გაგება.

3. დიალექტიკა როგორც მოძღვრება საყოველთაო კავშირისა და განვითარების შესახებ.

4. შემეცნება როგორც სინამდვილის ასახვა.

5. მატერიალური წარმოება — საზოგადოებრივი განვითარების საფუძველი.

6. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია.

7. სასაქონლო წარმოება. ღირებულების კანონი და მისი მოქმედება კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პირობებში.

8. ზედმეტი ღირებულების წარმოება — კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი.

9. თანამედროვე მონოპოლისტური კაპიტალიზმის დახასიათება.

10. სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი სრულყოფა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში.

11. წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება— სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის საფუძველი სოციალისტური საკუთრების ფორმებში.

12. შრომის ხასიათი სოციალიზმის დროს. შრომის სოციალისტური დისციპლინა.

13. განაწილებითი ურთიერთობის სრულყოფა. მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები.

14. რადიკალური ეკონომიკური რეფორმა და მისი ძირითადი მიმართულებანი.

15. სოციალიზმი, როგორც კომუნისტური ფორმაციის პირველი ფაზა.

16. სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა.

17. პრობლემები თანამედროვე ეროვნულ ურთიერთობებში და მათი გადაჭრის გზები.

18. სოციალისტური საზოგადოების პოლიტიკური სისტემა და მისი რეფორმის პრობლემები.

19. დემოკრატია სოციალისტურ საზოგადოებაში.

20. სოციალისტური საზოგადოება და პიროვნება. პიროვნების უფლება და მოვალეობანი.

21. კომუნისტური ზნეობრივი იდეალი და ახალგაზრდობის აღზრდის პრობლემები.

სანიმუშო საკითხები გამოცდისათვის საქართველოს ისტორიაში

1. პირველი ქართული სახელმწიფოები.
2. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.
3. ვახტანგ გორგასალი, თბილისის გადაქცევა დედაქალაქად.
4. ქართველი ხალხის ბრძოლა არაბი დამპყრობლების წინააღმდეგ.
5. საქართველოს გაერთიანების დასაწყისი.
6. ადრეფეოდალური საქართველოს კულტურა.
7. დავით მეოთხე აღმაშენებელი. საქართველოს გაერთიანების დამთავრება.
8. ქართული დამწერლობის წარმოშობა.
9. საქართველო — მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო. თამარის მეფობა.
10. საქართველოს ეკონომიკური აღმავლობა XI—XII საუკუნეებში.
11. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობილება XI—XII საუკუნეებში.
12. ფეოდალური საქართველოს კულტურა XI—XII საუკუნეებში.
13. მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობა. ცოტნე დადიანის გმირობა.
14. საქართველო XV საუკუნეში. ერთიანი სამეფოს დაშლა.
15. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVI საუკუნეში.
16. ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის XVII საუკუნეში. გიორგი სააკაძე.
17. ქართული კულტურა XVI საუკუნიდან XVIII საუკუნის შუა წლებამდე.
18. ქართლ-კახეთის გაერთიანება. ერეკლე მეორე.
19. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI—XVIII საუკუნეებში. გეორგიევსკის ტრაქტატი.
20. საქართველოს შეერთება რუსეთთან.
21. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში. გლეხთა აჯანყებები.
22. საქართველოს კულტურა XIX საუკუნის პირველ ნახევარში.

23. ქართველი ხალხის ბრძოლა სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ.

24. ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების ჩამოყალიბება საქართველოში.

25. 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში.

26. საქართველო სამოქალაქო ომის წლებში.

27. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება საქართველოში.

28. საქართველოს მშრომელთა ბრძოლა სოციალისტური გარდაქმნისათვის 30-იანი წლების დამდეგამდე.

29. ქართველი ხალხის გმირობა დიდ სამამულო ომში.

30. ქართული კულტურა თანამედროვე ეტაპზე.

31. საქართველოს კპ XXVII ყრილობა და რესპუბლიკის მშრომელთა ამოცანები.

32. საქართველოს მშრომელები გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 142

1989 წლის 13 მარტი

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სწავლების სემესტრულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ფიზიკური კულტურის საგანში მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვისა და სემესტრული (წლიური) ნიშნის გამოყვანის წესის შესახებ

ფიზიკური კულტურის საგანში მოსწავლეთა მიმდინარე, ნახევარწლიური (სემესტრული) და წლიური (საბოლოო) წარმატების აღრიცხვისა და ნიშნის დადგენის წესის შესახებ ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ფიზიკურ კულტურაში მოსწავლეთა მიმდინარე, ნახევარწლიური (სემესტრული) და წლიური (საბოლოო) წარმატების აღრიცხვისა და ნიშნის დადგენის წესის შესახებ ინსტრუქცია დამტკიცდეს (თან ერთვის).
2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, განუმარტონ სკოლის დირექტორებსა და ფიზიკური კულტურის საგნის მასწავლებლებს ნიშნის დაწერის წესი დართული ინსტრუქციის მიხედვით.
3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას:

ა) სისტემატურად შეამოწმოს სკოლებში ფიზიკურ კულტურაში მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვის მდგომარეობა და გაატაროს პრაქტიკული ღონისძიებანი მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის;

ბ) გამოსცეს დართული ინსტრუქცია 5 000 ცალი ტირაჟით და 1989 წლის მარტის ბოლომდე დაუგზავნოს აფხაზეთისა და

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციამ ინსტრუქცია ფიზიკური კულტურის საგანში ნიშნის დაწერის შესახებ გამოაქვეყნოს უახლოეს ნომერში.

4. კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განყოფილებას (ამხ. მ. მნათობიშვილი).

მინისტრი გ. ენუქიძე

ინსტრუქცია

ფიზიკურ კულტურაში მოსწავლეთა მიმდინარე, ნახევარწლიური (სემესტრული) და წლიური წარმატების აღრიცხვისა და ნიშნის დადგენის წესის შესახებ

1. მოსწავლეს ფიზიკურ კულტურაში ნიშანი ეწერება არა მხოლოდ პრაქტიკული მიღწევებისა და ბუნებრივი მონაცემებისათვის, არამედ გაკვეთილზე მოძრაობის ტექნიკის ათვისების, სასწავლო პროგრამის და საშინაო დავალებათა რეგულარული შესრულებისათვის.

2. მოსწავლეები სექტემბრიდანვე ექიმის შემოწმების მიხედვით უნდა განაწილდნენ ძირითად, მოსამზადებელ და სპეციალურ სამედიცინო ჯგუფებად (თანახმად სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ 1966 წელს დამტკიცებული № 826 დებულებისა).

ძირითად ჯგუფში ჩაირიცხებიან პრაქტიკულად ჯანმრთელი ბავშვები.

მოსამზადებელ სამედიცინო ჯგუფში — ისეთი ჯანმრთელობის მქონე ბავშვები, რომლებიც ძირითად ჯგუფში გადასასვლელად საჭიროებენ სათანადო მომზადებას, რის გამოც ძირითადი ჯგუფის პროგრამული მასალიდან მათ ვარჯიშები უნდა მიეცეს შესაფერისი დოზით; ამავე ჯგუფში მოხვდებიან აგრეთვე ფიზიკურად სუსტი ბავშვები.

სპეციალურ სამედიცინო ჯგუფს განეკუთვნებიან ისეთი მოსწავლეები, რომელთაც სუსტი ჯანმრთელობის გამო არ შეუძლიათ ვარჯიში მოცემული კლასის პროგრამის მიხედვით.

სპეციალურ სამედიცინო ჯგუფზე მიკუთვნება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ სკოლის ექიმი, ფიზკულტურის მასწავლებელი და ამტკიცებს სკოლის დირექტორი. სპეცჯგუფის მეცადინეობა, თანახმად საქართველოს სსრ განათლების საბინისტროს და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს 1970 წლის 10/23 აპრილის № 197/199 ბრძანებისა, უნდა მოეწყოს ცალკე სკოლასთან შექმნილ სპეციალურ სამედიცინო ჯგუფში ექიმის მეთვალყურეობით ან საექიმო ფიზკულტურულ დისპანსერში.

3. ფიზიკურ კულტურაში ნიშნის დაწერის სპეციფიკა მოითხოვს, რომ მასწავლებელმა გაითვალისწინოს მოსწავლის ჯანმრთელობა, ფიზიკური მონაცემები, ასაკი და სქესი.

ძირითადად და მოსამზადებელ სამედიცინო ჯგუფებში ჩარიცხულ მოსწავლეთა ცოდნა შეფასდება ხუთქულიანი სისტემით, ხოლო მესამე, სპეციალური სამედიცინო ჯგუფის იმ მოსწავლეს, რომელიც მიმაგრებულია სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერზე, სპეციალურ მეცადინეობებზე დასწრებისა და ამ ჯგუფისათვის განკუთვნილი ვარჯიშების შესრულების შემთხვევაში ეწერება „ჩაეთვალა“, წინააღმდეგ შემთხვევაში „არ ჩაეთვალა“.

4. ფიზიკური კულტურის საგნის მეცადინეობიდან მოსწავლეები, როგორც წესი, არ თავისუფლდებიან. განსაკუთრებულ შემთხვევაში ავადმყოფი მოსწავლეები გაკვეთილიდან დროებით თავისუფლდებიან ექიმის წერილობითი დასკვნის საფუძველზე. მოსწავლეები, რომლებსაც გააჩნიათ ფიზიკური ნაკლი (ცერებლარული დამბლა ან პოლიომელიტის ნარჩენი მოვლენები, სხვა სახის ინვალიდობა), ფიზიკური კულტურის გაკვეთილებისაგან თავისუფლდებიან.

5. ნიშანი ფიზიკურ კულტურაში კომპლექსურია და იწერება ორი მაჩვენებლის მიხედვით:

პირველი მაჩვენებელი — მოსწავლის მიერ შესაბამისი კლასის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ნორმატივის შესრულებისათვის;

მეორე მაჩვენებელი — მოსწავლის დამოკიდებულება ფიზიკური კულტურის საგნისადმი, გაკვეთილზე აქტიურობა, საშინაო დავალების სისტემატური შესრულება, თეორიული ცოდნის ათვისება.

6. ყოველ სემესტრში შეფასების ობიექტურობისათვის მოსწავლეს კომპლექსური ნიშანი ეწერება ორი მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულის ჯამის მიხედვით.

7. სემესტრული ნიშნის გამოყვანისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოსწავლის მიერ კლასგარეშე და სკოლისგარეშე ფიზკულტურულ-სპორტულ მეცადინეობებში მონაწილეობა, რაც აუმჯობესებს ორივე მაჩვენებლის ჯამის კომპლექსურ ნიშანს ერთი ნიშნის ფარგლებში.

8. წლიური ნიშანი ფიზიკურ კულტურაში მოქმედებს მოსწავლის კლასიდან კლასში გადაყვანასა და გამოშვებაზე.

მინისტრის მოადგილე კ. სუჯაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 148

1989 წლის 15 მარტი

არადამაკმაყოფილებელი ნიშნების მქონე მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოშვების შ ე ს ა ხ ე ბ

ვაქვეყნებ სსრ კავშირის სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 12 დეკემბრის № 540 ბრძანებას „არადამაკმაყოფილებელი ნიშნების მქონე მოსწავლეთა გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“:

„სსრკ სახალხო განათლების სახელმწიფო კომიტეტის 1988 წლის 12 დეკემბრის ბრძანება № 540

არადამაკმაყოფილებელი ნიშნების მქონე მოსწავლეთა გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების, მათი შესაძლებლობებისა და მისწრაფებათა გათვალისწინების მიზნით ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნებადართულ იქნეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის VII და IX (X) კლასების იმ მოსწავლეთა გადაყვანა შემდგომ კლასებში, რომელთაც ერთ-სამ საგანში აქვთ არადამაკმაყოფილებელი შეფასება.
2. VIII და X (XI) კლასების მოსწავლეებს, რომელთაც ვერ შეძლეს ერთი-სამი საგნის ათვისება, მიეცეთ შესაძლებლობა, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, პირველ სექტემბრამდე განმეორებით ჩააბარონ გამოცდები ამ საგნებში. არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში არასრული საშუალო განათლების მოწმობაში ან საშუალო განათლების ატესტატში ამ საგნებში გაკეთდეს ჩანაწერი — „მოისმინა“.
3. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა IX კლასში მიიღონ საერთო წესის საფუძველზე მოსწავლეები, რომელთაც არასრული

საშუალო განათლების მოწმობაში ერთ-სამ საგანში აქვთ ჩანაწერი „მოისმინა“.

4. უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურმა სასწავლებლებმა, რომელნიც პროფესიასთან ერთად ზოგად საშუალო განათლებასაც იძლევიან, მისაღებ გამოცდებზე (გასაუბრებაზე) დაუშვან არასრული საშუალო და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც არასრული საშუალო განათლების მოწმობასა და საშუალო განათლების ატესტატში შეტანილი აქვს „მოისმინა“ ერთ-სამ საგანში.
5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ინსტრუქცია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ჩამორჩენილ მოსწავლეთა პირობით გადაყვანის შესახებ, დამტკიცებული სსრკ განათლების მინისტრის 1985 წლის 22 აპრილის № 65 ბრძანებით, VII—X (XI) კლასების მოსწავლეთა პირობით გადაყვანის ნაწილში.
6. ზოგადი საშუალო განათლების მთავარმა სასწავლო-მეთოდურმა სამმართველომ (ამხ. ლეონტიევა მ. რ.) სათანადო ცვლილებები შეიტანოს ტიპობრივ ინსტრუქციაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა გამოცდების, გადაყვანისა და გამოშვების შესახებ.
7. მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების ორგანოებმა საჭირო ცვლილებები შეიტანონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდების ინსტრუქციაში.

თავმჯდომარე გ. ა. ი ა გ ო დ ი ნ ი.

აღნიშნული ბრძანების შესასრულებლად ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

აღნიშნული ბრძანება განიხილონ კოლეგიებსა და პედაგოგიური კოლექტივების კრებებზე, მიიღონ ზომები ადგილებზე ძისი განხორციელებისათვის.

2. მიღებულ იქნეს მხედველობაში, რომ ამ ბრძანებით VII, VIII, IX და X(XI) კლასებში გათვალისწინებული ღონისძიებანი საქართველოს სსრ სკოლებში შესაბამისად ხორციელდება VIII, IX, X, და (XI) კლასებში.
3. ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე, ამხ. ე. ქურციკიძე), ამ ბრძა-

ნებიდან გამომდინარე, სათანადო ცვლილებები შეიტანოს ინსტრუქციაში „საქართველოს სსრ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოშვების შესახებ“.

4. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ა. სილაგაძე) უახლოეს ნომერში გამოაქვეყნოს ბრძანების შინაარსი, ხოლო სრული ტექსტი დაიბეჭდოს სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულში.

5. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს ზოგადი საშუალო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველომ (ამხ. ა. ეჯიბაძე).

მინისტრი გ. ენუქიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანება № 162

1989 წლის 24 მარტი

სამინისტროს აპარატისა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში რევიზიის შედეგებისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ

სსრკ ფინანსთა სამინისტროს მიერ შემოწმებულ იქნა სამინისტროს აპარატსა და მისი დაქვემდებარების ზოგიერთი განათლების განყოფილებაში, ამავე დროს სასწავლო დაწესებულებებში საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ზოგიერთი საკითხი. კერძოდ, მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული ნაშთების სისწორე, ცენტრალურ აპარატში გაწეულ ღონისძიებებზე თანხების ხარჯვის კანონიერება, წარმოშობილ ეკონომიათა დავალების თანხებზე გადატანის მიზანშეწონილობა, სასკოლო დაწესებულებებში ხარჯების დაგეგმვის საკითხები.

გამოვლენილ იქნა ზოგიერთი ნაკლოვანებანი. სსრკ ფინანსთა სამინისტროს მიერ არასწორად იქნა მიჩნეული მეთოდური ღონისძიებებიდან სკოლების ინსპექტორებზე, გამოცდების ჩატარებასა და ახალგაზრდა სპეციალისტთა გადაყვანის ხარჯების დაფინანსება. გამოვლინდა ნაკლოვანებები ზენორმატიული ნაშთების ჩათვლის საქმეში.

სსრკ ფინანსთა სამინისტროს 1987 წლის 7 დეკემბრის № 229 წერილის შესაბამისად შემოწმდა ეკონომიის თანხების გადატანის სისწორე „დავალების თანხების" ანგარიშზე. გამოვლინდა, რომ ყოფილი პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის მიერ ამ ანგარიშზე არასწორად იყო გადატანილი 1987 წლის აუთვისებელი 1858 ათასი მანეთი. წლიური შედეგების განხილვისას აღნიშნული თანხა საქართველოს სსრ ფინანსთა სამი-

ნისტროს მიერ ჩათვლილ იქნა 1988 წლის დაფინანსებაში. ზემოაღნიშნული თანხა ექვემდებარებოდა მიმდინარე ანგარიშზე გადმოტანას, რაც შემოწმების პერიოდში ჯერ კიდევ გადმოტანილი არ იყო. ამავე პერიოდში შეუმუშავებელი იყო საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაობის შეფასების მაჩვენებელი.

გამოვლინდა ზოგიერთი ხარვეზი რესპუბლიკურ ბიუჯეტებზე მყოფი განათლების დაწესებულებების ხარჯთაღრიცხვის შედგენის საქმეში. კერძოდ, ქუთაისის საქალაქო განყოფილებასთან 1987 წლიდან შექმნილია სპორტულ-თავდაცვითი ბანაკი. ამავე წლის სამინისტროს 29 ივლისის № 249 ბრძანებით დამტკიცებულია 38 საშტატო ერთეული მთელი წლით, რომლის საწარმოო აუცილებლობა არ არის. ფინანსირებისა და შრომის ანაზღაურების ფონდის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს სეზონისა და სამუშაო თვეთა გათვალისწინებით. საქალაქო განყოფილების მიერ ზედმეტად იქნა გათვალისწინებული აღნიშნულ ბანაკზე რბილი ინვენტარისა და სპეცდანიშნულების ტანსაცმლისათვის 55,0 ათასი მან., ხოლო კვებაზე — 6,0 ათასი მანეთი.

სახალხო განათლების ორგანოების მიერ, ხშირ შემთხვევაში, ყოველგვარი ანალიზის გარეშე იგეგმება კვების დღეების რიცხვი. მაგ: მახარაძის რაიონის სკოლებისათვის გახანგრძლივებული ჯგუფების კვების დღეების რიცხვი 1988 წელს დაგეგმილი იყო 881, მაშინ როდესაც 1985—1986 წლებში ეს რიცხვი ფაქტიურად იყო შესაბამისად 197, 217, მარნეულში — 208 და შესაბამისად 10,43. ყვარელის რაიონის სკოლამდელ დაწესებულებებში სურათი პირიქითაა. 1988 წლის გეგმა ითვალისწინებდა 169-ს და 1986—1987 წლების ფაქტიურად შეადგენდა შესაბამისად 181, 183-ს. ქუთაისის ლენინის რაიონის სკოლამდელი დაწესებულებისათვის დამტკიცებული ჰქონდათ ყველასათვის ერთი ნორმა, ფაქტიური ნორმებისაგან დამოუკიდებლად. არასწორი ნორმების გამოყენების გამო შემოწმებულ 20 რაიონში გამოვლინდა ზედმეტად გაწეული ხარჯი 73,8 ათასი მანეთის ოდენობით. მაგ. ყვარლის რაიონში კვების საშუალო ნორმა ყოველ ერთ ბავშვზე თუ უნდა ყოფილიყო 70,53 კაპ., ხარჯთა ნუსხაში დამტკიცებული ჰქონდათ 73,6 კაპიკი, რის გამოც ზედმეტად იქნა დაფინანსებული 8,6 ათასი მანეთი. მახარაძის რაიონში ჩათვლილი იყო ნორმა 73 კაპ. ნაცვლად 69,53 კაპიკისა, ზედმეტობამ შეადგინა 12,8 ათ. მანეთი, ასეთივე მიზეზით თელავის რაიონში 13,5 ათასი მანეთი.

უზუსტობა და ზერელე დამტკიცება გამოვლინდა მშობელთა

გადასახადის ოდენობის დადგენაშიც. ქ. ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ აღნიშნული გადასახადის ოდენობა 1988 წლის ხარჯთა ნუსხაში განსაზღვრული ჰქონდა 75,0 ათასი მანეთი, მაშინ როდესაც წინა წლების ფაქტიური შესრულება შეადგენდა 78,2 ათას და 83,5 ათას მანეთს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შენობა-ნაგებობათა კუბატურის განსაზღვრისა და ხარჯთა ნუსხაში შეტანის მდგომარეობა. დაუსაბუთებლად გაზრდილი კუბატურა გამოვლინდა ლაგოდეხის, ქუთაისისა და სხვა რაიონების ნაკრებ ხარჯთაღრიცხვებში. მაგალითად, რუსთავის განათლების სკოლამდელ დაწესებულებათა ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებული იყო ორი საბავშვო დაწესებულების ექსპლოატაციაში გაშვება 130 ათასი მ³-ით, მაშინ როდესაც საშუალო რესპუბლიკური მონაცემები ყოველ ერთ დაწესებულებაზე 5 ათასი მ³-ია.

ქუთაისის განათლების დაწესებულებებზე კუბატურის ხელოვნურად გაზრდის გზით ბიუჯეტიდან 1989 წლისათვის გამოყოფილი იქნა 81 ათასი მანეთი (161,3 ათასი მ³×50,4 კაპ.). ლენინის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ, დაგეგმილი იყო ორი ახალი სკოლამდელი დაწესებულების გახსნა, მაშინ როდესაც მშენებლობის გეგმით არ იყო გათვალისწინებული ახალი ნაგებობის ექსპლუატაციაში გაშვება. გათვალისწინებული იყო ამ დაწესებულებებზე 18,8 და 18,9 ათასი მანეთი, თუმცა განათლების განყოფილებას საამისოდ არავითარი მონაცემები არ აღმოაჩნდა.

ზემოაღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოების ხელმძღვანელები და შესაბამისი ეკონომიური სამსახურები ზერელე დამოკიდებულებას იჩენენ საფინანსო-სამეურნეო დისციპლინის განმტკიცების, საქმიანობის გეგმური წარმართვის, ეკონომიური გაანგარიშებების უტყუარობის მიმართ.

სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების ზემოაღნიშნულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაციის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

— დაევალოს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების ორგანოთა ხელმძღვანელებს განსაკუთრებული კონტროლი დააწესონ საფინანსო დისციპლინის განმტკიცებაზე, შესაბამის საქმისახურებთან ერთად უზრუნველყონ გეგმების შედგენის,

დამტკიცებულ ასიგნებათა გამოყენების სისწორე. არ დაუშვან საბ-ხელმწიფო სახსრების ხელოვნური მიზიდვის შემთხვევები. ხარჯების დაგეგმვისას გამოიყენონ ანალიზური მეთოდი და მკაცრად იხელმძღვანელონ მოქმედი ნორმატიული დოკუმენტებით. სკოლამდელ დაწესებულებებში მშობელთა გადასახადის დადგენისას წინასწარ გაანალიზებულ იქნეს გასული წლების დინამიკა და გადასახადისაგან განთავისუფლების მიზანშეწონილობა;

— 1990 წლის ბიუჯეტის პროექტის შესადგენად ამთავითვე იზრუნონ შენობა-ნაგებობათა კუბატურის დაზუსტებისათვის, რათა არ განმეორდეს შემოწმებით დადგენილი ფაქტები;

— ათი დღის ვადაში შეიმუშაონ მათ ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებების მუშაობის შეფასების მაჩვენებლები;

— უმოკლეს ვადაში გადაამოწმონ განათლების დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშები და მკაცრი ზომები მიიღონ იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან აღნიშნული უნიფიცირებული ანგარიშების შედგენას;

— მხილებულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ განსაკუთრებით გაამახვილონ ყურადღება ქუთაისის სახალხო განათლების სამმართველოს, ყვარლის, მახარაძის, რუსთავის, მარნეულის სახალხო განათლების განყოფილებათა ხელმძღვანელებმა.

საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ი. მ. ისაშვილი): მკაცრი კონტროლი დააწესოს საფინანსო გეგმების შედგენის სისწორეზე, მატერიალურ-ფასეულობათა ზენორმატიულ ნაშთების შესაბამისად ასიგნებათა ჩათვლის საკითხებზე;

—უმოკლეს დროში უზრუნველყოს არსებულ ორგანიზაციებზე საბიუჯეტო კლასიფიკაციის პარაგრაფების მიხედვით ეკონომიის თანხების რაციონალური ხარჯებისათვის შეფასების მაჩვენებელთა დადგენა;

— გააძლიეროს იმ მუშაკთა პასუხისმგებლობა, რომლებიც უშუალოდ ხელმძღვანელობენ რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფი სახალხო განათლების დაწესებულებათა ხარჯების დაგეგმვა-დაფინანსების საქმეს;

— მიმდინარე წლის 1 მაისამდე ჩაატაროს სახალხო განათლების დაწესებულებების გამგეების, პროფტექნიკური სასწავლებლე-

ბის დირექტორების, მთავარი ბუხჰალტრების ერთდღიანი თათ-
ბირ-სემინარი;

აიკრძალოს ცენტრალიზებული წესით სკოლების ინსპექტორე-
ბისათვის მივლინების, ახალგაზრდა სპეციალისტთა გადაყვანის,
გამოცდების ჩატარებისა და სხვა ცენტრალური აპარატის ხარჯების
დაფინანსება მეთოდური ღონისძიებებისათვის გამოყოფილი სახ-
სრებიდან.

კონტროლი აღნიშნული ბრძანების შესრულებაზე დაევალოს
საგეგმო-საფინანსო სამმართველოს (ამხ. ი. მ. ისაშვილი).

მინისტრის მოადგილე ნ. ვ ო რ ო ნ ო ვ ი

შინაარსი

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სასწავლო დაწესებულებებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობისა და გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 3

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის სამედიცინო სასწავლებლებში სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობისა და ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ . 12

გადაწყვეტილება რესპუბლიკის სკოლებში პროფილირებული სწავლების ექსპერიმენტის მიმდინარეობის თაობაზე ი. გოგებაშვილის სახელობის პ. მ. სამეც.-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის პირველი მოადგილის ამხ. ლ. ჩიქვანაიას ინფორმაციის შესახებ . . 18

გადაწყვეტილება — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა კომპიუტერული განათლების უზრუნველყოფის, სასწავლო პროცესში ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიის დანერგვის ღონისძიებათა შესახებ . . 21

გადაწყვეტილება — უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლების სტუდენტთა კვების ობიექტების სანიტარული მდგომარეობის შესახებ 61

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის საშუალო სასწავლო დაწესებულებების წარჩინებულ კურსდამთავრებულთა მიერ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგების შესახებ 64

გადაწყვეტილება — მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის მდგომარეობის შესახებ 70

გადაწყვეტილება — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კადრებით უზრუნველყოფის მდგომარეობისა და მისი ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ 73

ბრძანება № 37 — ტოქსიკური სამრეწველო ნარჩენების უტილიზაციის შესახებ 112

ბრძანება № 38 — საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროსთან რესპუბლიკური პრემიების კომიტეტის შექმნისა და მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ 114

ბრძანება № 73 — სასწავლო დაწესებულებებში ს/აღმზრდელობითი პროცესის ხელისშემშლელ ზოგიერთ მიზეზთა აღკვეთის შესახებ . 119

ბრძანება № 82 — ოჯახური ტიპის სბავშვო სახლების შექმნის შესახებ 121

ბრძანება № 139 — რესპუბლიკის საშუალო სასწავლებლებში ისტორიასა და სხვა საზოგადოებრივ დისციპლინებში 1988/89 სასწავლო წელს გამოცდების შესახებ 125

ბრძანება № 142 — ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სწავლების სემესტრულ სისტემაზე გადასვლასთან დაკავშირებით ფიზიკური კულტურის საგანში მოსწავლეთა წარმატების აღრიცხვისა და სემესტრული (წლიური) ნიშნის გამოყვანის წესის შესახებ 132

ბრძანება № 148 — არადამაკმაყოფილებელი ნიშნების მქონე მოსწავლეთა კლასიდან კლასში გადაყვანისა და გამოშვების შესახებ . . 136

ბრძანება № 162 — სამინისტროს აპარატისა და მისდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაცია-დაწესებულებებში რევიზიის შედეგებისა და სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ 139

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომცემლობის რედაქტორი ი. კუკავა
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბუდაღაშვილი
კორექტორი ქ. გაჩეჩილაძე
გადაეცა წარმოებას 8.06.89. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.10.89.
საბეჭდი ქაღალდი 60×90. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 9, სააღრ.-საგამომც. თაბახი 7,38.
ტირაჟი 3000. შეკვეთის № 566.
უფასო

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Gp 6/2

СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА НАРОДНОГО ОБРАЗОВАНИЯ ГССР

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1989